



საქართველოში ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევა, 2015
ანალიტიკური ანგარიში

თბილისი,
2016 წელი

საავტორო უფლებები © შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (შსო) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) 2016

პირველი გამოცემა 2016

რეპროდუცირების უფლებისათვის მიმართეთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გამომცემლობა (უფლებები და ნებართვები), შრომის საერთაშორისო ოფისი, CH-1211 ქენევა 22, შვეიცარია ან დაუკავშირდით ელექტრონულ ფოსტაზე: pubdroit@ilo.org; ასევე მიმართეთ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატი), ზაზა ხუროშვილი, ცოტნე დადიანის ქ. 30, 0180, თბილისი, საქართველო ან დაუკავშირდით ელექტრონულ ფოსტაზე: info@geostat.ge. გამოცემის თარგმანის გავრცელების უფლებისათვის ზემოთ მითითებულ მისამართზე მიმართეთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც მოქმედებს ორივე ორგანიზაციის სახელით.

კვლევის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელ დირექტორის აპარატს.

საავტორო უფლებათა დაცვის ორგანიზაციებში დარეგისტრირებულ ბიბლიოთეკებს, ორგანიზაციებს და სხვა მომხმარებლებს უფლება აქვთ გაავრცელონ პუბლიკაციის ასლი მათთვის დაწესებული სალიცენზიო პირობების შესაბამისად. თქვენს ქვეყანაში საავტორო უფლებათა დაცვის ორგანიზაციის საპოვნელად ეწვიეთ ვებგვერდს: www.ifro.org.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევა 2015: ანალიტიკური ანგარიში / შრომის საერთაშორისო ოფისი, შრომის სფეროში ფუნდამენტური პრინციპების და უფლებების ფილიალი (FUNDAMENTALS), სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). - ქენევა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2016.

ISBN: 978-92-2-831175-4 (Print), 978-92-2-831176-1 (Web PDF)

International Labour Office, Fundamental Principles and Rights at Work Branch (FUNDAMENTALS), National Statistics Office of Georgia (GEOSTAT)

ბავშვთა შრომა / მომუშავე ბავშვი / სამუშაო პირობები / საქართველო - 13.01.2

ხელმისაწვდომია ინგლისურად: *Georgia National Child Labour Survey 2015: Analytical Report*, ISBN 978-92-2-131307-6 (Print); 978-92-2-131308-3 (Web PDF), ქენევა, 2016.

ILO Cataloguing in Publication Data

საქართველოს ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევა (NCLS) 2015 განხორციელებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ, რომელსაც კოორდინირებას უწევდა აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე თენგიზ ცეკვაძე საქსტატიდან და ფედერიკო ბლანკო ელიასი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციიდან (ILO-FUNDAMENTALS).

პუბლიკაციის გამოცემა დააფინანსა ამერიკის შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტმა (USDOL) (პროექტი GLO/13/21/USA).

პუბლიკაცია აუცილებლად არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტის შეხედულებებს ან პოლიტიკას, აგრეთვე არ არის ნაგულისხმები, რომ ნახსენები სავაჭრო სახელები, კომერციული პროდუქტები ან ორგანიზაციები არის მოწონებული ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ.

პირობითი აღნიშვნები და ტერმინები, რომელიც გამოყენებულია პუბლიკაციაში და ასევე ამ მონაცემების წარმოდგენა არ გამოხატავს შსო-ს ან/და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) რაიმე შეხედულებას, რომელიმე ქვეყნის სამართლებრივი სტატუსის, ტერიტორიის და მისი მმართველობის ან საზღვრების დადგენის შესახებ.

შსო და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) არ იღებს პასუხისმგებლობას მონაცემთა არასწორ გამოყენებასთან დაკავშირებული უზუსტობების, შეცდომებისა და მონაცემთა გამორჩენის შემთხვევებზე.

გამოცემულია საქართველოში

გაფორმებულია ირმა მანჯგალაძის მიერ

სარჩევი

I. წინასიტყვაობა	5
II. შესავალი.....	6
III. საქართველოს რუკა.....	7
1. მოკლე შინაარსი	8
2. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.....	13
2.1. დემოგრაფიული მდგომარეობა	13
2.2. ეკონომიკური და შრომის ბაზრის მახასიათებლები	14
2.3. ცხოვრების დონის მაჩვენებლები	17
3. კვლევის მეთოდოლოგია	23
3.1. კვლევის საგანი და სამიზნე ერთობლიობა	23
3.2. კითხვარი.....	23
3.3. შერჩევის დიზაინი.....	24
3.4. პილოტური კვლევა.....	27
3.5. საველე პერსონალის (ინტერვიუერები და ზედამხედველები) ტრენინგი და საველე სამუშაოები	28
3.6. მონაცემთა დამუშავება.....	30
3.7. შეწონვა და გამოუქვასუხელობის დონე	31
4. ცნებები და განსაზღვრებები	34
4.1. შრომის საერთაშორისო სტანდარტები.....	34
4.2. ეროვნული კანონმდებლობა	37
4.3. ცნებები და განმარტებები	38
5. ბავშვთა მიერ შესრულებული აქტივობები	43
5.1. ძირითადი მახასიათებლები ბავშვების შესახებ.....	43
5.2. ბავშვების მონაწილეობა ეკონომიკურ საქმიანობაში.....	48
5.3. სამუშაოს მაძიებელი ბავშვები	51
5.4. სასწავლო პროცესში ბავშვების ჩართულობის დონე.....	51
5.5. ბავშვთა მიერ შესრულებული საოჯახო საქმეები	52
5.6. ბავშვების ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში.....	57
6. მომუშავე ბავშვების მახასიათებლები	61
6.1. ბავშვთა დასაქმება დარგების მიხედვით.....	61
6.2. ბავშვთა დასაქმება პროფესიების მიხედვით	63
6.3. ბავშვთა დასაქმების სტატუსი.....	64
6.4. ნამუშევარი საათები კვირაში	65
6.5. 10-17 წლის ბავშვების ანაზღაურების მახასიათებლები	68

6.6. 10-17 წლის ბავშვების მუშაობის მიზეზები.....	69
6.7. მომუშავე ბავშვების სხვა მახასიათებლები	70
7. ბავშვთა შრომა და სახიფათო შრომა	74
7.1. ბავშვთა შრომა	74
7.2. ბავშვთა შრომის ძირითადი მახასიათებლები	74
7.3. ბავშვებისათვის სახიფათო სამუშაო	78
7.4. სახიფათოსგან განსხვავებული ბავშვთა შრომა	83
8. განათლების მახასიათებლები.....	85
8.1. სასწავლო პროცესში ბავშვების ჩართულობის დონე.....	85
8.2. ბავშვები, რომლებიც არ დადიან საგანმანათლებლო დაწესებულებაში	88
8.3. ბავშვების საგანმანათლებლო აქტივობა	89
8.4. ბავშვთა პროფესიული მომზადება	91
8.5. მშობლების განათლების მიღწეული დონე	92
9. სხვა შესაბამისი მახასიათებლები.....	94
9.1. შინამეურნეობის შემოსავლები და ფარდობითი სიღარიბე	94
9.2. ჯანმრთელობისთვის საზიანო პირობები.....	95
დანართები.....	98
დანართი 1. 5-17 წლის ასაკის ბავშვთა სახიფათო შრომის განმარტება	98
დანართი 2. სახიფათო საქმიანობის სფეროები (დარგები) და პროფესიები/ დაკავებული პოზიციები ბავშვთა შრომის განსაზღვრისათვის.....	99
დანართი 3. სტატისტიკური ცხრილები.....	101

პირობითი აღნიშვნები

... მონაცემი არ არის სტატისტიკურად სანდო;

- მოვლენა არ არსებობს;

0.0 მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა;

ცალკეულ შემთხვევებში განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

I. წინასიტყვაობა

2015 წლის ბავშვთა შრომის კვლევა არის რიგით მეორე ეროვნული კვლევა, რომელიც სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ჩაატარა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით. 1999-2000 წლებში ჩატარებული ბავშვთა და მოზარდთა შრომითი საქმიანობის შერჩევითი გამოკვლევის შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა და ამ ხნის მანძილზე ქვეყანაში არსებით პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი. ამგვარად, 2015 წლის ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევის მიზანი იყო შეეფასებინა ბავშვთა შრომის არსებული მდგომარეობა საქართველოში. იმედი გვაქვს, რომ კვლევის შედეგები სასარგებლო და საინტერესო იქნება ბავშვთა შრომის და, ზოგადად, სოციალურ-ეკონომიკური საკითხებით დაინტერესებული პირებისა და უწყებებისათვის.

ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევა ჩატარებულია შსო-ს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით, რომლის საფუძველზე მსგავსი კვლევები ათეულობით ქვეყანაშია ჩატარებული. 5-17 წლის ასაკის ბავშვთა ზოგადი დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ასახვასთან ერთად, ანგარიში მოიცავს კვლევის დეტალურ შედეგებს ბავშვთა შრომასთან დაკავშირებულ ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორიცაა ბავშვთა ჩართულობა ეკონომიკურ საქმიანობაში, ბავშვთა შრომის სახეები, მახასიათებლები და სამუშაო გარემო, ბავშვთა შრომის ზეგავლენა განათლების მიღებაზე და სხვა.

კვლევის ჩატარებისა და საბოლოო ანგარიშის მომზადების პროცესში საქსტატისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაწეული დახმარება. მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო შსო-ს ექსპერტს ბავშვთა შრომის საკითხებში ბატონ ფედერიკო ბლანკოს კვლევის პროცესის ყველა ეტაპზე ჩართულობისათვის; წინამდებარე ანგარიშში არსებითად ასახულია მისი რჩევები და რეკომენდაციები.

დიდი მადლობა საქსტატის თითოეულ თანამშრომელს, რომლებიც ჩართული იყვნენ კვლევის პროცესში, მათი ძალისხმევითა და თავდადებათი მუშაობისათვის. დასასრულს, მსურს გულწრფელი მადლობა გადავუხადო ყველა რესპონდენტს და განსაკუთრებით რესპონდენტ ბავშვებს, მათ მიერ ფასდაუდებელი თანამშრომლობისა და დახმარებისათვის.

მერი დაუშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

II. შესავალი

2015 წლის მე-4 კვარტალში საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა ჩაატარა ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით. კვლევამ მოიცვა დაახლოებით 7700 შინამეურნეობა, რომელშიც ცხოვრობს 5-17 წლის ასაკის ბავშვი. კვლევა ემყარება გაერთიანებული ერების კონვენციას ბავშვთა უფლებების შესახებ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტალურ კონვენციებს ბავშვთა შრომის აკრძალვისა და აღმოფხვრის შესახებ.

საქართველოში ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევის ჩატარების მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში ბავშვთა შრომის მდგომარეობის, მასშტაბების, მიზეზების და შედეგების შეფასება.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად, ქვეყანაში ბავშვთა შრომის საკითხებით დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა კვლევის ტექნიკური კომიტეტი. კომიტეტში შევიდნენ როგორც სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ პოლიტიკური როლი სახელმწიფო დონეზე ბავშვთა შრომის აღმოფხვრის საქმეში, აგრეთვე ბავშვთა შრომის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კერძოდ, ტექნიკური კომიტეტი დაკომპლექტდა შემდეგი უწყებების წარმომადგენლებით: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტების ოფისი საქართველოში; გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენლობა საქართველოში და „World Vision International“-ის ფილიალი საქართველოში.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ „მომუშავე ბავშვები“ და „ბავშვთა შრომა“ არ არის ერთი და იგივე. ტერმინი „ბავშვთა შრომა“ ხშირად განისაზღვრება, როგორც შრომა, რომელიც ართმევს ბავშვებს ბავშვობას, მათ პოტენციალს და ღირსებას და არის მავნე მათი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის. ბავშვის მიერ შესრულებული „სამუშაოს“ კონკრეტული ფორმისათვის „ბავშვთა შრომის“ კვალიფიკაციის მინიჭება დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე, შესრულებული სამუშაოს ხასიათზე, სამუშაო საათების ხანგრძლივობაზე, პირობებზე, რომელშიც სამუშაო სრულდება და ცალკეული ქვეყნების მისწრაფებებზე (კანონმდებლობა).

ბავშვთა შრომა არის მრავალგანზომილებიანი ფენომენი, რომელიც გამოწვეულია მრავალი ფაქტორით, რომელთა უმეტესობა თანაბრად კომპლექსურია. ამ ფაქტორებს განეკუთვნება სიღარიბე, გაუნათლებლობა, უმუშევრობის მაღალი დონე, გენდერული უთანასწორობა, მოძველებული კულტურული ტრადიციები და ა.შ.

ბავშვთა შრომა უმეტესად სიღარიბის შედეგს წარმოადგენს და ამ საკითხის გრძელვადიანი გადაწყვეტა მდგრად ეკონომიკურ ზრდაში დევს, რომელიც მიმართულია სოციალური პროგრესისაკენ, რაც თავის მხრივ ითვალისწინებს სიღარიბის აღმოფხვრას და საყოველთაო განათლების უზრუნველყოფას.

III. საქართველოს რუკა



1. მოკლე შინაარსი

ბავშვთა შრომის ანგარიშის მიზანია კვლევის შედეგების მიხედვით წარმოადგინოს ძირითადი სტატისტიკური მიგნებები და აქედან გამომდინარე, მისი შინაარსი მოიცავს ბავშვთა შრომის მოვლენის განხილვას, მის განზომილებებს, მასშტაბებს, მახასიათებლებისა და შედეგების ჩათვლით. კვლევის შედეგები შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს ღონისძიებები, რომლებიც საჭიროა ბავშვთა შრომის ეფექტურად აღმოფხვრისთვის.

ანგარიში თემატიკის მიხედვით დაყოფილია 9 ნაწილად. ანგარიშის პირველი ნაწილი მოიცავს შესავალს, კვლევის მიზნებს, ანგარიშის სტრუქტურასა და შემადგენლობას. ქვემოთ მოცემულია ძირითადი მიგნებები, ანგარიშში წარმოდგენილი ცალკეული თავების მიხედვით.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობამ 3720.4 ათასი პირი შეადგინა, რომელთა 52.2%-ს ქალები წარმოადგენენ. მოსახლეობის დიდი ნაწილი (57.2%) ქალაქად, ხოლო რეგიონების მიხედვით მოსახლეობის თითქმის 30% თბილისში ცხოვრობს.

2015 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 12.0%-ს შეადგენდა. უკანასკნელი 18 წლის მანძილზე უმუშევრობის მაქსიმალური მაჩვენებელი (16.9%) 2009 წელს დაფიქსირდა. მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურაში ჭარბობს თვითდასაქმებულები, რომელთა წილი მთლიან დასაქმებულებში 2015 წელს 57.2%-ს უტოლდებოდა. ამასთან, თვითდასაქმებულების უდიდესი ნაწილი საკუთარ ფერმერულ/გლეხურ მეურნეობაშია დასაქმებული, რაც განაპირობებს სოფლად დასაქმების მაღალ დონეს (71.6%) და დაბალ უმუშევრობას (4.8%). ქალაქში ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 47.1% და 21.5%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა, ერთ შინამეურნეობაზე საშუალო შემოსავალი სოფელში 26.6%-ით დაბალია ქალაქთან შედარებით.

2015 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე 3759.0 აშშ დოლარს შეადგენდა. ამასთან, სოფლის მეურნეობაში დასაქმების მაღალი დონის მიუხედავად, სოფლის მეურნეობაზე მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9.2% მოდის.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევამ მოიცვა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია. შერჩევის ჩარჩოდ გამოყენებულ იქნა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემთა ბაზა, საიდანაც ორსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის მეთოდის გამოყენებით შერჩეულ იქნა 7715 კერძო შინამეურნეობა 5-17 წლის ბავშვებით. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა 5-17 წლის ასაკის ბავშვები.

ცნებები და განსაზღვრებები

გლობალური შეფასებისათვის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ განსაზღვრა ეკონომიკური აქტივობის (დასაქმების) დასაშვებ ფორმებსა და ბავშვთა შრომის აღმოსაფხვრელ ფორმებს შორის განმასხვავებელი საზღვრები. ბავშვთა შრომის მასშტაბებისა და მახასიათებლების გამოკვლევის ამოსავალია ბავშვთა უფლებებთან და ბავშვთა შრომასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციები: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (UNCRC), 1989; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ N138, 1973; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ N182, 1999; და მათთან დაკავშირებული მსო-ს დამატებითი რეკომენდაციები (N146 და N190).

ამ კონვენციების მიხედვით ბავშვთა შრომის განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენენ: ბავშვის ასაკი, შესრულებული სამუშაოს ხასიათი, სამუშაო საათების ხანგრძლივობა და პირობები, რომელშიც სამუშაო სრულდება. საქართველოში ბავშვთა შრომის მასშტაბებისა და მახასიათებლების შეფასება განხორციელდა კონვენციებში მითითებული კრიტერიუმებისა და ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით.

კვლევის მიხედვით ბავშვი ითვლება ეკონომიკურად აქტიურად (დასაქმებულად), თუ ის მუდმივად ან დროებით ჩართული იყო ეკონომიკურ საქმიანობაში, ან გამოსაკვლევი კვირის განმავლობაში საოჯახო საწარმოში/მეურნეობაში მუშაობდა უსასყიდლოდ სულ მცირე ერთ საათის განმავლობაში. კვლევის მიზნებისათვის ბავშვები 3 ასაკობრივ ჯგუფად დაიყო: 16-17 წლის (სამუშაოზე დასაშვებ მინიმალურ ასაკზე ზევით); 14-15 წლის (მსუბუქი სამუშაოსათვის დასაშვები ასაკობრივი საზღვრების ფარგლებში) და 5-13 წლის (მსუბუქი სამუშაოსათვის დასაშვებ მინიმალურ ასაკზე ქვევით).

ბავშვთა მიერ შესრულებული აქტივობები

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობს 5-17 წლის ასაკის 571.1 ათასი ბავშვი, მათ 52.9%-ს ბიჭები წარმოადგენენ. ბავშვების ნახევარზე მეტი (58.4%) ცხოვრობს ქალაქად. მთლიანი მოსახლეობის ანალოგიურად, 5-17 წლის ასაკის ბავშვებშიც დაახლოებით 30% თბილისში ცხოვრობს.

5-17 წლის ასაკის ბავშვების 5.8%-ია ეკონომიკურად აქტიური (დასაქმებული). 5-17 წლის ასაკის დასაქმებული ბავშვების 76.5%-ს ბიჭები შეადგენენ. ქალაქის ტიპის დასახლებებში ეკონომიკური საქმიანობით დაკავებულია ბავშვების 1.6%, ხოლო სოფელში - 11.4%.

საოჯახო საქმეებში ჩართულია 5-17 წლის ასაკის ბავშვების ნახევარზე მეტი (56.8%), მათ შორის გოგონების 61.3% და ბიჭების 52.8%. ამ საქმიანობას ბავშვები კვირაში საშუალოდ 2.9 საათს უთმობენ. გოგონები, ბიჭებთან შედარებით საოჯახო საქმეების შესრულებას კვირაში საშუალოდ 1.3 საათით მეტ დროს უთმობენ, სოფელში აღნიშნული სხვაობა 1.8 საათს შეადგენს.

მომუშავე ბავშვების მახასიათებლები

ყოველი 10 მომუშავე ბავშვიდან დაახლოებით 8 ბავშვი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, რომლებიც ძირითადად ეხმარებიან ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში თვითდასაქმებულ ოჯახის წევრებს. ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე 10-17 წლის ასაკის¹ ბავშვების რაოდენობა დაახლოებით 8-ჯერ აღემატება ამავე ასაკის დაქირავებით მომუშავე ბავშვების რაოდენობას (შესაბამისად, 87.0% და 10.5%). უფროს ასაკობრივ ჯგუფებში იზრდება ბავშვების ჩართულობა სხვა დარგებში და შესაბამისად მცირდება დასაქმებულ ბავშვებში ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე ბავშვების წილი. ასაკის მატებასთან ერთად ბავშვები იძენენ დამატებით უნარებს, რაც მათ სხვა ალტერნატიული სამუშაოს პოვნის შესაძლებლობას აძლევს.

10-17 წლის ასაკის დასაქმებული ბავშვები კვირაში საშუალოდ 11.8 საათს მუშაობენ. ქალაქში ბავშვები შედარებით მეტს მუშაობენ ვიდრე სოფელში (შესაბამისად, 14.7 და 11.1 საათი კვირაში), რაც იმით აიხსნება, რომ ქალაქში დაქირავებით დასაქმებულია 31.1%, ხოლო სოფელში - მხოლოდ 6.4%. დაქირავებით დასაქმებულთა კვირაში საშუალოდ ნამუშევარი საათები 27.7 უტოლდება, რაც საგრძნობლად აღემატება თვითდასაქმებულთა (9.9 საათი)

¹ გამოკვლევის კითხვარის სტრუქტურიდან გამომდინარე, გარკვეული კითხვები მცირე ასაკის (5-9 წლის ასაკის) ბავშვებზე არ იყო განკუთვნილი, შესაბამისად, გარკვეული შეფასებები 10-17 წლის ასაკის ბავშვებზე გაკეთდა.

ანალოგიურ მაჩვენებელს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ბავშვები მუშაობენ კვირაში საშუალოდ 10.2 საათს, ამასთან, სოფლის მეურნეობის ქვედარგებიდან, მემცენარეობაში დასაქმებული ბავშვები მუშაობენ 12.0 საათს, მეცხოველეობაში დასაქმებულები - 11.2 საათს, ხოლო შერეულ სოფლის მეურნეობაში - 8.7 საათს.

10-17 წლის ასაკის დასაქმებულ ბავშვთაგან ყველაზე მეტი - 63.0%, მუშაობის ძირითად მიზეზად ოჯახურ საწარმოს/მეურნეობის დახმარებას ასახელებს, 23.8% - შემოსავლის გაზრდას, ხოლო დასაქმებულ ბავშვთა 19.6% უნარების შესასწავლად მუშაობს.


ბავშვთა შრომა და სახიფათო შრომა

5-17 წლის ასაკის ბავშვების 4.2% ჩართულია ბავშვთა შრომაში, მათ შორის ბიჭების 6.3% და გოგონების 1.9%. ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების ნახევარზე მეტი (51.8%) 5-13 წლისაა (მსუბუქი სამუშაოსთვის დასაშვები მინიმალური ასაკის ქვევით). ბავშვთა დასაქმების სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის დომინირების გამო, სოფლის ტიპის დასახლებებში გაცილებით მეტი ბავშვია ჩართული ბავშვთა შრომაში, ვიდრე ქალაქის ტიპის დასახლებებში. კერძოდ, ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვებიდან 84.0% ცხოვრობს სოფელში, ხოლო 16.0% ქალაქში.

ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების 63.9% „სახიფათო სამუშაოს“ ასრულებს, ხოლო 36.1% ჩართულია „სახიფათოსგან განსხვავებულ ბავშვთა შრომაში“. 5-13 წლის ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვებიდან 31.6% სახიფათო შრომითაა დაკავებული, ხოლო 68.4% სახიფათოსგან განსხვავებული ბავშვთა შრომით. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში დასაქმებისთვის დასაშვები მინიმალური ასაკობრივი ზღვარი 16 წელს შეადგენს, ბავშვთა შრომაში ჩართული 16-17 წლის ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების 100% სახიფათო შრომის კატეგორიაშია მოხვედრილი.

სქესის მიხედვით, „სახიფათო შრომით“ დაკავებულია ბავშვთა შრომაში ჩართული ბიჭების 67.4% და გოგონების 51.4%. ქალაქის ტიპის დასახლებებში „სახიფათო სამუშაოს“ ასრულებს ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების 78.6%, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 61.1%.

დიაგრამა 1. ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევის ძირითადი მიგნებები¹



განათლების მახასიათებლები

5-17 წლის ასაკის ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა (95.9%) დადის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რაც იმით აიხსნება, რომ განათლების საბაზო საფეხურის (9 კლასი) გავლა სავალდებულოა, ხოლო კანონით დადგენილი წესით ზოგად განათლებას (12 კლასი) სახელმწიფო აფინანსებს.

ბავშვების უდიდესი ნაწილი (90.7%) მხოლოდ სწავლითაა დაკავებული, 5.2% ერთდროულად სწავლობს და მუშაობს, ხოლო იმ ბავშვების წილი, რომლებიც არც მუშაობს და არც სწავლობს, 3.5%-ს შეადგენს.

ბავშვები, რომლებიც სახიფათო სამუშაოებს ასრულებენ, სწავლაში ჩართულობის შედარებით დაბალი მაჩვენებლით (83.9%) ხასიათდებიან, სახიფათოსგან განსხვავებულ ბავშვთა შრომაში (97.9%) და დასაშვებ შრომაში (90.8%) ჩართულ ბავშვებთან შედარებით.

მონაცემებიდან ჩანს, რომ 5-13 წლის ასაკის ბავშვებში დასაქმება არ ახდენს ზეგავლენას სწავლის პროცესში მათ ჩართულობის დონეზე (სწავლის პროცესში ჩართულია მომუშავე ბავშვების 98.9% და არამომუშავეების 96.7%). უფროსი ასაკის ჯგუფებში დასაქმებასა და სწავლაში ჩართულობას შორის უკუკავშირი იკვეთება - ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება დასაქმების დონე, დასაქმებული ბავშვების სწავლაში ჩართულობა კი კლების ტენდენციით ხასიათდება. 16-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში სწავლის პროცესში ჩართულ არამომუშავე და მომუშავე ბავშვების პროცენტულ მაჩვენებლებს შორის სხვაობა 17.1-ს უტოლდება. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას (94.6%) მიღებული აქვთ სავალდებულო საბაზო განათლება და დასაქმებისთვის დადგენილი ასაკის მინიმალურ ზღვარს გადაცილებულები არიან.

არამომუშავე ბავშვებში, იმ ბავშვების წილი, ვინც სწავლა მიატოვა, 1.4%-ის ტოლია. მას დაახლოებით 7-ჯერ აღემატება მომუშავე ბავშვების ანალოგიური მაჩვენებელი (10.1%). უნდა

¹ ბავშვები შეიძლება ჩართული იყვნენ სახიფათო შრომაში რამდენიმე კრიტერიუმით. შესაბამისად, ისინი შეიძლება ერთდროულად მოხვდნენ მოცემულ რამდენიმე კატეგორიაში.

აღინიშნოს ისიც, რომ სახიფათო შრომით დაკავებულ ბავშვებში აღნიშნული მაჩვენებელი 16.1%-ს უტოლდება.

კვლევამ აჩვენა, რომ უმაღლესი განათლება უფრო იშვიათად აქვთ მიღებული ბავშვთა შრომით დაკავებულ ბავშვთა მშობლებს (მამის/მეურვის - 18.4%, დედის/მეურვის - 17.9%), ვიდრე არამომუშავე ბავშვთა მშობლებს (მამის/მეურვის - 38.2%, დედის/მეურვის - 41.0%).

სხვა შესაბამისი მახასიათებლები

ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების უმეტესობა ცხოვრობს შედარებით დაბალი შემოსავლების მქონე შინამეურნეოებში და შემოსავლების ზრდასთან ერთად მათი რიცხვი მცირდება. დაახლოებით მსგავსი ტენდენცია ახასიათებს დასაშვებ შრომაში ჩართულ ბავშვებსაც.

სახიფათო შრომაში ჩართული ბავშვების 87.8% ჯანმრთელობისათვის საზიანო პირობებში¹ მუშაობს, ბიჭების 86.4% და გოგონების 94.5%. რაოდენობრივად ჯანმრთელობისთვის საზიანო პირობებში ჩართული ბიჭების რაოდენობა 4.5-ჯერ აღემატება გოგონების ანალოგიურ მაჩვენებელს.

დასკვნები

„მომუშავე ბავშვები“ და „ბავშვთა შრომა“ არ უნდა იყოს გაიგივებული. „ბავშვთა შრომა“ გულისხმობს ბავშვთა ჩართულობას აკრძალულ შრომაში და უფრო ზოგადად ისეთი ტიპის საქმიანობაში, რომელიც აღმოსაფხვრელია, როგორც სოციალურად და მორალურად არასასურველი.

საქართველოში მცხოვრები 5-17 წლის ასაკის ბავშვიდან, 5.8% გამოკვლევის მომენტის წინა ერთ კვირაში დაკავებული იყო ეკონომიკური საქმიანობით, 4.2% ჩართული იყო ბავშვთა შრომაში, ხოლო 2.7% - სახიფათო შრომაში. სახიფათო შრომაში ჩართულ ბავშვებში იმ ბავშვთა წილი, ვინც სწავლა შეწყვიტა, 16.1%-ს შეადგენს.

დასაქმებული ბავშვების უმრავლესობა დასაქმების მიზეზად ასახელებს ოჯახურ საწარმოს/მეურნეობის დახმარებას და ოჯახის შემოსავლის გაზრდას. ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების მშობლების განათლების დონე შედარებით დაბალია არამომუშავე ბავშვების მშობლების განათლების დონესთან შედარებით.

სიღარიბე და დაბალი შემოსავალი არის ბავშვთა შრომის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი.

¹ მოიცავს შემდეგს: არაჯანსაღი სამუშაო გარემო (მტვერი, კვამლი, ცეცხლი, გაზი, ხმაური, უკიდურესი სიცივე ან სიცხე, სახიფათო ინსტრუმენტები, მიწის ქვეშ ან სიმაღლეზე მუშაობა, წყალში მუშაობა, სიბნელეში მუშაობა, არასაკმარისი ვენტილაცია, ქიმიური ნივთიერებები, ასაფეთქებელი ნივთიერებები, სხვა საგნები, რომლებიც მავნეა ჯანმრთელობისთვის), მძიმე ტვირთის ტარება ან/და სახიფათო ტექნიკის/მოწყობილობების გამოყენება.


2. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა¹

მოცემული თავი მოიცავს საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულ მაჩვენებლებს. ასევე ინფორმაციას ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების, შრომის ბაზრისა და ცხოვრების დონის შესახებ.

2.1. დემოგრაფიული მდგომარეობა

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 3720.4 ათას ადამიანს, მათ შორის 47.8% (1779.5 ათასი) კაცი და 52.2% (1940.9 ათასი) ქალი. მოსახლეობის 57.2% ცხოვრობს ქალაქად, ხოლო 42.8% სოფლად. დიაგრამა 2.1-ზე მოცემულია საქართველოს მოსახლეობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით. 25-29 წლის ასაკობრივი ჯგუფის ჩათვლით კაცების რაოდენობა 7.7%-ით აღემატება ქალების რაოდენობას, ხოლო უფრო მაღალ ასაკობრივ ჯგუფებში ქალები 17.4%-ით ჭარბობენ კაცებს.

დიაგრამა 2.1. სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა
(2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით), %



საქართველოს მოსახლეობის 29.9% (1113.4 ათასი კაცი) ცხოვრობს დედაქალაქ თბილისში. ასევე, მოსახლეობის მნიშვნელოვანი წილი ცხოვრობს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (15.2%) და ქვემო ქართლის (11.5%) რეგიონებში. რეგიონების მიხედვით მოსახლეობის განაწილება მოცემულია ცხრილ 2.1-ში.

¹ მეორე თავში მოცემული ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს საქსტატის მიმდინარე ოფიციალური მონაცემები.

**ცხრილი 2.1. საქართველოს მოსახლეობის განაწილება რეგიონების მიხედვით,
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით**


	ათასი კაცი	წილი საქართველოს მოსახლეობაში (%)
საქართველო	3,720.4	100.0
კახეთი	318.4	8.6
თბილისი	1,113.0	29.9
შიდა ქართლი	263.8	7.1
ქვემო ქართლი	426.4	11.5
სამცხე-ჯავახეთი	160.5	4.3
აჭარის ა. რ.	337.0	9.1
გურია	113.0	3.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი ¹	329.7	8.9
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი ²	564.4	15.2
მცხეთა-მთიანეთი	94.2	2.5

2015 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას შეადგენდა 72.9 წელს, მათ შორის კაცისთვის - 68.6, ხოლო ქალისთვის გაცილებით მეტს - 77.2 წელს. 1 წლამდე ასაკის ბავშვების გარდაცვალების მაჩვენებელი 2015 წელს ყოველ 1000 დაბადებულზე 8.6 ბავშვს შეადგენდა (507 ბავშვი, 275 ბიჭი და 232 გოგო), რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 9.5%-ით ნაკლებია (ყოველ 1000 დაბადებულზე 9.5 ბავშვი).

2.2. ეკონომიკური და შრომის ბაზრის მახასიათებლები

2015 წელს საქართველოს მთლიანმა შიდა პროდუქტმა 14.0 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო ერთ სულზე 3759.0 აშშ დოლარი შეადგინა. 2009 წელს ომისა და ფინანსური კრიზისის ფონზე საქართველოს ეკონომიკა შემცირდა 3.7%-ით. მას შემდეგ ეკონომიკური ზრდის ტემპი დადებითია და 2014 წელს 4.6%, ხოლო 2015 წელს 2.8% შეადგინა. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური წლიური ზრდა 2004-2015 წლებში მოცემულია დიაგრამა 2.2-ზე.

დიაგრამა 2.2. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური წლიური ზრდა 2004-2015 წლებში, (%)




საქართველოს ეკონომიკის ყველაზე დიდი წილი უკავია ვაჭრობას (16.6%) და მრეწველობას (16.5%). ტრანსპორტს და კავშირგაბმულობას მთლიანი შიდა პროდუქტის 10.7%-იანი წილი აქვს. სოფლის მეურნეობაზე კი მთლიანი შიდა პროდუქტის 9.2% მოდის. ასევე, ეკონომიკის

¹ შემდგომში - სამეგრელო.

² შემდგომში - იმერეთი.


მნიშვნელოვანი დარგია მშენებლობა, მთლიანი შიდა პროდუქტის 8.0%-ით. მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილება დარგების მიხედვით 2015 წელს მოცემულია დიაგრამა 2.3-ზე.

დიაგრამა 2.3. მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილება დარგების მიხედვით 2015 წელს, %




2015 წლის დეკემბრის თვეში, წინა წლის ანალოგიურ თვესთან შედარებით, ინფლაციამ შეადგინა 4.9%. 2015 წლის დეკემბერში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ფასები ყველაზე მეტად გაიზარდა ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე (11.0%-ით) და ჯანმრთელობის დაცვაზე (10.5%-ით). პროდუქტების ძირითადი ჯგუფებიდან ფასების კლება დაფიქსირდა მხოლოდ ტრანსპორტზე 4.2%-ით. დიაგრამა 2.4-ზე მოცემულია 2015 წლის წლიური ინფლაციის დონე თვეების მიხედვით.

დიაგრამა 2.4. წლიური ინფლაციის დონე საქართველოში (წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება), 2015 წელი



რაც შეეხება შრომის ბაზრის მაჩვენებლებს საქართველოში, გასული 18 წლის განმავლობაში უმუშევრობის დონემ მაქსიმუმს 2009 წელს (16.9%) მიაღწია. 2010 წლიდან აღინიშნება უმუშევრობის დონის ყოველწლიური შემცირება და 2015 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 12.0% შეადგინა (იხ. დიაგრამა 2.5), რაც ბოლო 12 წლის მინიმუმს შეადგენს. 2015 წელს 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის აქტიურობის დონემ 67.8% შეადგინა, ხოლო დასაქმების დონემ - 59.7%. ამავდროულად, უმუშევრობა უფრო მაღალია კაცებში (13.5%), ვიდრე ქალებში (10.2%). თუმცა, უნდა ითქვას, რომ კაცებში მაღალი უმუშევრობა განპირობებულია აქტიურობის შედარებით მაღალი დონით - 78.1%, მაშინ როდესაც ქალებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 58.9%-ს შეადგენს.

დიაგრამა 2.5. უმუშევრობის დონე, 1998-2015 წლები (%)



რაც შეეხება ქალაქ-სოფლის ჭრილს, სოფელში უმუშევრობის დონე 16.7 პროცენტული პუნქტით ნაკლებია ვიდრე ქალაქში, რისი მიზეზიც დასაქმების სტრუქტურაშია. კერძოდ, ქვეყანაში დასაქმებულთა უმრავლესობა (57.2%) თვითდასაქმებულია. სოფელში საკმაოდ მაღალია თვითდასაქმებულთა წილი - 76.2%, მაშინ როდესაც ქალაქში საპირისპირო

სიტუაციაა და დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა (დასაქმებულების 73.0%) მნიშვნელოვნად აღემატება თვითდასაქმებულთა რაოდენობას.

რეგიონების მიხედვით, უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი დედაქალაქ თბილისშია (21.4%) და განსხვავდება რეგიონების მიხედვით, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებს სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა წილი. მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით რეგიონულ ჯრილში მოცემულია ცხრილ 2.2-ში.

ცხრილი 2.2. 2015 წელს 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, რეგიონულ ჯრილში (%)

	უმუშევრობის დონე	აქტიურობის დონე	დასაქმების დონე
კახეთი	5.9	71.4	67.1
თბილისი	21.4	56.6	44.5
შიდა ქართლი	9.0	70.8	64.4
ქვემო ქართლი	9.4	72.8	66.0
აჭარის ა.რ.	15.1	70.8	60.1
სამეგრელო	12.5	70.6	61.8
იმერეთი	8.8	70.8	64.6
დანარჩენი რეგიონები ¹	4.7	76.5	72.9
საქართველო	12.0	67.8	59.7

თუ გავანალიზებთ ასაკობრივ სტრუქტურას, 2015 წელს უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე ფიქსირდება 20-24 წლის ახალგაზრდებში (32.0%), სადაც აქტიურობის დონე 61.2%-ია. აქტიურობის დონე მატულობს ასაკის ზრდასთან ერთად და ყველაზე მაღალ მაჩვენებელს 40-44 წლის ასაკის მოსახლეობაში აღწევს (86.6%), ხოლო ყველაზე დაბალს 15-19 წლის ასაკის მოსახლეობაში (17.7%).

2.3. ცხოვრების დონის მაჩვენებლები


ცხოვრების დონის ძირითადი მაჩვენებლებია, ერთის მხრივ მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობა, ხოლო მეორეს მხრივ, მათი სტრუქტურა და უთანაბრობა.

2015 წელს საქართველოში შინამეურნეობის საშუალო თვიურმა ფულადმა შემოსავალმა 816.1 ლარი, მთლიანმა შემოსავალმა - 899.8 ლარი, ხოლო სულ ფულადმა და არაფულადმა სახსრებმა 1022.3 ლარი შეადგინა. როგორც დიაგრამა 2.6-ზე ჩანს, 2001 წლიდან მოყოლებული, შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი ყოველწლიურად იზრდება. რაც შეეხება ერთ სულზე შემოსავლებს, 2015 წელს მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო თვიურმა ფულადმა შემოსავლებმა 227.1 ლარი, მთლიანმა შემოსავლებმა - 250.4 ლარი, ხოლო ფულადმა და არაფულადმა სახსრებმა 284.5 ლარი შეადგინა.

2015 წელს, ერთ შინამეურნეობაზე საშუალო შემოსავლები ქალაქში 26.6%-ით მაღალია ვიდრე სოფელში და შესაბამისად 1142.3 ლარს და 902.2 ლარს შეადგენს.

¹ აქ და შემდგომ მოიცავს სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს.

დიაგრამა 2.6. 2001-2015 წლებში მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება, გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე (ლარი)



საქართველოს შინამეურნეობების საშუალო თვიურ ფულად შემოსავლებში ყველაზე დიდი წილი (46.9%) უკავია დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავალს (382.9 ლარი), ასევე, შინამეურნეობის ფულად შემოსავლებში მნიშვნელოვანი წილი (18.3%) უკავია პენსიებს, სტიპენდიებს და დახმარებებს - საშუალოდ 149.5 ლარი თვეში.

**ცხრილი 2.3. 2011-2015 წლებში მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება
განგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე (ლარი)**

	2011	2012	2013	2014	2015
1. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები	512.0	583.0	689.5	771.8	816.1
დაქირავებული შრომიდან	214.3	247.3	297.0	325.5	382.9
თვითდასაქმებიდან	54.7	66.7	72.7	75.8	81.2
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	47.1	48.0	50.2	70.5	79.7
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაზრიდან)	5.5	4.3	7.5	9.1	9.0
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	87.0	96.2	124.5	151.1	149.5
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	29.0	28.7	34.8	36.0	28.6
საჩუქრად მიღებული ფული	74.3	91.9	102.7	103.7	85.3
2. არაფულადი შემოსავლები	93.4	90.8	84.6	89.9	83.6
3. შემოსავლები, სულ (1+2)	605.4	673.8	774.1	861.6	899.8
4. სხვა ფულადი სახსრები	100.6	114.6	113.2	122.3	122.5
ქონების გაყიდვა	16.0	21.0	7.9	9.1	8.0
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	84.5	93.6	105.2	113.2	114.5
5. ფულადი სახსრები, სულ (1+4)	612.5	697.6	802.7	894.0	938.6
6. ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ (2+5)	705.9	788.4	887.2	983.9	1,022.3

2015 წელს საქართველოს შინამეურნეობების საშუალო თვიურმა სამომხმარებლო ფულადმა ხარჯებმა შეადგინა 646.1 ლარი, მთლიანად ფულადმა ხარჯებმა 921.0 ლარი, ხოლო მთლიანმა ხარჯებმა 1004.7 ლარი. სამომხმარებლო ფულად ხარჯებში ყველაზე დიდი წილი (36.7%) მოდის სურსათზე, სასმელზე და თამბაქოზე (237.0 ლარი თვეში). ასევე, ერთი შინამეურნეობა თვეში საშუალოდ 80.5 ლარს (12.5%) ხარჯავს ჯანმრთელობის დაცვაზე (იხ. ცხრილი 2.4).


ცხრილი 2.4. 2011-2015 წლებში მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე (ლარი)

	2011	2012	2013	2014	2015
1. სამომხმარებლო ფულადი ხარჯები	475.7	512.1	586.2	628.9	646.1
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	192.4	194.8	219.5	230.0	237.0
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	17.4	18.8	22.8	24.9	27.3
საოჯახო მოხმარების საქონელზე	18.0	20.3	27.2	29.4	31.9
ჯანმრთელობის დაცვაზე	55.4	58.8	68.8	75.4	80.5
სათბობსა და ელექტროენერგიაზე	59.0	65.7	66.3	72.3	77.6
ტრანსპორტზე	45.7	52.4	62.6	65.5	71.6
განათლებაზე	17.4	21.9	23.4	23.5	20.2
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	70.4	79.4	95.6	108.0	99.8
2. არაფულადი ხარჯები	93.4	90.8	84.6	89.9	83.6
3. სამომხმარებლო ხარჯები, სულ (1+2)	569.1	602.8	670.8	718.8	729.8
4. არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები	119.2	163.2	200.4	237.4	274.9
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	14.5	16.0	19.7	20.6	26.0
ტრანსფერტებზე	19.5	23.0	27.1	35.8	39.9
დაზოგვაზე ან გასესხებაზე	51.6	96.9	120.6	145.0	177.4
ქონების შეძენაზე	33.5	27.4	32.9	35.9	31.5
5. ფულადი ხარჯები, სულ (1+4)	594.9	675.3	786.6	866.3	921.0
6. ხარჯები, სულ (2+5)	688.3	766.1	871.1	956.2	1,004.7

ქალაქ-სოფლის ჭრილში გაანალიზებისას ჩანს, რომ ქალაქში ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური ხარჯი არის 23.8%-ით მაღალი სოფლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, 1111.6 და 897.8 ლარი შესაბამისად.

2015 წელს, საქართველოში რეგისტრირებული სიღარიბე (საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა) შეადგენდა 10.1%-ს. რაც შეეხება ფარდობით სიღარიბეს, 2015 წელს მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით იმყოფებოდა მოსახლეობის 20.1%, ხოლო მედიანური მოხმარების 40%-ის ქვევით - 7.1%. ფარდობითი სიღარიბე შედარებით დაბალია ქალაქში და შეადგენს 14.7%-ს, აღნიშნული მაჩვენებელი სოფელში 25.3%-ია. წლების მიხედვით ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები მოცემულია დიაგრამა 2.7-ზე.

დიაგრამა 2.7. მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 2004-2015 წლებში (%)



ფარდობითი სიღარიბის (მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ) მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ქვემო ქართლის (30.8%), შიდა ქართლის (30.5%) და კახეთის (28.5%) რეგიონებში. აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით დაბალია აჭარის (21.4%), სამეგრელოსა (18.3%) და იმერეთის (19.6%) რეგიონებში, ხოლო მინიმალური მნიშვნელობას იღებს თბილისში (11.1%).


ცხრილი 2.5. 2015 წლის ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები, რეგიონების მიხედვით¹

რეგიონი	მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%)	მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%)
კახეთი	28.5	11.4
თბილისი	11.1	3.2
შიდა ქართლი	30.5	11.9
ქვემო ქართლი	30.8	9.5
აჭარის ა. რ.	21.4	8.5
სამეგრელო	18.3	5.1
იმერეთი	19.6	7.3
დანარჩენი რეგიონები	19.7	7.9
საქართველო	20.1	7.1

2015 წელს საქართველოში მთლიანი შემოსავლის მიხედვით დათვლილი ჯინის კოეფიციენტი შეადგენდა 0.42-ს. შედარებისათვის 2010 წელს იგივე კოეფიციენტი 0.46, ხოლო 2006 წელს 0.45 იყო.

¹ მონაცემები გაანგარიშებულია მთლიანი საქართველოს მედიანური მოხმარების მიმართ.

დიაგრამა 2.8. შინამეურნეობის მთლიანი შემოსავლების მიხედვით გაანგარიშებული ჯინის კოეფიციენტები, 2006-2015 წლებში



3. კვლევის მეთოდოლოგია

ამ თავში მოცემულია მეთოდოლოგია, რომელიც გამოყენებულ იქნა საქართველოში ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევის განხორციელებისას. ქვეთავებში აღწერილია კვლევის საგანი, სამიზნე ერთობლიობა, კითხვარის სტრუქტურა, შერჩევის დიზაინი, საველე პერსონალის ტრენინგი, პილოტური კვლევის დეტალები, მონაცემთა დამუშავება, შეწონვა და გამოპასუხების მაჩვენებლები.

3.1. კვლევის საგანი და სამიზნე ერთობლიობა

2015 წლის ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევა დაიგეგმა იმ მიზნით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ბავშვთა შრომის სანდო მაჩვენებლების მიღება, როგორც ქვეყნის, ასევე ქალაქ-სოფლისა და შეძლებისდაგვარად რეგიონების დონეზე. აღნიშნული კვლევის სამიზნე ერთობლიობა წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის არაინსტიტუციონალურ ნაწილს, შინამეურნეობებს, სადაც ცხოვრობენ 5-17 წლის ბავშვები. კვლევამ არ მოიცვა „ქუჩაში“ მცხოვრები მოსახლეობა. შინამეურნეობის განსაზღვრებიდან გამომდინარე, შინამეურნეობის წევრებად (ახლადდაქორწინებულებისა და ჩვილების გარდა) განიხილებოდნენ მხოლოდ ის პირები, რომლებიც გამოკითხვის მომენტისათვის ცხოვრობდნენ ან აპირებდნენ ცხოვრებას და შინამეურნეობასთან ერთად სადილობდნენ გასული 12 თვიდან მინიმუმ ექვსი თვის განმავლობაში.

კვლევამ მოიცვა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიები. კვლევის განხორციელების ძირითადი მიზანი იყო ბავშვთა შრომის მასშტაბის განსაზღვრა და მისი მახასიათებლების ამსახველი უტყუარი მონაცემების მიღება.

3.2. კითხვარი

ბავშვთა შრომის კვლევის კითხვარი შედგება სამი ნაწილისგან, რომელიც მოიცავს 12 განყოფილებად დაყოფილ 126 კითხვას. I და II ნაწილებს პასუხობენ შინამეურნეობის ყველაზე ინფორმირებული სრულწლოვანი წევრები, ხოლო III ნაწილს - უშუალოდ ბავშვები.

კითხვარის I ნაწილი მოიცავს ინფორმაციას შინამეურნეობის შემადგენლობასა და დემოგრაფიულ სტრუქტურაზე, შინამეურნეობის წევრების განათლების დონესა და დასაქმების სტატუსზე. I ნაწილი შედგება ექვსი განყოფილებისგან, კერძოდ:

- | | |
|------------------------|---|
| განყოფილება I | შინამეურნეობის შემადგენლობა და შინამეურნეობის წევრების მახასიათებლები; |
| განყოფილება II | შინამეურნეობის 5 წლის და უფროსი ასაკის წევრების განათლების დონე; |
| განყოფილება III | შინამეურნეობის 5 წლის და უფროსი ასაკის წევრების მიმდინარე ეკონომიკური აქტივობის სტატუსი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში; |
| განყოფილება IV | 5-17 წლის შინამეურნეობის წევრების ჩვეული დასაქმების სტატუსი ბოლო 12 თვის განმავლობაში; |
| განყოფილება V | 5-17 წლის შინამეურნეობის წევრების საოჯახო საქმე; |
| განყოფილება VI | მშობლების/მეურვეების აღქმები/დაკვირვებები მომუშავე ბავშვებთან (5-17) დაკავშირებით. |

კითხვარის II ნაწილი მოიცავს ინფორმაციას შინამეურნეობის სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებსა და ამ მახასიათებლების ბოლოდროინდელ ცვლილებებზე. ნაწილი II შედგება ორი განყოფილებისგან, კერძოდ:

განყოფილება VII საცხოვრისის და შინამეურნეობის მახასიათებლები;

განყოფილება VIII შინამეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი.

კითხვარის III ნაწილი (ბავშვების კითხვარი) მოიცავს ინფორმაციას 5-17 წლის ასაკის ბავშვების განათლების დონეზე, მათ ეკონომიკურ აქტივობაზე, საოჯახო საქმეებზე, სამუშაოსთან დაკავშირებულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებზე. I ნაწილის მსგავსად, III ნაწილი მოიცავს კითხვებს განათლების, მიმდინარე ეკონომიკური აქტივობის სტატუსისა და საოჯახო საქმეების შესახებ.

ზოგიერთი კითხვა შედის როგორც I ნაწილში, ასევე III ნაწილში, რაც საშუალებას იძლევა შედარდეს შინამეურნეობის სრულწლოვანი წევრებისა და ბავშვების პასუხები იდენტურ კითხვებზე. კვლევის I ნაწილისგან განსხვავებით, III ნაწილი მოიცავს დეტალურ კითხვებს ბავშვთა სამუშაო პირობებზე და მათთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის საკითხებზე. ამ კითხვებზე პასუხობენ უშუალოდ 5-17 წლის ბავშვები და არა უფროსები. ნაწილი III შედგება ოთხი განყოფილებისგან, კერძოდ:

განყოფილება IX ბავშვების (5-17) განათლების დონე;

განყოფილება X ბავშვების (5-17) მიმდინარე ეკონომიკური აქტივობის სტატუსი;

განყოფილება XI მომუშავე ბავშვების (5-17) (სამუშაოსთან დაკავშირებული) ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხები;

განყოფილება XII ბავშვების (5-17) საოჯახო საქმეები.

3.3. შერჩევის დიზაინი

შერჩევის ჩარჩოდ გამოყენებულ იქნა 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემთა ბაზა. გამოყენებულ იქნა ორსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა, სადაც შერჩევის პირველადი ერთეული (შპე) არის საადწერო უბანი, ხოლო შერჩევის მეორადი ერთეული (შმე) არის შინამეურნეობის მისამართი. გარდა ამისა, შერჩევის ცდომილების შესამცირებლად შემოღებულ იქნა სტრატეგიცირება.

სტრატეგიკაციის ცვლადებს წარმოადგენს:

- რეგიონი:
 1. კახეთი
 2. თბილისი
 3. შიდა ქართლი
 4. ქვემო ქართლი
 5. სამცხე-ჯავახეთი
 6. აჭარის ა. რ.
 7. გურია
 8. სამეგრელო
 9. იმერეთი
 10. მცხეთა-მთიანეთი
- დასახლების ტიპი:
 1. დიდი ქალაქი
 2. საშუალო და პატარა ქალაქი
 3. სოფელი

მთლიანობაში განისაზღვრა 25 სტრატა, რადგან 4 რეგიონში არ არის დიდი ქალაქი, ხოლო თბილისში არ არის საშუალო და პატარა ქალაქი.

3.3.1. შერჩევის ზომა

შერჩევის ზომის განსაზღვრისას ძირითად მიზანს წარმოადგენდა 1.6 დიზაინ ეფექტის პირობებში 1.1 პროცენტული პუნქტის ტოლი ცდომილების მიღება 95%-იანი სანდოობის დონეზე. აღნიშნულ პარამეტრებზე დაყრდნობით, შერჩევის მთლიანმა რაოდენობამ შეადგინა 7715 შინამეურნეობა, შერჩევის პირველადი ერთეულების რაოდენობამ - 643, ხოლო შერჩევის ზომამ შერჩევის პირველად ერთეულში - 12 შინამეურნეობა.

ცხრილი 3.1. შერჩეული სააღწერო უბნებისა და შინამეურნეობების განაწილება სტრატეგიის მიხედვით

	დიდი ქალაქი		საშუალო და პატარა ქალაქი		სოფელი		სულ	
	შპე	შმე	შპე	შმე	შპე	შმე	შპე	შმე
კახეთი	-	-	16	192	49	588	65	780
თბილისი	114	1368	-	-	5	60	119	1428
შიდა ქართლი	11	132	11	132	37	443	59	707
ქვემო-ქართლი	23	276	8	96	38	456	69	828
სამცხე-ჯავახეთი	-	-	15	180	28	336	43	516
აჭარის ა. რ.	29	348	4	48	26	312	59	708
გურია	-	-	8	96	30	360	38	456
სამეგრელო	17	204	10	120	39	468	66	792
იმერეთი	22	264	20	240	47	564	89	1068
მცხეთა-მთიანეთი	-	-	7	84	29	348	36	432
საქართველო	216	2592	99	1188	328	3935	643	7715

3.3.2. შერჩევის განაწილება სტრატებში

იმისათვის რომ, ამომავალი მონაცემების რეგიონების მიხედვით გაანალიზების შესაძლებლობა ყოფილიყო, შესარჩევი შინამეურნეობების რეგიონებს შორის განაწილებისთვის გამოყენებულ იქნა რეგიონში შინამეურნეობების რაოდენობის კვადრატული ფესვის პროპორციული განაწილება, ხოლო რეგიონის შიგნით შერჩეული შინამეურნეობების რაოდენობისთვის - პროპორციული განაწილება დასახლების ტიპის მიხედვით. კვადრატული ფესვის პროპორციული განაწილებისას პატარა რეგიონის წილი (შესარჩევი შინამეურნეობების რაოდენობა) იზრდება, რეგიონებში შინამეურნეობების რაოდენობის პროპორციულ განაწილებასთან შედარებით.

პირველი ეტაპი: სტრატის შიგნით სააღწერო უბნები შერჩეულ იქნა ზომის პროპორციული ალბათობის მეთოდის (PPS) გამოყენებით, ხოლო შესარჩევი უბნების რაოდენობა განისაზღვრა როგორც შესარჩევი შინამეურნეობების რაოდენობა შეფარდებული 12-თან. რეგიონში შინამეურნეობების რაოდენობა აღვნიშნოთ H_i , სულ გამოსაკითხი შინამეურნეობების რაოდენობა - n , ხოლო რეგიონში გამოსაკითხი შინამეურნეობების რაოდენობა - n_i . მაშინ რეგიონში გამოკითხული შინამეურნეობების რაოდენობა გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$n_i = \frac{\sqrt{H_i}}{\sum \sqrt{H_i}} n$$

მეორე ეტაპი: რეგიონში გამოსაკითხი (n_i) შინამეურნეობების რაოდენობის განაწილება მოხდა დასახლების ტიპის ზომის პროპორციულად:

$$n_{ik} = \frac{H_{ik}}{H_i} n_i$$

სადაც, H_{ik} არის შესარჩევი შინამეურნეობების რაოდენობას i რეგიონის k დასახლების ტიპში. აქედან:

$$\sum_{k=1}^k H_{ik} = H_i$$

მესამე ეტაპი: შერჩეული სააღწერო უბნები დაყოფილ იქნა 3 ქვე-სტრატად:

- (ა) შინამეურნეობები, სადაც არ ცხოვრობენ 5-17 წლის ასაკის ბავშვები;
- (ბ) შინამეურნეობები, სადაც ცხოვრობენ 14-17 წლის ბავშვები;
- (გ) დანარჩენი შინამეურნეობები (სადაც ცხოვრობენ მხოლოდ 5-13 წლის ასაკის ბავშვები).

თითო უბანში შერჩევის ზომამ შეადგინა 12 შინამეურნეობა. საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, სამუშაოზე დასაშვები მინიმალური ასაკისა და მსუბუქი სამუშაოსთვის დასაშვები ასაკობრივი ზღვრების გათვალისწინებით, მოხდა შერჩევის დაყოფა 3 ასაკობრივ ჯგუფად (5-13, 14-15 და 16-17). ყოველ ასაკობრივ ჯგუფში საკმარისი რაოდენობის რესპონდენტების უზრუნველყოფის მიზნით, მოხდა თანაბარი რაოდენობის შერჩევა თითოეულ მათგანში. ვინაიდან, ზედა ორი ასაკობრივი ჯგუფი თითქმის თანაბარია და საკმაოდ მცირეა იმისთვის, რომ ცალკეულ ქვე-სტრატებად გამოყოფილიყო, მოხდა 14-15 და 16-17 ასაკობრივი ჯგუფების ერთ ქვე-სტრატად გაერთიანება. შესაბამისად, ამ ქვე-სტრატის შერჩევამ შეადგინა მთლიანი შერჩევის ორი მესამედი (ყოველ სააღწერო უბანში 8 შინამეურნეობა 12-დან). დარჩენილი 4 შინამეურნეობის შერჩევა განხორციელდა (გ) ქვე-სტრატიდან.

ყოველი უბნისთვის სისტემატური შერჩევის მეთოდის გამოყენებით შერჩეულ იქნა 0 შინამეურნეობა ქვე-სტრატიდან (ა), 8 შინამეურნეობა ქვე-სტრატიდან (ბ) და 4 შინამეურნეობა ქვე-სტრატიდან (გ). თუ ქვე-სტრატების (ბ) ან (გ) ზომა იყო მცირე 8 და 4 შინამეურნეობის შესარჩევად, ნაკლები რაოდენობის შერჩევა მოხდა მეორე ქვე-სტრატიდან

(მაგ. თუ (ბ) ქვე-სტრატაში არ აღმოჩნდა საკმარისი რაოდენობის შინამეურნეობა, შესაბამისი ნაკლები რაოდენობის შერჩევა განხორციელდა (გ) ქვე-სტრატებიდან, და პირიქით). თუ რომელიმე სააღწერო უბანში (ბ) და (გ) ქვე-სტრატებში არსებული შინამეურნეობების რაოდენობა 12-ზე მცირე იყო, შერჩეულ იქნა ამ ქვე-სტრატებში არსებული ყველა შინამეურნეობა.

სტრატაში შესარჩევი სააღწერო უბნების (S_{ik}) რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი თანაფარდობით:

$$S_{ik} = \frac{n_{ik}}{12}$$

3.3.3. დამატებითი შინამეურნეობების რაოდენობის განსაზღვრა ქვე-სტრატების მიხედვით

შინამეურნეობების კვლევებიდან ცნობილია, რომ მოსალოდნელი გამოუპასუხებლობის დონე მერყეობს 10-20%-მდე. შესაბამისად, მინიმუმ 7000 შინამეურნეობის გამოპასუხების მისაღწევად განხორციელდა დამატებითი შინამეურნეობების შერჩევა. შერჩეული უბნებიდან სისტემატიური შემთხვევითი შერჩევის გამოყენებით, (სათაო ოფისის მიერ) შერჩეულ იქნა 3 შინამეურნეობა ყოველ 2 უბანზე (ე.ი. შერჩეული უბნების ნახევარში დამატებითი შეირჩა თითო-თითო შინამეურნეობა, ხოლო მეორე ნახევარში - ორ-ორი შინამეურნეობა). იმ სააღწერო უბნებში, სადაც მოხდა ერთი დამატებითი შინამეურნეობის შერჩევა, ეს შინამეურნეობა შერჩეულ იქნა ქვე-სტრატებიდან (ბ). თუ სააღწერო უბნებში, შერჩეულ იქნა ორი დამატებითი შინამეურნეობა, ერთი შერჩეულ იქნა ქვე-სტრატებიდან (ბ), ხოლო მეორე - ქვე-სტრატებიდან (გ).

დამატებული შინამეურნეობების ჩათვლით შერჩევის მთლიანმა ზომამ 8740 შეადგინა.

3.4. პილოტური კვლევა

ვინაიდან დასახლებული პუნქტების ზომა და ტიპი ერთ-ერთი ცვლადი იყო, რომელიც გამოყენებულ იქნა სტრატეგიკული პარამეტრად, პილოტური კვლევა ჩატარდა 3 სხვადასხვა ტიპის დასახლებულ პუნქტში. გამოკითხული შინამეურნეობების მთლიანმა რაოდენობამ შეადგინა 30, ხოლო გამოკითხული 5-17 წლის ასაკის ბავშვების რაოდენობამ - 48. ცხრილში 3.2 მოცემულია გამოკითხული შინამეურნეობებისა და ბავშვების განაწილება დასახლებული პუნქტების მიხედვით.

ცხრილი 3.2. პილოტური კვლევისას გამოკითხული შინამეურნეობებისა და ბავშვების განაწილება დასახლებული პუნქტების მიხედვით

დასახლებული პუნქტი	დასახლებული პუნქტის ტიპი	გამოკითხული შინამეურნეობების რაოდენობა	გამოკითხული 5-17 წლის ბავშვების რაოდენობა
ქ. თბილისი	დიდი ქალაქი	10	13
ქ. მცხეთა	საშუალო და პატარა ქალაქი	10	20
მუხრანი	სოფელი	10	15

პილოტური კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტებისთვის ძირითადად პრობლემატური იყო კითხვაში B6, გათბობისთვის/გაგრილებისთვის ერთი ძირითადი ენერგიის წყაროს მითითება, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში, გათბობას და გაგრილებას ცალკე წყარო აქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კითხვაში B6 დარჩა კითხვა მხოლოდ გათბობის ძირითად წყაროსთან დაკავშირებით, ვინაიდან გაგრილებისთვის საქართველოში, როგორც წესი ელექტროენერგია გამოიყენება.

პილოტურმა კვლევამ ასევე გამოავლინა რამდენიმე ზოგადი ხასიათის პრობლემა:

- ინტერვიუს დროს მცირეწლოვან (5-8 წლის ასაკის) ბავშვებს უჭირდათ კითხვების შინაარსის გაგება და ხშირ შემთხვევებში დამოკიდებულნი იყვნენ შინამეურნეობის სრულწლოვან წევრზე/მშობელზე;
- მათხოვრობის ბლოკი, რესპონდენტების უმრავლესობისთვის საკმაოდ უსიამოვნო იყო და რესპონდენტების გაღიზიანებას იწვევდა. აქედან გამომდინარე ეს ბლოკი ამოღებულ იქნა კითხვარიდან.

3.5. საველე პერსონალის (ინტერვიუერები და ზედამხედველები) ტრენინგი და საველე სამუშაოები

3.5.1. საველე პერსონალის ტრენინგი

საველე პერსონალის ტრენინგი განხორციელდა 2015 წლის 24-29 ნოემბერს 8 ქალაქში, ტრენინგის ხანგრძლივობა შეადგენდა 3 დღეს. შედარებით მცირე რეგიონების (გურია, მცხეთა-მთიანეთი) საველე პერსონალს ტრენინგი ჩაუტარდა მეზობელი რეგიონების საველე პერსონალთან ერთად.

ცხრილი 3.3. საველე პერსონალის ტრენინგის გეგმა, ტრენინგის ჩატარების ადგილის მიხედვით

საველე პერსონალი	ჩატარების ადგილი	რეგიონალური ზედამხედველების რაოდენობა	ინტერვიუერების რაოდენობა
შიდა ქართლი	ქ. გორი	3	20
ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	ქ. თბილისი	5	31
სამცხე-ჯავახეთი	ქ. ახალციხე	2	11
აჭარის ა.რ., გურია	ქ. ბათუმი	5	28
სამეგრელო	ქ. სენაკი	3	22
იმერეთი	ქ. ქუთაისი	4	27
კახეთი	ქ. თელავი	3	22
თბილისი	ქ. თბილისი	5	31

საველე პერსონალის ტრენინგი განახორციელა კვლევის მეთოდოლოგიასა და დიზაინის შემუშავებაში ჩართულმა სამუშაო ჯგუფმა და თითოეული ტრენინგი ჩატარდა ქვემოთ მოცემული წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად:

ტრენინგის პირველი დღე: ტრენინგის პირველი დღის პირველი ნახევარი დაეთმო კვლევის საგნისა და მეთოდოლოგიის განხილვას, ხოლო მეორე ნახევარი - კითხვარის პირველი თავის დეტალურ განხილვას;

ტრენინგის მეორე დღე: ტრენინგის მეორე დღე მთლიანად დაეთმო კითხვარის მეორე და მესამე თავების დეტალურ განხილვას. დღის ბოლოს საველე პერსონალს მიეცა დავალება რამდენიმე კითხვარი შეევსოთ სხვადასხვა შინამეურნეობებში და ტრენინგის მესამე დღეს წარმოედგინათ შევსებული კითხვარები გამოვლენილი პრობლემებისა და დაშვებული შეცდომების განხილვისათვის;

ტრენინგის მესამე დღე: ტრენინგის მესამე დღის პირველი ნახევარი დაეთმო თითოეული ინტერვიუერის მიერ სავარჯიშოდ შევსებული კითხვარების შემოწმებას, ჩატარებული ინტერვიუების შედეგად წარმოშობილი საკითხების დეტალურ განხილვას, ხოლო მეორე ნახევარი - პრაქტიკულ სამუშაოებს, რომლის დროსაც ტარდებოდა იმპროვიზირებული ინტერვიუები საველე პერსონალს შორის.

3.5.2. საველე სამუშაოები

ტრენინგის შემდეგ, საქართველოს მასშტაბით შერჩეული კვლევის საველე პერსონალის რაოდენობამ შეადგინა 222 ადამიანი. მათ შორის 30 რეგიონალური ზედამხედველი და 192 ინტერვიუერი.

ცხრილი 3.4. საველე პერსონალის განაწილება რეგიონების მიხედვით

რეგიონი	რეგიონალური ზედამხედველებ ის რაოდენობა	ინტერვიუერების რაოდენობა	სულ საველე პერსონალი
კახეთი	3	22	25
თბილისი	5	31	36
შიდა ქართლი	3	20	23
ქვემო ქართლი	3	19	22
სამცხე-ჯავახეთი	2	11	13
აჭარის ა. რ.	3	16	19
გურია	2	12	14
სამეგრელო	3	22	25
იმერეთი	4	27	31
მცხეთა-მთიანეთი	2	12	14
საქართველო	30	192	222

საველე სამუშაოების დროს შეცდომების მინიმიზაციის მიზნით საველე ზედამხედველებს დაევალებათ საველე სამუშაოების დაწყებიდან რამდენიმე დღეში თითოეული ინტერვიუერის მიერ შევსებული რამდენიმე კითხვარის კონტროლი და დაშვებულ შეცდომებზე დამატებითი ინსტრუქციების მიცემა.

საველე სამუშაოები მთელს საქართველოში დაიწყო 2015 წლის 30 ნოემბერს და დასრულდა 25 დეკემბერს.

საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ, ინტერვიუერების მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგისა და ხარისხის შემოწმების მიზნით განხორციელდა საველე სამუშაოების შემდგომი მონიტორინგი. საველე სამუშაოების შემდგომი მონიტორინგი ხორციელდებოდა სპეციალური მინი კითხვარის გამოყენებით. მინი კითხვარი მოიცავდა კითხვარის ძირითად კითხვებს. მონიტორინგმა მოიცვა 161 ინტერვიუერის მიერ ჩატარებული ინტერვიუ 322 მისამართზე (გამოკითხული რესპონდენტების რაოდენობამ შეადგინა 644). მონიტორინგის შედეგად საველე სამუშაოების მიმდინარეობაში რაიმე სერიოზული დარღვევები არ გამოვლინდა.

3.6. მონაცემთა დამუშავება

მონაცემების კომპიუტერში ჩაწერა განხორციელდა სპეციალურად კვლევისთვის MS Access-ის ბაზაზე შექმნილი ჩაწერის პროგრამის მეშვეობით, 8 ოპერატორის მიერ. მონაცემთა ბაზაში ჩაწერილი მონაცემების შესაბამისობისა და ლოგიკური კავშირების შემოწმების მიზნით, შემუშავდა ლოგიკური კონტროლების ჩამონათვალი, რომელიც ითვალისწინებდა კითხვარის სტრუქტურის შესაძლო დარღვევებისა და შეუსაბამოების დეტალურ ნუსხას. MS Access-ის ბაზაზე შექმნილი, კვლევისთვის შემუშავებული პროგრამის მეშვეობით განხორციელდა არასრული და შეუსაბამო მონაცემების გადამოწმება კითხვარებთან და საჭიროების შემთხვევაში, საველე პერსონალთან და/ან რესპონდენტებთან დაკავშირება, არსებული შეუსაბამოების გასწორების მიზნით. ლოგიკური კონტროლი განახორციელა 9 ადამიანისგან შემდგარმა სამუშაო ჯგუფმა.

ლოგიკური კონტროლის დასრულების შემდეგ, განხორციელდა მონაცემთა ბაზის გაწმენდა, 5 ადამიანისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის მიერ. მონაცემთა გაწმენდის ძირითადი ამოცანა იყო შედარებით რთული შეუსაბამოებისა და შეცდომების გამოვლენა და მათი შემდგომი გასწორება.

3.7. შეწონვა და გამოუპასუხებლობის დონე

3.7.1. გამოუპასუხებლობის დონე

ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევის გამოუპასუხებლობის დონემ 13.8% შეადგინა, ხოლო გამოკითხული შინამეურნეობების რაოდენობამ - 7533. გამოუპასუხებლობის 19.4% განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ შინამეურნეობამ უარი განაცხადა ინტერვიუზე. რეგიონების მიხედვით ყველაზე დაბალი გამოუპასუხებლობის დონე დაფიქსირდა კახეთის რეგიონში (7.7%), ხოლო ყველაზე მაღალი - თბილისში (21.4%). შედარებით მაღალი გამოუპასუხებლობის მაჩვენებელი (მერყეობს 20-40%-იან მონაკვეთში) გვხვდება შინამეურნეობების ყველა გამოკვლევაში, ვინაიდან საქართველოს ყველაზე დიდი ქალაქის მოსახლეობას ნაკლებად სურს კვლევებში მონაწილეობა.

გამოკითხულ შინამეურნეობებში მცხოვრები 5-17 წლის ასაკის ბავშვების გამოუპასუხებლობის მაჩვენებელმა 3.5% შეადგინა. გამოუპასუხებლობა ძირითადად (77.6%) განპირობებული იყო იმით, რომ ბავშვები, ინტერვიუერის ყველა განხორციელებული ვიზიტის დროს (მინიმუმ 3 ვიზიტი) არ იმყოფებოდნენ სახლში ან დროებით იყვნენ წასულები. მთლიანობაში გამოკითხული ბავშვების რაოდენობამ 11538 ბავშვი შეადგინა.

3.7.2. შეწონვა

შინამეურნეობის საწყისი წონა

თუ შემოვიტანთ შემდეგ აღნიშვნებს:

N_s - s სტრატის ზომა;

$N_{s,u}$ - s სტრატაში u სააღწერო უბნის ზომა;

$N_{s,q}$ - s სტრატაში q ქვე-სტრატის ზომა;

$N_{s,u,q}$ - s სტრატის u სააღწერო უბანში q ქვე-სტრატის ზომა;

n_s - გამოპასუხების რაოდენობა s სტრატაში;

$n_{s,u}$ - გამოპასუხების რაოდენობა s სტრატის u სააღწერო უბანში;

$n_{s,u,q}$ - გამოპასუხების რაოდენობა s სტრატის, u სააღწერო უბნის q ქვე-სტრატაში;

k_s - შერჩეული სააღწერო უბნების რაოდენობა s სტრატაში;

მაშინ, u სააღწერო უბანის შერჩევის ალბათობა არის:

$$P(s, u) = k_s \frac{N_{s,u}}{N_s} \quad (1)$$

ხოლო, s სტრატის, u სააღწერო უბნის q ქვე-სტრატაში კონკრეტული შინამეურნეობის შერჩევის ალბათობა (თუ მოცემული სააღწერო უბანი შერჩეულია) არის:

$$P(q|s, u) = \frac{n_{s,u,q}}{N_{s,u,q}} \quad (2)$$

შესაბამისად, ფორმულებიდან (1) და (2), s სტრატის, u სააღწერო უბნის q ქვე-სტრატაში კონკრეტული შინამეურნეობის შერჩევის ალბათობა არის:

$$P(s, u, q) = P(s, u)P(q|s, u) = k_s \frac{N_{s,u}}{N_s} \frac{n_{s,u,q}}{N_{s,u,q}} = \left(\frac{k_s}{N_s} \right) \times \left(\frac{N_{s,u} \times n_{s,u,q}}{N_{s,u,q}} \right) \quad (3)$$

მაშასადამე, s სტრატის, u სააღწერო უბნის q ქვე-სტრატაში შინამეურნეობის წონა გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$W_{s,u,q} = \frac{1}{P(s,u,q)} = \frac{N_s}{k_s} \times \left(\frac{N_{s,u,q}}{N_{s,u}} \times \frac{1}{n_{s,u,q}} \right) \quad (4)$$

სტრატაში შინამეურნეობების შეწონილი რაოდენობა (შეფასება) ტოლია:

$$\begin{aligned} N_s^{est} &= \sum_{u,q} W_{s,u,q} \times n_{s,u,q} = \sum_{u,q} \frac{N_s}{k_s} \times \left(\frac{N_{s,u,q}}{N_{s,u}} \times \frac{1}{n_{s,u,q}} \right) \times n_{s,u,q} = \sum_{u,q} \frac{N_s}{k_s} \times \frac{N_{s,u,q}}{N_{s,u}} = \sum_u \frac{N_s}{k_s} \times \frac{N_{s,u}}{N_{s,u}} = \\ &= \sum_u \frac{N_s}{k_s} = \frac{N_s}{k_s} k_s = N_s \Rightarrow N_s^{est} = N_s \end{aligned}$$

აქედან, შინამეურნეობების შეწონილი რაოდენობა სტრატაში ტოლია შერჩევის ჩარჩოს შესაბამის სტრატაში არსებული შინამეურნეობების რაოდენობისა, ხოლო შინამეურნეობების შეწონილი რაოდენობა ქვე-სტრატაში არ უდრის შერჩევის ჩარჩოს შესაბამის ქვე-სტრატაში არსებული შინამეურნეობების რაოდენობისა:

$$N_{s,q}^{est} = \sum_u W_{s,u,q} \times n_{s,u,q} = \sum_u \frac{N_s}{k_s} \times \left(\frac{N_{s,u,q}}{N_{s,u}} \times \frac{1}{n_{s,u,q}} \right) \times n_{s,u,q} = N_s \left(\frac{1}{k_s} \sum_u \frac{N_{s,u,q}}{N_{s,u}} \right) \neq N_{s,q}$$

$N_{s,q}^{est} \neq N_{s,q}$ - ამიტომ, s სტრატის q ქვე-სტრატისთვის შემოგვაქვს კორექტირებული წონა, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$W_{s,q} = \frac{N_{s,q}}{N_{s,q}^{est}} \quad (5)$$

აქედან, u სააღწერო უბანში q ქვე-სტრატისთვის წონა გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$W_{s,u,q} = \frac{N_s}{k_s} \times \left(\frac{N_{s,u,q}}{N_{s,u}} \times \frac{1}{n_{s,u,q}} \right) \times \frac{N_{s,q}}{N_{s,q}^{est}} \quad (6)$$

შინამეურნეობის საწყისი წონის კალიბრაცია

კალიბრაციული წონების გაანგარიშებისთვის ვიყენებთ შემდეგ სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებს:

N	სქესი	ასაკობრივი ჯგუფი
1	ბიჭი	5-13
2	ბიჭი	14-15
3	ბიჭი	16-17
4	გოგო	5-13
5	გოგო	14-15
6	გოგო	16-17

გამოთვლების გასამარტივებლად სტრატა არ იქნა გამოყენებული, გაანგარიშება მოხდა მხოლოდ სააღწერო უბნების დონეზე.

M_d - არის d სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფის ზომა შერჩევის ჩარჩოში;

m_{ud}^0 - არის u სააღწერო უბნის d სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფში გამოპასუხების რაოდენობა;

m_{ud} - არის u სააღწერო უბნის d სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფში გამოპასუხების კორექტირებული რაოდენობა;

ფორმულა (6)-ის თანახმად $\mathbf{u}$ სააღწერო უბანში შინამეურნეობების საწყისი წონების საშუალო ტოლია:

$$n_u W_u = \sum_{q=1}^2 W_{s,u,q} \times n_{s,u,q} \Rightarrow W_u = \frac{1}{n_u} \sum_{q=1}^2 W_{s,u,q} \times n_{s,u,q} \quad (7)$$

შესაბამისად, $\mathbf{u}$ სააღწერო უბანში კორექტირებული გამოპასუხების რაოდენობა (m_{ud}) არის:

$$W_u \times m_{ud} = \sum_{q=1}^2 W_{s,u,q} m_{ud}^0 \Rightarrow m_{ud} = \frac{1}{W_u} \sum_{q=1}^2 W_{s,u,q} m_{ud}^0 \quad (8)$$

ფორმულებიდან (7) და (8) მივიღებთ:

$$\sum_{u=1} W_u m_{ud}^0 = M_d^{est} \quad \sum_{u=1} W_u^{calib} m_{ud} = M_d \quad (9)$$

ყოველი სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფისთვის ვპოულობთ $\lambda_1, \lambda_2 \dots \lambda_D$ პარამეტრებს, რომლებმაც შემდეგი პირობა უნდა დააკმაყოფილონ:

$$W_u^{calib} = W_u \left(1 + \sum_d \lambda_d m_{ud} \right) \quad (10)$$

ფორმულების (9) და (10) გამოყენებით ვიღებთ:

$$\begin{aligned} \sum_{u=1} W_u \left(1 + \sum_d \lambda_d m_{ud} \right) m_{ud} &= M_d \\ \sum_{d_1} \lambda_{d_1} \left(\sum_{u=1} W_u m_{ud_1} m_{ud} \right) &= M_d - \sum_{u=1} W_u m_{ud} \end{aligned} \quad (11)$$

თუ:

$$X_{ud_1} = \sqrt{W_u} m_{ud_1} \quad T_{d_1 d} = (X^T \times X)_{dd_1} \quad (12)$$

შესაბამისად ფორმულა (11)-დან ვიღებთ:

$$\lambda_d = \sum_{d_1=1}^D T_{dd_1}^{-1} \left(M_{d_1} - \sum_{u=1} W_u m_{ud_1} \right) \quad (13)$$

ფორმულების (10) და (13) გამოყენებით მივიღებთ კალიბრირებულ წონას $\mathbf{u}$ სააღწერო უბანში - W_u^{calib} .

საბოლოოდ, ფორმულა (6)-ში მოცემულ წონების ($W_{s,u,q}$) ვამრავლებთ შემდეგ კოეფიციენტზე

$$K_u = \frac{W_u}{W_u^{calib}}.$$

აქედან,

$$W_{s,u,q}^{calib} = W_{s,u,q} \times K_u \quad (14)$$

ფორმულა (14)-ში მოცემულია შინამეურნეობის საბოლოო კალიბრირებული წონა.

4. ცნებები და განსაზღვრებები

საქართველო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) წევრია 1993 წლიდან და ამ ხნის განმავლობაში რატიფიცირებული აქვს 17 საერთაშორისო კონვენცია. ამ თავში განხილულ იქნება ბავშვთა უფლებებთან და ბავშვთა შრომასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციები და ამ კონვენციების რატიფიცირებით ნაკისრი ვალდებულებები, როგორც აისახება ეროვნულ კანონმდებლობაში. ასევე ის ცნებები და განმარტებები, რომელიც გამოყენებულ იქნა საქართველოში ბავშვთა შრომის მასშტაბებისა და მახასიათებლების განსაზღვრისათვის.

4.1. შრომის საერთაშორისო სტანდარტები

საქართველოში, მომუშავე ბავშვთა სტატუსის განხილვამდე, ბავშვთა ეკონომიკური აქტივობა უნდა განვასხვავოთ ბავშვთა შრომის აღმოსაფხვრელი ფორმებისაგან, რომელიც შსო-ს კონვენციებით არის განსაზღვრული. ბავშვთა მიერ შესრულებული ყველა სამუშაო არ განეკუთვნება ბავშვთა შრომის აღმოსაფხვრელ ფორმებს. ბავშვების მიერ შესრულებული სამუშაოს ზოგიერთი ფორმა გარკვეულ დონეზე შეიძლება საგანმანათლებლო მიზნებსაც ემსახურებოდეს და ამდენად, ბავშვის საკეთილდღეოდ იყოს მიმართული, მაგ. საოჯახო საქმიანობაში მშობლისთვის დახმარება, მაშინ, როცა ეს საქმიანობა ბავშვს განათლების მიღებაში ხელს არ შეუშლის. საწინააღმდეგო მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ხანგრძლივი სამუშაო დრო, რაც ხელს შეუშლის ბავშვს სწავლაში ან აიძულებს მიატოვოს სასწავლებელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ტერმინი „ბავშვთა შრომა“ ასახავს ბავშვთა ჩართულობას აკრძალულ შრომაში და უფრო ზოგადად ისეთი ტიპის საქმიანობაში, რომელიც აღმოსაფხვრელია, როგორც სოციალურად და მორალურად არასასურველი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. ბავშვთა შრომის მასშტაბებისა და მახასიათებლების გამოკვლევის ამოსავალია ბავშვთა უფლებებთან და ბავშვთა შრომასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციები:

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (UNCRC), 1989;
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ N138, 1973;
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ N182, 1999; და
- მათთან დაკავშირებული შსო-ს დამატებითი რეკომენდაციები (N146 და N190).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების კონვენციას (UNCRC) საქართველო შეუერთდა 1994 წლიდან. აღნიშნული კონვენცია აღიარებს ბავშვის უფლებებს, რომ იგი დაცულ იქნას ეკონომიკური ექსპლუატაციისაგან და ნებისმიერი სახის სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც მისთვის საზიანოა ან ხელს შეუშლის მის განათლებას, ან მავნეა მისი ჯანმრთელობის ან ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარებისათვის.

შსო-ს N138 კონვენცია, რომელიც საქართველოს მიერ რატიფიცირებულ იქნა 1996 წლის 23 სექტემბერს, განსაზღვრავს დასაქმებისათვის დასაშვებ მინიმალურ ასაკს, ზოგადი მინიმალური ასაკის, სახიფათო სამუშაოსათვის დადგენილი მინიმალური ასაკის და მსუბუქი სამუშაოსათვის დასაშვები მინიმალური ასაკის ჩათვლით. ყოველი შსო-ს წევრი ქვეყანა, რომლისთვისაც ძალაშია შსო-ს N138 კონვენცია სამუშაოზე მისაღები მინიმალური

ასაკის შესახებ, ვალდებულებას იღებს განახორციელოს ეროვნული პოლიტიკა, რომლის მიზანია ბავშვთა შრომის ეფექტური გაუქმების უზრუნველყოფა და სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის გაზრდა მოზარდთა, რაც შეიძლება სრული ფიზიკური და გონებრივი განვითარების შესაბამის დონემდე.

N138 კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მიხედვით სამუშაოზე დასაშვები ზოგადი მინიმალური ასაკი არ შეიძლება იყოს სავალდებულო სასკოლო განათლების დამთავრების ასაკზე და ნებისმიერ შემთხვევაში 15 წელზე დაბალი, ხოლო მინიმალური ასაკი დაქირავებული ხასიათის ან სხვა სახის სამუშაოსათვის, რომელსაც თავისი ხასიათით ან იმ გარემოებების ძალით, რომელშიც ის ხორციელდება, შეუძლია ზიანი მიაყენოს მოზარდის ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან ზნეობას, მისაღები ასაკი არ შეიძლება 18 წელზე ნაკლები. N138 კონვენციის მიხედვით დასაშვებია ზოგიერთი გამონაკლისის გაკეთება:

- *მინიმალური ასაკი:* ქვეყნები, სადაც ეკონომიკა და განათლების ინფრასტრუქტურა ნაკლებად განვითარებულია, შეუძლიათ დაადგინონ დასაშვები მინიმალური ასაკი 14 წლიდან.
- *მსუბუქი სამუშაო:* ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის ან წესდების გათვალისწინებით დასაშვებია 13-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების მიღება მსუბუქ სამუშაოზე, რომელიც: ა) არ არის მავნე ჯანმრთელობის და განვითარებისათვის. ბ) ხელს არ უშლის სკოლაში დასწრებას, მათ მონაწილეობას პროფესიული ორიენტაციის ან მომზადების პროგრამებში, რომლებიც დამტკიცებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ, ან მათ უნარს გამოიყენონ მიღებული ცოდნა. დასაშვები დაბალი მინიმალური ასაკის ზღვარი მსუბუქი სამუშაოსათვის განვითარებადი ქვეყნებისათვის შეიძლება იყოს 12 წელი.

ცხრილი 4.1. მინიმალური ასაკი დასაქმებისათვის შსო-ს N138 კონვენციის მიხედვით

მინიმალური ასაკი დასაქმებისათვის	მინიმალური ასაკი ყველა ქვეყნისათვის გამოყენებადი	მინიმალური ასაკი-გამონაკლისები განვითარებადი ქვეყნებისათვის
ზოგადი მინიმალური ასაკი (მუხლი 2)	არ უნდა იყოს 15 წელზე უმცროსი	არ უნდა იყოს 14 წელზე უმცროსი
მინიმალური ასაკი სახიფათო შრომისათვის (მუხლი 3)	არ უნდა იყოს 18 წელზე უმცროსი	არ უნდა იყოს 18 წელზე უმცროსი. მათი მორალი და უსაფრთხოება უზრუნველყოფილი უნდა იყოს
მინიმალური ასაკი მსუბუქი სამუშაოსათვის (მუხლი 7)	13-15 წელი	12-14 წელი

შსო-ს N182 კონვენცია, რომელიც საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2002 წლის 24 ივლისს, განსაკუთრებულად ხაზს უსვამს ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებებს. N182 კონვენციის მესამე მუხლის თანახმად ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმები შეიცავს:

ა) მონობის ან მონობის მსგავსი პრაქტიკის ყველა ფორმას, როგორცაა, ბავშვების გაყიდვა და ბავშვებით ვაჭრობა, სავალო კაბალა და ბატონყმური დამოკიდებულება, აგრეთვე, იძულებითი ან სავალდებულო შრომა, მათ შორის ბავშვების იძულებითი ან სავალდებულო დაქირავება შეიარაღებულ კონფლიქტებში მათი გამოყენების მიზნით;

ბ) ბავშვის გამოყენებას, შეთავაზებას ან დაქირავებას პროსტიტუციაში, პორნოგრაფიული პროდუქციის შექმნისათვის ან პორნოგრაფიული წარმოდგენისათვის;

გ) ბავშვის გამოყენებას, დაქირავებას ან შეთავაზებას მართლსაწინააღმდეგო საქმიანობისათვის, კერძოდ, ნარკოტიკების წარმოებისა და გაყიდვისათვის, როგორც ეს განსაზღვრულია შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებში;

დ) სამუშაოს, რომელმაც თავისი ხასიათით ან პირობებით, რომელშიც ის სრულდება, შეიძლება ზიანი მოუტანოს ბავშვის ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან ზნეობას.

საქმიანობები, რომლებიც ჩამოთვლილია (ა) - (გ) პარაგრაფებში განიხილება, როგორც „სახიფათო სამუშაოსგან განსხვავებული ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმები“, ხოლო (დ) როგორც „სახიფათო სამუშაო“.

შსო-ს N190 კონვენციის მიხედვით, „სახიფათო სამუშაოს“ განსაზღვრისათვის შემდეგი პირობები უნდა იქნეს გათვალისწინებული:

ა) სამუშაო, რომელიც ბავშვს ფიზიკური, სულიერი და სექსუალური ძალადობის საფრთხეს უქმნის;

ბ) მუშაობა მიწის ქვეშ, წყალქვეშ, სახიფათო სიმაღლეზე ან დახურულ სივრცეში (შეზღუდული მოცულობის სათავსოებში);

გ) სამუშაო, სადაც გამოიყენება საშიში აპარატურა, სახიფათო აღჭურვილობა ან სამუშაო, რომელიც მოითხოვს ხელით დამუშავებას ან მძიმე ტვირთის ზიდვას;

დ) მუშაობა არაჯანსაღ გარემოში, მაგალითად, სამუშაო, რომლის შესრულებაც ბავშვს უწევს საშინო ნივთიერებების, პროცესების, ტემპერატურის, ხმაურის ან ვიბრაციის პირობებში, რაც ბავშვის ჯანმრთელობას აზიანებს;

ე) მუშაობა განსაკუთრებულად მძიმე პირობებში, როგორცაა ხანგრძლივი დროით ან ღამის განმავლობაში ან სამუშაო, სადაც ბავშვი უმიზეზოდ დამწყვდეულია დამსაქმებლის შენობაში/ნაგებობაში.

4.2. ეროვნული კანონმდებლობა

საქართველო, როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა ვალდებულია შრომის კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს იმ სტანდარტებთან, რომელსაც შსო უწესებს ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს. ამ დროისათვის საქართველოს 17 კონვენცია აქვს რატიფიცირებული, მათ შორის ბავშვთა შრომასთან დაკავშირებული კონვენციები, რითაც აიღო ვალდებულება შეესრულებინა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებანი.

ქვემოთ მოცემულია საქართველოს კანონმდებლობით, როგორ სრულდება ბავშვთა კონვენციებში მოთხოვნილი ვალდებულებები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით საქართველოში არასრულწლოვნად/ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი დაბადების მომენტიდან 18 წლის ასკამდე, ხოლო საქართველოს შრომის კოდექსი კრძალავს არასრულწლოვნებთან ხელშეკრულების დადებას მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოს შესასრულებლად.

დასაქმებისათვის დასაშვებ მინიმალურ ასაკთან დაკავშირებით (შსო-ს N138 კონვენცია), საქართველოს შრომის კოდექსი სამუშაოზე მიღების ზოგად მინიმალურ ასაკად ადგენს 16 წელს. ხოლო, 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად (საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 4-ის 1, 2, 3 და 4 პუნქტები).

სამუშაო დროის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია, რომ 16-17 წლის ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს, ხოლო 14-15 წლის ასაკის არასრულწლოვნებისათვის - 24 საათს (საქართველოს შრომის კოდექსი, მუხლი 14-ის 3 და 4 პუნქტები).

ასევე, საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს არასრულწლოვნის მუშაობას ღამის სამუშაოზე 22 საათიდან დილის 6 საათამდე (შრომის კოდექსი, მუხლი 18)

ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევის მასშტაბების და მახასიათებლების გაზომვის მიზნით, სამუშაოზე დასაშვებ მინიმალურ ასაკთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბავშვები დაიყო 3 ასაკობრივ ჯგუფად:

- 16-17 წლის ასაკობრივი ჯგუფი - სამუშაოზე დასაშვებ ზოგად მინიმალურ ასაკზე ზევით;
- 14-15 წლის ასაკობრივი ჯგუფი - ბავშვები, მსუბუქი სამუშაოსათვის დასაშვები ასაკობრივი საზღვრების ფარგლებში;

- 5-13 წლის ასაკობრივი ჯგუფი - ბავშვები, მსუბუქი სამუშაოსათვის დასაშვები მინიმალური ასაკის ქვევით.

განათლებასთან დაკავშირებით, საქართველოს კონსტიტუციით სკოლამდელ აღზრდას სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით. დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა. ზოგად განათლებას კანონით დადგენილი წესით სრულიად აფინანსებს სახელმწიფო (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35).

4.3. ცნებები და განმარტებები

2015 წლის ბავშვთა შრომის ეროვნულ კვლევაში გამოყენებული ცნებების განმარტებები შემუშავებულია შრომის სტატისტიკოსების მე-13 (რეზოლუცია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმების, უმუშევრობის და არასრული დასაქმების სტატისტიკასთან დაკავშირებით) და მე-18 (რეზოლუცია ბავშვთა შრომის სტატისტიკასთან დაკავშირებით) საერთაშორისო კონფერენციებზე მიღებული რეზოლუციების მიხედვით.

4.3.1. ძირითადი ცნებები და განმარტებები

შინამეურნეობა - პირი ან პირთა ჯგუფი (როგორც ნათესავები, ისე არანათესავები), რომლებიც ცხოვრობდნენ, ერთად სადილობდნენ და ნაწილობრივ ან მთლიანად იზიარებდნენ ბიუჯეტს, გასული 12 თვიდან სულ მცირე ექვსი თვის განმავლობაში. ასევე, ის პირები (ჩვილი ბავშვები, ახლადდაქორწინებულები და სხვა), რომლებიც ცხოვრობენ შინამეურნეობაში 6 თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში, მაგრამ მოსალოდნელია, რომ შინამეურნეობაში მუდმივად იცხოვრობენ.

საანგარიშო პერიოდი - გასული 7 დღე, რომელიც წინ უსწრებდა ინტერვიუს ჩატარებას.

ეკონომიკური საქმიანობა (სამუშაო, დასაქმება) - განისაზღვრება, როგორც ეკონომიკური საქმიანობა 1993 წლის ეროვნული ანგარიშების სისტემის (SNA) მიხედვით. ეკონომიკურ საქმიანობაში იგულისხმება ყველა სახის საბაზრო წარმოება (დაქირავებული სამუშაო) და არასაბაზრო წარმოების გარკვეული სახეები, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და მათი შემდგომი შენახვა; სხვა პირველადი პროდუქტების წარმოება (მარილის მოპოვება, წყლის მომარაგება და ა.შ.); სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავება (მარცვლეულის გალეწვა და გასუფთავება, ფქვილის წარმოება, ყველის, კარაქის, ღვინის და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება და ა. შ.); სხვა სახის წარმოება (ტანსაცმლის კერვა, ფეხსაცმლის წარმოება, კერამიკის, ჭურჭლის და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოება და ა.შ.); მშენებლობა, კაპიტალური რემონტი ან გაფართოება საკუთარი საცხოვრისების, მეურნეობის შენობების და ა.შ.

ეკონომიკური საქმიანობა გამორიცხავს შინამეურნეობის წევრების მიერ იმავე შინამეურნეობაში უსასყიდლოდ გაწეულ ყველა სახის მომსახურებას შინამეურნეობის საბოლოო მოხმარებისათვის (მაგ, საცხოვრისის დასუფთავება, რეცხვა, საჭმლის მომზადება, ბავშვების მოვლა, ავადმყოფებზე, უძლურებსა ან მოხუცებზე ზრუნვა და მისთ).

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) - საანგარიშო პერიოდის (გასული 7 დღე) განმავლობაში დასაქმებული და უმუშევარი პირები;

დასაქმებული - პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, მუშაობდა უსასყიდლოდ ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ;

დაქირავებული - პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სხვა პირისთვის ასრულებდა სამუშაოს ფულადი ან ნატურის სახით ანაზღაურების მიღების მიზნით. ასევე პირი, რომელსაც აქვს სამუშაო, მაგრამ დროებით არ მუშაობდა შვებულების, ავადმყოფობის, წარმოების დროებით გაჩერების, სამუშაოდან დროებით დათხოვნის ან მსგავსი მიზეზების გამო.

დამოუკიდებელი მუშაკი (ეწევა საკუთარ ბიზნესს დაქირავებული პირების გარეშე) - პირი, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ შრომას და მუშაობს მარტო/პარტნიორ(ებ)თან ერთად ან ჩვეულებრივ ეყრდნობა ანაზღაურების გარეშე მომუშავე ოჯახის წევრებს ბიზნესის წარმოებაში, მიწის/ნაკვეთის/ბაღის დამუშავებაში, პირუტყვის მოვლაში და ა.შ.

დამქირავებელი (ეწევა საკუთარ ბიზნესს დაქირავებული მუშაკებით) - პირი, რომელიც ეწევა საკუთარ ბიზნესს, ამუშავებს საკუთარ მიწის ნაკვეთს/ბაღს, უვლის საკუთარ საქონელს და ა.შ. და ამისათვის რეგულარულად ყავს დაქირავებული მუშახელი.

ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე - პირი, რომელიც მუშაობს საკუთარი შინამეურნეობის საწარმოში/მეურნეობაში ანაზღაურების გარეშე.

უმუშევარი - პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი), ბოლო ოთხი კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებდა სამუშაოს და პოვნის შემთხვევაში მზად იყო მუშაობის დასაწყებად უახლოესი ორი კვირის განმავლობაში.

სამუშაო ძალის გარეთ მყოფი - პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი), გასული 4 კვირის განმავლობაში არ ეძებდა სამუშაოს ან ეძებდა სამუშაოს, მაგრამ არ იყო მზად მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.

არაეკონომიკური საქმიანობა - საქმიანობა, რომელიც სცილდება გაეროს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (SNA) წარმოების საზღვრებს, ითვლება "არაეკონომიკურ საქმიანობად". ამგვარი საქმიანობა მოიცავს შინამეურნეობის წევრების მიერ და მათთვის გაწეულ მომსახურებას, როგორიცაა საჭმლის მომზადება და მირთმევა; ტანსაცმლის კემსვა, რეცხვა და დაუთოება; საყიდლების ყიდვა; შინამეურნეობების არასრულწლოვან ან ავადმყოფ/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე წევრებზე ზრუნვა; შინამეურნეობის საცხოვრისის დასუფთავება და მოვლა; შინამეურნეობის საყოფაცხოვრებო ნივთების შეკეთება; შინამეურნეობის წევრების და/ან მათი საქონლის ტრანსპორტირება და ა.შ.

ძირითადი საქმიანობა - თუ პირი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ეწევა ერთზე მეტ საქმიანობას, საქმიანობა, რომელშიც მან მაქსიმალური რაოდენობის სამუშაო საათები გაატარა, ითვლება მის ძირითად საქმიანობად. თუ საქმიანობის ორ სახეში თანაბარი დრო დაიხარჯა, იმ საქმიანობას, რომელსაც მოაქვს შემოსავლის უფრო დიდი წილი, ითვლება ძირითად საქმიანობად.

საქმე (საქმიანობა)/თანამდებობა/პროფესია - განისაზღვრება, როგორც დაკავებული პოზიცია/თანამდებობა ან მოვალეობა, რომელსაც პირი ჩვეულებრივ ასრულებს სამუშაო ადგილზე ფულადი ან ნატურით შემოსავლის მიღების მიზნით. პროფესიები განსაზღვრულ იქნა დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCO-88-ის მიხედვით.

საქმიანობის სახე/სფერო/დარგი - მოიცავს ყველა სახის საწარმოს ან სამუშაოს, რომელშიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იყო დაკავებული პირი საქონლისა და მომსახურების წარმოებით და/ან განაწილებით. ეკონომიკური საქმიანობის სახეები განსაზღვრულია საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორში "ეკონომიკური საქმიანობის სახეები" (სეკ 001 = 2004), რომელიც ეფუძნება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების ევროპულ კლასიფიკატორს NACE rev.1.1 (statistical classification of economic activities in the European Community)

4.3.2. ბავშვთა შრომის განსაზღვრის კრიტერიუმები

ამ ქვესექციაში მოცემულია ძირითადი ცნებების განმარტებები, როგორიცაა ბავშვები, მომუშავე ბავშვები (ან დასაქმებული ბავშვები), სამუშაოს მაძიებელი ბავშვები და საოჯახო საქმით დაკავებული ბავშვები, ასევე კრიტერიუმები, რომელიც გამოყენებულია ბავშვთა შრომის და სახიფათო სამუშაოს განსაზღვრისათვის.

ბავშვი - ბავშვთა უფლებების გაეროს კონვენციისა და ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის N182 კონვენციის (WFCL) თანახმად „ბავშვი“ განისაზღვრება, როგორც 18 წლამდე ასაკის პირი. ვინაიდან საკმაოდ იშვიათია, რომ 5 წლამდე ასაკის ბავშვმა დაიწყოს მუშაობა ან სწავლა, ბავშვთა შრომის ეროვნული კვლევა იკვლევს მხოლოდ 5-17 წლის ასაკის ბავშვებს.

დასაქმებული ბავშვები (მომუშავე ბავშვები) - ბავშვები, რომლებიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუშაობდნენ (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, მუშაობდნენ უსასყიდლოდ ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდნენ სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდნენ მომუშავედ.

ანგარიშში ტერმინები „დასაქმებული ბავშვები“, „მომუშავე ბავშვები“ და „ეკონომიკურად აქტიური ბავშვები“ ერთიდაიგივე კონტექსტში გამოიყენება.

სამუშაოს მაძიებელი ბავშვები - ბავშვები, რომლებიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ მუშაობდნენ და არ ჰქონდათ სამუშაო, თუმცა აღნიშნეს, რომ მათ სურდათ მუშაობა და მზად იყვნენ მუშაობის დასაწყებად მომავალ 2 კვირაში, თუ სამუშაოს შესთავაზებდნენ.

საოჯახო საქმით დაკავებული ბავშვები - ბავშვის მიერ შინამეურნეობაში (ოჯახში) შესრულებული სამუშაო, როგორიცაა საჭმლის მომზადება; ტანსაცმლის კემსვა; რეცხვა და დაუთობა; საყიდლების ყიდვა; შინამეურნეობების არასრულწლოვან ან ავადმყოფ/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე წევრებზე ზრუნვა; შინამეურნეობის საცხოვრისის დასუფთავება და მოვლა; შინამეურნეობის საყოფაცხოვრებო ნივთების შეკეთება; შინამეურნეობის წევრების და მათი საქონლის ტრანსპორტირება.

4.3.3. ბავშვთა შრომის სტრუქტურა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბავშვთა შრომა გულისხმობს ბავშვების ჩართულობას აკრძალულ სამუშაოებში, რომელიც აღმოსაფხვრელია, როგორც სოციალურად და მორალურად არასასურველი.

მოცემულ ანგარიშში, ბავშვთა შრომის მასშტაბების განსაზღვრა განხორციელდა იმ რეკომენდაციების საფუძველზე, რომელიც ეხება ბავშვთა შრომის სტატისტიკას და მიღებულ იქნა შრომის სტატისტიკოსების მე-18 საერთაშორისო კონფერენციაზე.


ბავშვთა შრომა - მოიცავს 5-17 წლის ასაკის ორივე სქესის ბავშვებს, რომლებიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაკავებული იყვნენ ერთი ან მეტი შემდეგი სახის ეკონომიკური საქმიანობით:

1. სახიფათო სამუშაოსგან განსხვავებული ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმები;
2. მითითებულ სახიფათო საქმიანობებსა და სფეროებში, ან სახიფათო სამუშაო პირობებში მუშაობა (იხ. დანართი 1);
3. ბავშვთა შრომის სხვა ფორმები (ე.ი. ბავშვები მინიმალურ ასაკზე ქვევით, რომლებიც ასრულებენ არასახიფათო სამუშაოს).

ვინაიდან „სახიფათო სამუშაოსგან განსხვავებული ბავშვთა შრომის უკიდურეს ფორმებში“ (პროსტიტუცია, იძულებითი შრომა და ა.შ.) ჩართული ბავშვების შესახებ ინფორმაციის

მოპოვება შერჩევითი კვლევებიდან შეუძლებელია, ბავშვთა შრომის ეროვნულმა კვლევამ მოიცვა მე-2 და მე-3 პუნქტებში მოცემული საქმიანობები: **სახიფათო სამუშაო** (სახიფათო ხასიათის სამუშაოებში და სახიფათო პირობებში მუშაობა) და **ბავშვთა შრომის სხვა ფორმები**. ქვემოთ მოცემულ დიაგრამა 4.1-ში იხილეთ ჩატარებული ეროვნული კვლევის მიხედვით, ბავშვთა შრომის სტრუქტურა.

დიაგრამა 4.1. ბავშვთა შრომის სტრუქტურა, საქართველო 2015



ბავშვთა შრომის სახიფათო საქმიანობის სფეროები - განისაზღვრა საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის NACE rev 1.1-ის მიხედვით და მოიცავს საქმიანობებს, რომელიც შედის C (სამთომოპოვებითი მრეწველობა) და F (მშენებლობა) სექციებში.

ბავშვთა შრომის სახიფათო პროფესიები/პოზიციები - განისაზღვრა დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCO-88-ის (იხ. დანართი 2) მიხედვით.

საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა ბავშვთა სახიფათო სამუშაოს განმარტებას, არ არსებობს ბავშვთა სახიფათო შრომისათვის დადგენილი დარგებისა და პროფესიების ეროვნული სია. შესაბამისად, კვლევაში გამოყენებული ბავშვთა შრომის სახიფათო დარგებისა და პროფესიების სია ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს.

სხვა სახიფათო სამუშაო პირობები - მოიცავს ბავშვის მუშაობას:

- ✓ არაჯანსაღ გარემოში, რომელიც ბავშვს ფიზიკური და სულიერი ძალადობის საფრთხეს უქმნის (მუდმივად უყვირიან, ფიზიკურ ზიანს ან შეურაცხყოფას აყენებენ და ა.შ.);

- ✓ მავნე გარემოში (მტვერი, კვამლი, მაღალი ტემპერატურა, სიცივე და ა.შ);
- ✓ საშიშ ნივთიერებებთან (ქიმიური ან ასაფეთქებელი ნივთიერებები) ან პროცესებთან, რომლებიც საზიანო ბავშვის ჯანმრთელობისთვის;
- ✓ საშიშ პირობებში (მიწის ქვეშ, სახიფათო სიმაღლეზე ან დახურულ სივრცეში, წყალში და ა.შ);
- ✓ საშიშ აპარატურასთან, ან საშიში აღჭურვილობით, ან სამუშაოს, რომელიც მოითხოვს მძიმე ტვირთის ტარებას;
- ✓ ხანგრძლივი დროით (36 საათზე მეტი კვირაში) ან ღამის სამუშაო საათებით (საღამოს 10 საათიდან დილის 6 საათამდე) იმ სამუშაოზე, რომელიც თავისი ხასიათით შეიძლება იყოს ან არ იყოს საშიში ბავშვებისათვის.

დასაქმებულები მინიმალურ ასაკზე ქვევით - მოიცავს 5-13 წლის ბავშვების ნებისმიერი სახის ეკონომიკურ საქმიანობას, სამუშაო საათების ხანგრძლივობის მიუხედავად.

დასაშვები მსუბუქი სამუშაო - ა) არ არის საზიანო ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის; ბ) არ არის ისეთი, რომ ხელი შეუშალოს ბავშვის სკოლაში დასწრებას, პროფესიული ორიენტაციის ან სასწავლო პროგრამებში მონაწილეობას, ან აღემატებოდეს მის უნარს გამოიყენოს მიღებული ცოდნა.

მსუბუქი სამუშაო - 14-15 წლის ასაკის ბავშვებისათვის განისაზღვრა 24 საათი და ნაკლები კვირაში.

დასაშვები სამუშაოს ხანგრძლივობა და დასაშვები სამუშაო საათები იხ. ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი 4.2. მინიმალური ასაკი დასაქმებისათვის და დასაშვები სამუშაოს ხანგრძლივობა/საათები ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით


მინიმალური ასაკი დასაქმებისათვის	სამუშაოს ხანგრძლივობა	სამუშაო საათები
5-13 წლის ასაკის ბავშვები, მსუბუქი სამუშაოსათვის დასაშვებ მინიმალურ ასაკზე ქვევით		
14-15 წლის ასაკის ბავშვები, მსუბუქი სამუშაოსათვის დასაშვები ასაკობრივი საზღვრების ფარგლებში	არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს კვირაში	6:00-22:00
16-17 წლის ასაკის ბავშვები, შრომისუნარიანობისთვის (დასაქმებისთვის) დასაშვებ ზოგად მინიმალურ ასაკზე ზევით	არ უნდა აღემატებოდეს 36 საათს კვირაში	6:00-22:00

5. ბავშვთა მიერ შესრულებული აქტივობები

5.1. ძირითადი მახასიათებლები ბავშვების შესახებ

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, საქართველოში ცხოვრობს 571.1 ათასი 5-17 წლის ასაკის ბავშვი. აქედან ბავშვების 69.0% (394.3 ათასი) არის 5-13 წლის ასაკის, 14.7% (84.0 ათასი) - 14-15 წლის ასაკის, ხოლო დანარჩენი 16.3% (92.9 ათასი) - 16-17 წლის ასაკის (დიაგრამა 5.1).

დიაგრამა 5.1. 5-17 წლის ბავშვების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების და სქესის მიხედვით (%)



5-17 წლის ბავშვების ნახევარზე მეტი (58.4%) ცხოვრობს ქალაქში, მათ შორის გოგონების 59.2% და ბიჭების 57.7%.


ცხრილი 5.1. 5-17 წლის ბავშვების განაწილება ქალაქ-სოფლის კრილში (%)

სქესი	ქალაქი	სოფელი
გოგო	59.2	40.8
ბიჭი	57.7	42.3
სულ	58.4	41.6

საქართველოს მთლიანი მოსახლეობის და ასევე 5-17 წლის ასაკის ბავშვების დაახლოებით 30% ცხოვრობს თბილისში. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მეორე ადგილზეა იმერეთის რეგიონი, სადაც მოსახლეობის 15.2% და 5-17 წლის ასაკის ბავშვების 14.1% ცხოვრობს. მცირერიცხოვან რეგიონებში, მცხეთა-მთიანეთსა და გურიაში, 5-17 წლის ასაკის ბავშვების შესაბამისად 2.3% და 2.8% ცხოვრობს (იხ. დიაგრამა 5.2).


საქართველოს რეგიონებში 5-17 წლის ასაკის ბავშვები მთლიანი მოსახლეობის პროპორციულადაა განაწილებული. 5-17 წლის ასაკის ბავშვების და მთლიანი მოსახლეობის რეგიონებში პროცენტულ განაწილებებს შორის განსხვავება თითქმის არ არის თბილისის, კახეთის და შიდა ქართლის რეგიონებში. ყველაზე დიდი პროცენტული სხვაობა ფიქსირდება იმერეთისა (1.1 პროცენტული პუნქტი) და ქვემო ქართლის (1.5 პროცენტული პუნქტი) რეგიონებში. პირველ შემთხვევაში მთლიანი მოსახლეობის პროცენტული წილი აჭარბებს 5-17 წლის ბავშვების შესაბამის მაჩვენებელს, ხოლო მეორე შემთხვევაში, ბავშვების პროცენტული წილი უფრო მეტია.

დიაგრამა 5.2. საქართველოს მოსახლეობის და 5-17 წლის ბავშვების განაწილება რეგიონების მიხედვით (%)



მთლიანი ქვეყნის მსგავსად, ყველა რეგიონში 5-17 წლის ასაკის ბიჭების რაოდენობა ჭარბობს ამავე ასაკის გოგონების რაოდენობას. დიაგრამა 5.3-ზე მოცემულია რეგიონებში 5-17 წლის ასაკის მოსახლეობის პროცენტული განაწილება სქესის მიხედვით. როგორც დიაგრამაზე ჩანს, ყველაზე დიდი პროცენტული სხვაობა ფიქსირდება ქვემო ქართლის რეგიონში (7.8 პროცენტული პუნქტი), ხოლო ყველაზე მცირე - თბილისის რეგიონში (4.2 პროცენტული პუნქტი).

დიაგრამა 5.3. 5-17 წლის ასაკის ბავშვების განაწილება სქესის მიხედვით რეგიონებში (%)



5-17 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული განაწილება შინამეურნეობების ფულადი შემოსავლების კვინტილური ჯგუფების¹ მიხედვით გვიჩვენებს, რომ ბავშვების მაქსიმალური რაოდენობა 21.7% ფიქსირდება შემოსავლების I კვინტილში და უმნიშვნელოდ კლებულობს შემდეგ კვინტილებში (ცხრილი 5.2).

ცხრილი 5.2. 5-17 წლის ბავშვების განაწილება ფულადი შემოსავლების კვინტილურ ჯგუფებში (%)

კვინტილური ჯგუფი	ბიჭი	გოგო	სულ
I	20.1	23.6	21.7
II	21.4	20.4	20.9
III	20.1	19.3	19.7
IV	19.8	18.9	19.3
V	18.6	17.9	18.3


5-17 წლის ასაკის ბავშვების რაოდენობა, რომელთაც არ ჰყავთ ერთი მშობელი/მეურვე², ამავე ასაკის ბავშვების მთლიანი რაოდენობის 6.0%-ს შეადგენს,

დიაგრამა 5.4-ში მოცემულია 5-17 წლის ბავშვების პროცენტული განაწილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით. დიაგრამიდან ჩანს, რომ საქართველოში 5-17 წლის ასაკის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ქართველთა ეთნიკური ჯგუფი შეადგენს და მას საგრძნობლად ჩამორჩება სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა რაოდენობა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ 5-17 წლის ასაკის ბავშვებში ეროვნებით ქართველების პროცენტული წილი (85.8%) უფრო ნაკლებია მთლიან მოსახლეობაში ეროვნებით ქართველი მოსახლეობის პროცენტულ წილზე (86.8%).

¹ აქ და შემდგომ კვინტილური ჯგუფები გაანგარიშებულია ფულადი შემოსავლის მიხედვით ერთ ექვივალენტურ მოზრდილზე. მონაცემები გაანგარიშებულია იმ შინამეურნეობების გარეშე, რომლებმაც უარი განაცხადეს ფულადი შემოსავლების დაფიქსირებაზე.

² შემდგომში - მშობელი.


დიაგრამა 5.4. 5-17 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული განაწილება ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (%)



დიაგრამა 5.5-ზე მოცემულია შინამეურნეობების (რომელშიც ცხოვრობს 5-17 წლის ასაკის ბავშვები), პროცენტული განაწილება სამზარეულოს, სააბაზანოს და საპირფარეშოს ხელმისაწვდომობის მიხედვით ორ ძირითად კატეგორიაში (საცხოვრისში და ინდივიდუალურ მოხმარებაში; საცხოვრისის გარეთ და ინდივიდუალურ მოხმარებაში). როგორც ქალაქში, ასევე სოფელში სამზარეულო არის ძირითადად საცხოვრისში და ინდივიდუალურ მოხმარებაში (შესაბამისად 96.1 და 82.5 პროცენტი). ქალაქის ტიპის დასახლებებში იმ შინამეურნეობების წილი, რომელთაც სამზარეულო აქვთ საზიარო ან არ გააჩნიათ, შეადგენს 1.5%-ს, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში იგივე მაჩვენებელი 10.5%-ს შეადგენს, აქედან 9.5%-ს სამზარეულო არ გააჩნია.

ქალაქში შინამეურნეობების უმეტეს ნაწილს (88.4%) სააბაზანო აქვს საცხოვრისში და ინდივიდუალურ მოხმარებაში. ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ აღემატება სოფლის ტიპის დასახლებებში შინამეურნეობების ანალოგიურ მაჩვენებელს (46.4%). ქალაქის ტიპის დასახლებებში იმ შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთაც სამზარეულო აქვთ საზიარო ან არ გააჩნიათ (5.9%), ბევრად ნაკლებია სოფლის ტიპის დასახლებებში შინამეურნეობების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (34.3%). სოფლად შინამეურნეობის 32.0%-ს სააბაზანო საერთოდ არ გააჩნია. სოფლის ტიპის დასახლებებში სააბაზანო საცხოვრისის გარეთ და ინდივიდუალურ მოხმარებაში აქვს შინამეურნეობების 19.3 პროცენტს, მაშინ როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი ქალაქის შემთხვევაში მხოლოდ 5.6%-ს შეადგენს. რაც შეეხება საპირფარეშოს ხელმისაწვდომობას, ქალაქის ტიპის დასახლებებში, შინამეურნეობების 85.4 პროცენტს საპირფარეშო საცხოვრისში და ინდივიდუალურ მოხმარებაში აქვთ, ხოლო 11.9 პროცენტს საცხოვრისის გარეთ და ინდივიდუალურ მოხმარებაში. განსხვავებული მდგომარეობაა სოფლის ტიპის დასახლებებში, სადაც შინამეურნეობების 69.8 პროცენტს საპირფარეშო საცხოვრისის გარეთ და ინდივიდუალურ მოხმარებაში აქვთ, ხოლო საცხოვრისის შიგნით და ინდივიდუალურ მოხმარებაში მხოლოდ 27.0 პროცენტს. იმ შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომელთაც საპირფარეშო საზიარო აქვთ, ქალაქში 2.7%-ს, ხოლო სოფელში 3.2%-ს შეადგენს.

დიაგრამა 5.5. შინამეურნეობების (რომლებშიც ცხოვრობენ 5-17 წლის ბავშვები) პროცენტული განაწილება, სამზარეულოს, საბაზანოს და საპირფარეოს ხელმისაწვდომობის მიხედვით



5.3. ცხრილში მოცემულია შინამეურნეობების (რომლებშიც ცხოვრობენ 5-17 წლის ბავშვები) პროცენტული განაწილება საკვების მოსამზადებლად და გასათბობად ენერგიის წყაროს გამოყენების მიხედვით. როგორც ქალაქში, ისე სოფელში საკვების მოსამზადებელ ძირითად წყაროს გაზი¹ წარმოადგენს (შესაბამისად 94.3% და 60.2%). შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომლებიც საკვების მოსამზადებლად შეშას იყენებენ, სოფლად 38.4%-ს, ხოლო ქალაქად - 4.2%-ს შეადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქსტატის სხვა კვლევების მიხედვით, 2015 წელს სოფლის შინამეურნეობების 32.6% უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით, ხოლო 62.2% - თხევადი გაზით. რაც შეეხება ქალაქის ტიპის დასახლებებს, აქ ბუნებრივი აირით უზრუნველყოფილია შინამეურნეობათა 88.7%, ხოლო თხევადი გაზით - შინამეურნეობების 12.5%. მონაცემებიდან ჩანს, რომ სოფლის ტიპის დასახლებებში შინამეურნეობები საკვების მოსამზადებლად ძირითადად თხევად გაზს იყენებენ.

სოფლის ტიპის დასახლებებში შინამეურნეობების უდიდესი ნაწილი (83.3%) გათბობისთვის შეშას იყენებს. ქალაქის ტიპის დასახლებებში ანალოგიური მაჩვენებელი 15.9%-ს შეადგენს. გაზის გამოყენება გასათბობად ქალაქის ტიპის დასახლებებში შინამეურნეობების 76.2%-ში გვხვდება, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 16.0%-ს შეადგენს.

¹ აქ და შემდგომ მოიცავს, როგორც ბუნებრივ აირს, ასევე თხევად გაზს.

ცხრილი 5.3. შინამეურნეობების (რომლებშიც ცხოვრობენ 5-17 წლის ბავშვები) პროცენტული განაწილება, ენერგიის ძირითადი წყაროს მიხედვით, ქალაქ-სოფლის ჭრილში


ენერგიის წყარო	ენერგიის ძირითადი წყარო საკვების მოსამზადებლად, %			ენერგიის ძირითადი წყარო გათბობისთვის, %		
	ქალაქი	სოფელი	სულ	ქალაქი	სოფელი	სულ
შეშა	4.2	38.4	18.4	15.9	83.3	44.0
გაზი	94.3	60.2	80.1	76.2	16.0	51.1
ელექტროენერგია და სხვა	1.6	1.4	1.5	9.9	0.7	4.9

5.2. ბავშვების მონაწილეობა ეკონომიკურ საქმიანობაში

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ გლობალური შეფასებისათვის განსაზღვრა ეკონომიკური აქტივობის (დასაქმების) დასაშვები და ბავშვთა შრომის აღმოსაფხვრელი ფორმების განმასხვავებელი საზღვრები. ეკონომიკური აქტივობა გულისხმობს წარმოებას და/ან ანაზღაურებად მომსახურებას ფულით ან ნატურით ანაზღაურების სანაცვლოდ. ბავშვი ითვლება ეკონომიკურად აქტიურად (დასაქმებულად), თუ ის მუდმივად ან დროებით ჩართულია ეკონომიკურ საქმიანობაში, ან საანგარიშო კვირის განმავლობაში საოჯახო საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მუშაობს სულ მცირე ერთ საათით.


საანგარიშო პერიოდში (ინტერვიუს მომენტისთვის გასული 7 დღე) 5-17 წლის ასაკის ბავშვების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართულობის ზუსტი შეფასების მიზნით გამოკითხულ იქნა როგორც ბავშვები, ისე შინამეურნეობების ზრდასრული წევრები. დიაგრამა 5.6-ზე მოცემულია დასაქმებული ბავშვების წილი შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების ბავშვებში, ორი სხვადასხვა კატეგორიის რესპონდენტების - 5-17 წლის ასაკის ბავშვების და შინამეურნეობის ზრდასრული წევრების პასუხების მიხედვით. შედეგებიდან ჩანს, რომ ყველა ასაკობრივ ჯგუფში ზრდასრული წევრების მიერ დაფიქსირებული მაჩვენებელი მცირედით ჩამორჩება თვითონ ბავშვების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. სხვაობა ამ ორი ტიპის რესპონდენტების პასუხებს შორის 14-15 და 16-17 წლების ასაკობრივ ჯგუფებზე შეადგენს 1.5 პროცენტულ პუნქტს, ხოლო 5-13 წლის ასაკობრივ ჯგუფზე - 0.7 პროცენტულ პუნქტს.

დიაგრამა 5.6. დასაქმებული ბავშვების წილი შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებში (%)



დიაგრამა 5.7-ზე მოცემულია დასაქმებული ბავშვების წილი შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებში ინტერვიუს ჩატარების მომენტისთვის გასულ შვიდ დღეში და გასულ 12 თვეში შინამეურნეობის ზრდასრული წევრების პასუხების მიხედვით¹. როგორც მონაცემებიდან ჩანს, სამივე ასაკობრივ ჯგუფში გასულ შვიდ დღეში დასაქმებული ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი ჩამოუვარდება გასულ 12 თვეში დასაქმებული ბავშვების პროცენტულ წილს, შესაბამისად 1.5, 4.2 და 5.3 პროცენტული პუნქტით. აღნიშნული ფაქტი გარკვეულწილად გამოწვეულია სამუშაოს სეზონურობით. აღსანიშნავია ისიც, რომ ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება სეზონურობის გავლენაც.

დიაგრამა 5.7. მომუშავე 5-17 წლის ბავშვების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)



როგორც ზემოთ აღინიშნა, შინამეურნეობების ზრდასრულ წევრებთან შედარებით უფრო მეტმა ბავშვმა დააფიქსირა, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დასაქმებულები იყვნენ. გარდა ამისა, ბავშვთა შრომის საზღვრების და ფორმების იდენტიფიცირებისათვის,

¹ კითხვები გასულ 12 თვეში ბავშვთა დასაქმების შესახებ დასმული იყო მხოლოდ შინამეურნეობის ზრდასრული წევრებისათვის. კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით, გასულ 12 თვეში ბავშვი ითვლება დასაქმებულად, თუ მას რომელიმე თვეში სულ მცირე 88 საათი ჰქონდა ნამუშევარი.

ბავშვთა კითხვარი უფრო დეტალურ კითხვებს მოიცავდა. შესაბამისად, ბავშვთა ეკონომიკური აქტივობა მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე იქნა გაანალიზებული.


საქართველოში მცხოვრები 5-17 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ რაიმე სახის ეკონომიკური საქმიანობით, 5.8%-ს შეადგენს, მათ შორის ქალაქში 1.6%-ს, ხოლო სოფელში - 11.4%-ს. საქართველოში 5-17 წლის ასაკის დასაქმებული ბავშვების 76.5%-ს ბიჭები შეადგენენ.

ცხრილი 5.4. 5-17 წლის დასაქმებული ბავშვების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ქალაქ-სოფლის კრილში

სქესი	საქართველო		ქალაქი		სოფელი	
	რაოდენობა, ათასი ბავშვი	%	რაოდენობა, ათასი ბავშვი	%	რაოდენობა, ათასი ბავშვი	%
ბიჭი	25.7	76.5	4.0	75.0	21.8	76.7
გოგო	7.9	23.5	1.3	25.0	6.6	23.3
სულ	33.7	100.0	5.3	100.0	28.4	100.0

5-17 წლის მომუშავე ბავშვების პროცენტული განაწილება სქესობრივ-ასაკობრივ კრილში მოცემულია დიაგრამა 5.8-ზე.

დიაგრამა 5.8. ეკონომიკურ აქტივობაში ჩართული ბავშვების განაწილება სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)



მიუხედავად იმისა, რომ 5-17 წლის ასაკის ბავშვების უმეტესი ნაწილი (58.4%) ქალაქად ცხოვრობს, მათი ჩართულობა ეკონომიკურ აქტივობაში ქვეყნის მასშტაბით 15.7%-ს შეადგენს. სოფლად მცხოვრები დასაქმებული ბავშვების მაღალი ხვედრითი წილი (84.3%) არსებითად განპირობებულია სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმების მაღალი დონით. რეგიონებში 5-17 წლის ასაკის ბავშვების ეკონომიკური აქტივობით განსაკუთრებით გამოირჩევა გურიის რეგიონი, სადაც ამ ასაკის ბავშვების 16.8% არის დასაქმებული. სამცხე-ჯავახეთში აღნიშნული მაჩვენებელი 15.1%-ს შეადგენს, ხოლო კახეთის და აჭარის რეგიონებში შესაბამისად ბავშვების 12.7% და 10.6%-ია დასაქმებული. თბილისში ბავშვთა დასაქმების მაჩვენებელი ყველაზე დაბალია (1.1%).

5.3. სამუშაოს მაძიებელი ბავშვები

კვლევის შედეგების მიხედვით დაფიქსირდა, რომ 5-17 წლის ასაკის დაუსაქმებელი ბავშვების მხოლოდ 1.6%-ს (8.6 ათასი ბავშვი) სურდა მუშაობა და შეთავაზების შემთხვევაში მზად იყო სამუშაოს დასაწყებად. სამუშაოს მაძიებელი ბავშვების 67.9% (5.9 ათასი ბავშვი) ბიჭია და სამუშაოს მაძიებელი ბავშვების თითქმის 63.8% ქალაქში ცხოვრობს.

5.4. სასწავლო პროცესში ბავშვების ჩართულობის დონე

საქართველოში მცხოვრები 5-17 წლის ასაკის ბავშვის 95.9% მიმდინარე სასწავლო წელს დადიოდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. სქესის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასწრების პროცენტული მაჩვენებელი ბიჭებში 95.4%-ს, ხოლო გოგონებში - 96.5%-ს შეადგენს.

ცხრილი 5.5. საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასწრების დონე სქესობრივ და ასაკობრივ ჯგუფში (%)

	ბიჭი	გოგო	სულ
5-13 წლის	96.5	97.1	96.8
14-15 წლის	97.7	98.0	97.9
16-17 წლის	88.1	92.2	90.0

ცხრილი 5.6-დან ჩანს, რომ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით 5-17 წლის ასაკის ბავშვებში საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასწრების მცირედით მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ქალაქში.

დასწრების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება თითქმის ყველა რეგიონში. შედარებით უფრო დაბალი დასწრების დონე ფიქსირდება ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც ეს მაჩვენებელი დაახლოებით 91%-ს შეადგენს. დანარჩენ რეგიონებში დასწრების მაჩვენებელი მინიმუმ 94.5%-ის დონეზე ფიქსირდება.

ცხრილი 5.6. საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასწრების დონე რეგიონების მიხედვით სქესობრივ ჭრილში (%)

<i>ადგილმდებარეობა</i>	ბიჭი	გოგო	სულ
ქალაქი	97.2	98.2	97.7
სოფელი	93.1	94.2	93.6
<i>რეგიონი</i>			
კახეთი	94.0	97.7	95.8
თბილისი	97.0	97.6	97.3
შიდა ქართლი	95.1	96.6	95.8
ქვემო ქართლი	91.0	90.1	90.6
სამცხე-ჯავახეთი	95.1	96.6	95.8
აჭარის ა.რ.	94.9	95.8	95.3
გურია	94.8	98.3	96.4
სამეგრელო	97.1	97.7	97.4
იმერეთი	96.9	98.2	97.6
მცხეთა-მთიანეთი	93.7	95.6	94.5
საქართველო	95.4	96.5	95.9

შინამეურნეობის შემოსავლის კვინტილური ჯგუფების მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასწრების მაჩვენებელი უფრო მაღალია ზედა კვინტილურ ჯგუფებში.

ცხრილი 5.7. 5-17 წლის ბავშვების პროცენტული წილი ვინც დადიოდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო წელს, სქესის და შემოსავლის კვინტილური ჯგუფების მიხედვით (%)

შემოსავლის კვინტილური ჯგუფი	ბიჭი	გოგო	სულ
I	92.7	92.7	93.0
II	93.7	96.6	94.7
III	95.2	96.9	96.5
IV	97.6	98.0	97.1
V	97.8	99.1	98.0

5.5. ბავშვთა მიერ შესრულებული საოჯახო საქმეები

5-17 წლის ასაკის ბავშვების ნახევარზე მეტი (56.8%) საოჯახო საქმეებითაა დაკავებული, მათ შორის გოგოების 61.3% და ბიჭების 52.8% (იხ. ცხრილი 5.8).

მონაცემებიდან ჩანს, რომ 14-15 წლის და 16-17 წლის ასაკობრივი ჯგუფების ბავშვების ჩართულობა საოჯახო საქმეებში თითქმის თანაბარია და შესაბამისად, 74.1% და 73.8%-ს შეადგენს, ხოლო 5-13 წლის ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები გაცილებით ნაკლებად არიან ჩართულები საოჯახო საქმეებში და მათი წილი 49.7%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი გოგონებში ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება, ხოლო ბიჭებში მაქსიმალურ დონეს 14-15 წლის ასაკობრივ ჯგუფში (67.4%) აღწევს. (იხ. ცხრილი 5.8).

სოფელში საოჯახო საქმეებში ჩართულია ბავშვების 59.0%, ქალაქში ანალოგიური მაჩვენებელი 4 პროცენტული პუნქტით დაბალია და 55.2%-ს უტოლდება (იხ. ცხრილი 5.8).

ქალაქის ტიპის დასახლებებში ბავშვების საოჯახო საქმეებში ჩართულობა ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება. განსაკუთრებით მკვეთრი ზრდა (22.9 პროცენტული პუნქტით) ფიქსირდება 5-13 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან 14-15 წლის ასაკობრივ ჯგუფში გადასვლისას.


სოფლის ტიპის დასახლებებში 5-13 წლის ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების ნახევარზე ოდნავ მეტია (51.3%) ჩართული საოჯახო საქმეებში, ხოლო 14-15 წლის ასაკობრივ ჯგუფში ეს მაჩვენებელი თავის მაქსიმუმს - 77.1%-ს აღწევს.

ცხრილი 5.8. 5-17 წლის ასაკის საოჯახო საქმეებით დაკავებული ბავშვების განაწილება, სქესის, ასაკობრივი ჯგუფებისა და ქალაქ-სოფლის მიხედვით (%)

	ბიჭი		გოგო		სულ	
	რაოდენობა (ათასი)	%	რაოდენობა (ათასი)	%	რაოდენობა (ათასი)	%
ქვეყანა						
5-13 წლის	101.3	47.2	101.3	52.6	202.6	49.7
14-15 წლის	29.8	67.4	32.1	81.6	62.0	74.1
16-17 წლის	29.8	65.4	33.8	83.4	63.6	73.8
სულ	161.0	52.8	167.1	61.3	328.1	56.8
ქალაქი						
5-13 წლის	59.3	47.6	56.1	49.6	115.5	48.6
14-15 წლის	15.7	66.4	16.7	77.1	32.4	71.5
16-17 წლის	16.1	66.5	17.4	81.1	33.5	73.4
სულ	91.1	52.9	90.2	57.8	181.4	55.2
სოფელი						
5-13 წლის	42.0	46.5	45.1	56.8	87.1	51.3
14-15 წლის	14.2	68.5	15.4	87.2	29.6	77.1
16-17 წლის	13.7	64.0	16.4	85.9	30.1	74.3
სულ	69.8	52.8	76.9	66.2	146.7	59.0


დიაგრამა 5.9 ასახავს 5-17 წლის ბავშვების ჩართულობას სხვადასხვა საოჯახო საქმეებში. ბავშვების წილი, რომლებიც შინამეურნეობებისთვის საყიდლებზე დადიან, ყველაზე დიდია და 45.7%-ს შეადგენს, 5-17 წლის ბავშვების 1/4 ნივთების/ჭურჭლის/სახლის დასუფთავებითაა დაკავებული, 16.6%-ს კი საკვების მომზადება უწევს. 5-17 წლის ასაკის ბავშვების წილი, ვინც 3 ყველაზე გავრცელებულ საოჯახო საქმეს ერთდროულად ასრულებს, ე.ი. უწევს საყიდლებზე წასვლა, საკვების მომზადება და დასუფთავება, დაახლოებით 10%-ია.

დიაგრამა 5.9. 5-17 წლის ბავშვების ჩართულობა საოჯახო საქმეებში (%)



5-17 წლის ასაკის ბავშვებიდან, რომლებიც საყიდლებზე დადიან, ნახევარზე მეტს (54.7%) ბიჭები წარმოადგენენ, ასევე დიდია ბიჭების ჩართულობა ტექნიკის შეკეთებასა და სხვა საოჯახო საქმეებში (სხვა საოჯახო საქმეებში ძირითადად ასახელებდნენ შეშის ჩეხვას). საკვების მომზადებას, დასუფთავებას, რეცხვას, ბავშვის, მოხუცის და შინამეურნეობის ავადმყოფი წევრის მოვლას უმეტესად გოგონები ახორციელებენ.

დიაგრამა 5.10. 5-17 წლის საოჯახო საქმეებში ჩართული ბავშვების განაწილება სქესის მიხედვით (%)



საოჯახო საქმეების შესრულებას ბავშვები კვირაში საშუალოდ 2.9 საათს უთმობენ. გოგონები, ბიჭებთან შედარებით, საოჯახო საქმეების შესრულებას კვირაში საშუალოდ 1.3 საათით მეტ დროს უთმობენ. ქალაქში გოგონების მიერ საოჯახო საქმეებზე დახარჯული დრო, ბიჭების ანალოგიურ მაჩვენებელს კვირაში 0.9 საათით აღემატება, ხოლო სოფელში აღნიშნული სხვაობა 1.8 საათს შეადგენს.

ბავშვების მიერ საოჯახო საქმეებზე კვირაში საშუალოდ დახარჯული დრო ასაკის ზრდასთან ერთად მატულობს. განსაკუთრებით შესამჩნევია ზრდა 5-13 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან 14-15 წლის ასაკობრივ ჯგუფში გადასვლისას. კერძოდ, 14-15 წლის ასაკობრივი ჯგუფის


ბავშვები, 5-13 წლის ასაკის ბავშვებთან შედარებით, საოჯახო საქმეებს კვირაში 1.6 საათით მეტ დროს უთმობენ. 16-17 წლის ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები, 14-15 წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით, 0.8 საათით მეტად არიან დაკავებულები საოჯახო საქმეებით.

ცხრილი 5.9. 5-17 წლის ბავშვების მიერ საოჯახო საქმეებისთვის კვირაში საშუალოდ დახარჯული დრო სქესის, ასაკობრივი ჯგუფებისა და ქალაქ-სოფლის მიხედვით (საათი)

	ბიჭი	გოგო	სულ
<i>ქვეყანა</i>			
5-13 წლის	1.8	2.4	2.1
14-15 წლის	2.6	4.7	3.7
16-17 წლის	3.0	5.8	4.5
სულ	2.2	3.5	2.9
<i>ქალაქი</i>			
5-13 წლის	1.6	1.8	1.7
14-15 წლის	2.0	3.7	2.9
16-17 წლის	2.3	4.5	3.5
სულ	1.8	2.7	2.2
<i>სოფელი</i>			
5-13 წლის	2.1	3.1	2.6
14-15 წლის	3.4	5.8	4.6
16-17 წლის	3.8	7.1	5.6
სულ	2.7	4.5	3.6


დიაგრამა 5.11-ში მოცემულია საოჯახო საქმეებში კვირაში ერთ საათით ან მეტი დროით ჩართული ბავშვების განაწილება, საათობრივი ინტერვალების მიხედვით. 5-17 წლის ბავშვების უმეტესობა (82.5%) საოჯახო საქმეებს კვირაში 1-დან 7 საათამდე უთმობს, ხოლო იმ ბავშვების წილი, რომლებიც საოჯახო საქმეებით კვირაში 7-დან 14 საათამდე არიან დაკავებული, 13.2%-ს შეადგენს. საოჯახო საქმეების შესრულებას 13 საათზე მეტს დროს ბავშვების 4.3% უთმობს.

დიაგრამა 5.11. 5-17 წლის ასაკის საოჯახო საქმეებში (კვირაში 1 საათით ან მეტი დროით) ჩართული ბავშვების განაწილება კვირაში დახარჯული საათების და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)



5-17 წლის ასაკის ბავშვების დიდი ნაწილი (58.9%) საოჯახო საქმიანობებს ახორციელებს დღის განმავლობაში, საოჯახო საქმეებით ძირითადად შაბათ-კვირას დაკავებულია მათზე თითქმის 4-ჯერ ნაკლები ბავშვების რაოდენობა, რომელთა პროცენტული წილი 15.6%-ს უტოლდება. ბავშვების 13.1% საოჯახო საქმეებს ასრულებს ხან დღისით, ხან საღამოთი, ხოლო იმ ბავშვების წილი, რომელთაც უწევთ საოჯახო საქმეების განხორციელება, როგორც დღისით, ასევე საღამოთი, 8.7%-ს შეადგენს. 5-17 წლის საოჯახო საქმეებში ჩართული ბავშვების ყველაზე მცირე ნაწილს (3.8%), აღნიშნული საქმეების განხორციელება უწევს საღამოთი ან ღამით (იხ. დიაგრამა 5.12). საოჯახო საქმეებში ჩართული სამივე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების უმეტესობა საოჯახო საქმეებს დღის განმავლობაში ასრულებს.

დიაგრამა 5.12. 5-17 წლის ასაკის საოჯახო საქმეებში ჩართული ბავშვების განაწილება ამ საქმიანობების შესრულების ძირითადი დროის მიხედვით (%)



შაბათ-კვირას საოჯახო საქმეებში ჩართული ბავშვების წილი თითქმის თანაბარია 5-13 წლისა და 14-15 წლის ასაკობრივ ჯგუფებში (შესაბამისად 16.2% და 16.8%), ხოლო 16-17 წლის ბავშვებისათვის ანალოგიური მაჩვენებელი 12.4%-ს უტოლდება. ცხრილ 5.10-ში მოცემულია აგრეთვე კატეგორია „ღამით“¹, რომელშიც გაერთიანებულია სამი დროის მონაკვეთი: საოჯახო საქმიანობის შესრულება, როგორც დღისით, ისე ღამით; ზოგჯერ დღისით, ზოგჯერ ღამით ან ძირითადად ღამით. ასაკის ზრდასთან ერთად საოჯახო საქმეებით ღამით დაკავებული ბავშვების პროცენტული წილი იზრდება. აღნიშნული მაჩვენებლის მატება

¹ კატეგორია „ღამით“ მოიცავს იმ ბავშვებს, რომლებიც საღამოს 10 საათიდან დილის 6 საათამდე მონაკვეთში მუშაობენ.

განსაკუთრებით შესამჩნევია 5-13 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან 14-15 წლის ასაკობრივ ჯგუფში გადასვლისას და დაახლოებით 7 პროცენტულ პუნქტს შეადგენს.

ზემოთ აღნიშნული მაჩვენებელი, როგორც გოგონებში, ასევე ბიჭებში, ქვეყანაში არსებულ ძირითად ტენდენციას ასახავს. კერძოდ, ორივე სქესის მიხედვით ბავშვების უმეტესობა სამივე ასაკობრივ ჯგუფში საოჯახო საქმეებს დღის განმავლობაში ახორციელებს.

ძირითადად შაბათ-კვირას საოჯახო საქმეებით დაკავებული ბავშვების ყველაზე დაბალი პროცენტული წილი ორივე სქესის მიხედვით 16-17 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის. თავის მხრივ, ღამით საოჯახო საქმეებით დაკავებული ბავშვების პროცენტული წილი ყველაზე დაბალია 5-13 წლის ასაკობრივ ჯგუფში.


ცხრილი 5.10. 5-17 წლის ასაკის საოჯახო საქმეებში ჩართული ბავშვების განაწილება, ამ საქმიანობების შესრულების დროის, სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)

	ძირითადად დღის განმავლობაში	ძირითადად შაბათ-კვირას	ღამით
<i>სულ</i>			
5-13 წლის	61.1	16.2	22.7
14-15 წლის	53.5	16.8	29.6
16-17 წლის	56.8	12.4	30.8
5-17 წლის	58.9	15.6	25.5
<i>ბიჭი</i>			
5-13 წლის	63.7	13.8	22.6
14-15 წლის	52.8	16.5	30.8
16-17 წლის	59.6	11.3	29.1
5-17 წლის	60.9	13.8	25.3
<i>გოგო</i>			
5-13 წლის	58.6	18.7	22.8
14-15 წლის	54.3	17.2	28.5
16-17 წლის	54.4	13.4	32.3
5-17 წლის	56.9	17.3	25.8

5.6. ბავშვების ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში

5-17 წლის ასაკის ბავშვების უდიდესი ნაწილი (90.7%) მხოლოდ სწავლითაა დაკავებული. იმ ბავშვების წილი, ვინც ერთდროულად სწავლობს და მუშაობს 5.2%-ს შეადგენს, ხოლო იმ ბავშვების წილი, ვინც არც მუშაობს და არც სწავლობს, 3.5%-ს უტოლდება. უკანასკნელი კატეგორიის ბავშვთა 61.0%-ს არასოდეს უვლია სასწავლო დაწესებულებაში და მათ ძირითად ნაწილს სკოლამდელი ასაკის ბავშვები წარმოადგენენ.

დიაგრამა 5.13. 5-17 წლის ასაკის ბავშვების განაწილება მათ მიერ განხორციელებული აქტივობების მიხედვით (%)



მხოლოდ სწავლით დაკავებული ბავშვების უმეტესობა (60.5%) ქალაქის ტიპის დასახლებებში ცხოვრობს, რაც სოფლის ტიპის დასახლებებში ანალოგიურ მაჩვენებელს 21.0 პროცენტული პუნქტით აღემატება. აღნიშნული ფაქტი აიხსნება იმით, რომ სოფელში ბავშვების ეკონომიკური აქტივობა უფრო მაღალია ქალაქთან შედარებით. იმ ბავშვთა რაოდენობიდან, რომლებიც ერთდროულად მუშაობენ და სწავლობენ, 86.3% სოფლად ცხოვრობს, რაც 6-ჯერ აღემატება ქალაქში მცხოვრები ბავშვების ანალოგიურ მაჩვენებელს. ბიჭების წილი, რომლებიც ერთდროულად სწავლობენ და მუშაობენ, გოგონების ანალოგიურ მაჩვენებელს თითქმის 3-ჯერ აღემატება (შესაბამისად 75.6% და 24.4%).


5-17 წლის ასაკის ბავშვებში, რომლებიც არ მუშაობენ და არ სწავლობენ, ბიჭები 55.1%-ს შეადგენენ, ხოლო ამ ბავშვების 67.3% ცხოვრობს სოფელში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ კატეგორიაში ძირითადად სკოლამდელი ასაკის ბავშვები ხვდებიან და სოფლად მათი უმეტესი რაოდენობა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ნაკლები ხელმისაწვდომობით არის განპირობებული.

ცხრილი 5.11. 5-17 წლის ასაკის ბავშვების განაწილება მათ მიერ განხორციელებული აქტივობების მიხედვით, სქესის, ასაკობრივი ჯგუფებისა და ქალაქ-სოფლის ჭრილში (%)

	მხოლოდ სწავლობს	მუშაობს და სწავლობს	არც მუშაობს და არც სწავლობს
სქესი			
ბიჭი	51.2	75.6	55.1
გოგო	48.8	24.4	44.9
სულ	100.0	100.0	100.0
ადგილმდებარეობა			
ქალაქი	60.5	13.7	32.7
სოფელი	39.5	86.3	67.3
სულ	100.0	100.0	100.0

რაც შეეხება 5-17 წლის ასაკის ბავშვების დასაქმებაში და საოჯახო საქმეებში ჩართულობას, მათი უმეტესობა (52.5%) მხოლოდ საოჯახო საქმეებშია ჩართული. იმ ბავშვთა პროცენტული წილი, რომლებიც არც მუშაობენ და არც საოჯახო საქმეებში არ არიან ჩართულნი 41.6%-ს შეადგენს. შედარებით მცირეა იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც მხოლოდ მუშაობენ ან ერთდროულად მუშაობენ და საოჯახო საქმეებს ასრულებენ (შესაბამისად, 1.5% და 4.3%).

დიაგრამა 5.14. 5-17 წლის ასაკის ბავშვების განაწილება მათ მიერ განხორციელებული აქტივობების მიხედვით (დასაქმება/საოჯახო საქმეები), %




წინამდებარე თავის ბოლოს განხილულია 5-17 წლის ბავშვთა აქტივობა სამი კატეგორიის მიხედვით (სწავლა, საოჯახო საქმეები და დასაქმება).

მონაცემებიდან ჩანს, რომ ბავშვთა 39.3% მხოლოდ სწავლითაა დაკავებული, ხოლო ბავშვების 51.4% სწავლობს და საოჯახო საქმეებს ასრულებს.

დანარჩენი 6 კატეგორიის მიხედვით განაწილებული 5-17 წლის ასაკის ბავშვების წილი ჯამში 9.3%-ს არ აღემატება. მათგან ყველაზე მეტია იმ ბავშვთა წილი, რომლებიც ერთდროულად სწავლობენ, მუშაობენ და საოჯახო საქმეებსაც ასრულებენ (3.9%). 5-17 წლის ბავშვების 2.3% არანაირი აქტივობით არ არის დაკავებული. ხოლო იმ ბავშვების წილი, რომლებიც დანარჩენ კატეგორიებს მიეკუთვნებიან უმნიშვნელოდ მცირეა.

დიაგრამა 5.15. 5-17 წლის ასაკის ბავშვების განაწილება მათ მიერ განხორციელებული აქტივობების მიხედვით (დასაქმება/სწავლა/საოჯახო საქმეები), %



6. მომუშავე ბავშვების მახასიათებლები

6.1. ბავშვთა დასაქმება დარგების მიხედვით

საქართველოში 5-17 წლის ბავშვების დასაქმების დონე 5.8%-ს შეადგენს. დასაქმებული ბავშვებიდან უმრავლესობას ბიჭები წარმოადგენენ და მათი რიცხვი მომუშავე გოგონების რიცხვს დაახლოებით 3-ჯერ აღემატება. ცხრილი 6.1-დან ნათლად ჩანს, რომ 5-17 წლის ასაკის ბავშვების დასაქმების დონე ასაკთან ერთად იზრდება და დასაქმებული ბავშვების ყველაზე მაღალი პროცენტული წილი (14.2%) 16-17 წლის ბავშვებში ფიქსირდება. აღნიშნული მაჩვენებლის ქალაქისა და სოფლის ჭრილში შედარებისას, კიდევ უფრო დიდი დისბალანსი შეიმჩნევა, თუ სოფელში დასაქმებული ბავშვების პროცენტული წილი 11.4-ია, ქალაქში მათი წილი მხოლოდ 1.6%-ს შეადგენს, რაც აიხსნება იმით, რომ 5-17 წლის მომუშავე ბავშვების უმეტესი ნაწილი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული.

ცხრილი 6.1. 5-17 წლის ასაკის მომუშავე ბავშვების განაწილება სქესის, ასაკობრივი ჯგუფებისა და ქალაქ-სოფლის მიხედვით


	რაოდენობა (ათასი)	%
ბავშვები, სულ (ასაკი 5-17)	33.7	5.8
<i>სქესი</i>		
ბიჭი	25.8	8.4
გოგო	7.9	2.9
<i>ასაკობრივი ჯგუფები</i>		
5-13 წლის	12.7	3.1
14-15 წლის	8.8	10.5
16-17 წლის	12.2	14.2
<i>ადგილმდებარეობა</i>		
ქალაქი	5.3	1.6
სოფელი	28.4	11.4

5-17 წლის ბავშვების უდიდესი ნაწილი (82.6%), დასაქმებულია სოფლის მეურნეობის დარგში. მაშინ, როდესაც მომსახურების დარგებში დასაქმებულია ბავშვების 12.2%, ხოლო მრეწველობის დარგში¹ - მხოლოდ 5.2%.

5-17 წლის მომუშავე ბავშვების ყველაზე დიდ ნაწილს - სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მომსახურების სფეროში ბიჭები წარმოადგენენ, შესაბამისად, 76.4%, 97.6% და 68.0%. ქალაქ-სოფლის ჭრილშიც სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული ბიჭების წილი საგრძნობლად აღემატება გოგონების ანალოგიურ მაჩვენებელს, სოფელში - 75.7%, ხოლო ქალაქში - 82.7%.

¹ აქ და შემდგომში მრეწველობაში იგულისხმება დამამუშავებელი მრეწველობა და მშენებლობა.

დიაგრამა 6.1. 5-17 წლის დასაქმებული ბავშვების განაწილება დარგების მიხედვით (%)



მომუშავე ბავშვების ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დახასიათებისას (იხ. ცხრილი 6.2) ირკვევა, რომ 16-17 წლის დასაქმებული ბავშვების ჩართულობა სოფლის მეურნეობის დარგში (74.1%) დაბალია დანარჩენ ორ ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით. აქედან გამომდინარე შეიძლება აღინიშნოს, რომ ასაკის ზრდასთან ერთად, იზრდება ბავშვების ჩართულობა სხვა დარგებში, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია იმით, რომ 16-17 წლის ბავშვები სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით დამატებით უნარებს ფლობენ და ალტერნატიული (და უფრო მაღალანაზღაურებადი) სამუშაოს პოვნის მეტი შესაძლებლობა აქვთ.

ქალაქში, სადაც დასაქმებული ბავშვების რიცხვი შედარებით მცირეა (1.6%), სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულია მათი თითქმის ნახევარი (49.4%). ამავე დროს, სოფლად იმავე დარგში დასაქმებულია მომუშავე ბავშვების დიდი უმრავლესობა (88.8%).


ცხრილი 6.2. სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე ბავშვების განაწილება სქესის, ასაკობრივი ჯგუფებისა და ქალაქ-სოფლის მიხედვით

	დასაქმებული ბავშვები, სულ (ათასი)	სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ბავშვები	
		რაოდენობა (ათასი)	% (დასაქმებული ბავშვებიდან)
ბავშვები, სულ (ასაკი 5-17)	33.7	27.8	82.6
სქესი			
ბიჭი	25.8	21.2	82.5
გოგო	7.9	6.6	83.0
ასაკობრივი ჯგუფები			
5-13 წლის	12.7	11.4	90.4
14-15 წლის	8.8	7.3	83.2
16-17 წლის	12.2	9.1	74.1
ადგილმდებარეობა			
ქალაქი	5.3	2.6	49.4
სოფელი	28.4	25.2	88.8

სოფლის მეურნეობის დომინირებული მდგომარეობა ბავშვთა დასაქმებაში თვალშისაცემია გარკვეულ რეგიონებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია აჭარის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები, სადაც სოფლის მეურნეობაში ჩართული ბავშვების პროცენტული წილი 94%-97%-ს შორის მერყეობს.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული 5-17 წლის ბავშვების უმეტესი ნაწილი ჩართულია შერეულ სოფლის მეურნეობაში (57.2%), 26.8% დაკავებულია მხოლოდ მემცენარეობით და 11.6% მხოლოდ მეცხოველეობით.

დიაგრამა 6.2. სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში დასაქმებული 5-17 წლის ბავშვების წილი (%)



6.2. ბავშვთა დასაქმება პროფესიების მიხედვით

5-17 წლის დასაქმებული ბავშვების განაწილება პროფესიების მიხედვით, არც თუ ისე მრავალფეროვანია. ბუნებრივია, რომ 5-17 წლის ბავშვები არ ფლობენ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობისთვის სათანადო უნარ-ჩვევებს. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, კვლევა ცხადყოფს, რომ 5-17 წლის ბავშვების უდიდესი უმრავლესობა (91.0%) არის არაკვალიფიციური მუშა და ფლობს მხოლოდ ელემენტარულ უნარ-ჩვევებს. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება არაკვალიფიციური მუშების პროფესიით მომუშავე ბავშვების წილი, (ცხრილი 6.3), რაც ძირითადად სოფლის მეურნეობის გარეთ დასაქმების ხვედრითი წილის ზრდასთან არის დაკავშირებული. ასევე სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებას უკავშირდება ბავშვთა არაკვალიფიციური შრომის მაღალი მაჩვენებელი სასოფლო დასახლებებში (96.2%), ქალაქის დასახლებასთან შედარებით (63.6%).

ცხრილი 6.3. არაკვალიფიციური მუშების პროფესიით დასაქმებული 5-17 წლის ბავშვების განაწილება სქესის, ასაკობრივი ჯგუფებისა და ქალაქ-სოფლის მიხედვით


	დასაქმებული ბავშვები, სულ (ათასი)	არაკვალიფიციური მუშების პროფესიის მქონე ბავშვები	
		რაოდენობა (ათასი)	%
ბავშვები, სულ (ასაკი 5-17)	33.7	30.7	91.0
<i>სქესი</i>			
ბიჭი	25.8	23.8	92.5
გოგო	7.9	6.9	86.4
<i>ასაკობრივი ჯგუფები</i>			
5-13 წლის	12.7	12.5	98.8
14-15 წლის	8.8	8.0	91.5
16-17 წლის	12.2	10.1	82.7
<i>ადგილმდებარეობა</i>			
ქალაქი	5.3	3.4	63.6
სოფელი	28.4	27.3	96.2

6.3. ბავშვთა დასაქმების სტატუსი

კითხვარის სტრუქტურიდან გამომდინარე, ბავშვთა კითხვარში, ინფორმაცია დასაქმების სტატუსის შესახებ მოცემულია მხოლოდ 10-17 წლის ბავშვებისთვის, ხოლო სრულწლოვანთა კითხვარში ეს მონაცემი ხელმისაწვდომია 5-17 წლის ყველა დასაქმებული ბავშვისთვის.

ბავშვთა კითხვარის თანახმად, საქართველოში 10-17 წლის მომუშავე ბავშვები ძირითადად, უსასყიდლოდ მომუშავენი არიან, ანუ უმეტესწილად მათ მხოლოდ დამხმარე მუშაკების ფუნქციები აკისრიათ. როგორც დიაგრამა 6.3-დან ჩანს, ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე ბავშვების რაოდენობა თითქმის 8-ჯერ აღემატება დაქირავებით მომუშავე ბავშვების რაოდენობას და შესაბამისად 87.0%-ს და 10.5%-ს შეადგენს.

დიაგრამა 6.3. 10-17 წლის დასაქმებული ბავშვების განაწილება დასაქმების ძირითადი სტატუსის მიხედვით (%)



ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე ბავშვების სქესის მიხედვით დახასიათებისას ირკვევა, რომ მთლიანად დასაქმებული ბიჭებიდან ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში მომუშავეთა წილი მხოლოდ მცირედით ჭარბობს გოგონების ანალოგიურ მაჩვენებელს, შესაბამისად 87.9% და 84.4%.

ცხრილი 6.4-დან ნათლად ჩანს, რომ ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე ბავშვების პროცენტული წილი ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება და ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 16-17 წლის ბავშვებში ფიქსირდება (76.6%). აღნიშნული მაჩვენებლის ქალაქისა და სოფლის ჭრილში შედარებისას, სოფელში ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე ბავშვების პროცენტული წილი 91.7%-ია, ხოლო ქალაქში ანალოგიური მაჩვენებელი 63.7%-ს შეადგენს.

ცხრილი 6.4. ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე 10-17 წლის ბავშვების განაწილება სქესის, ასაკობრივი ჯგუფებისა და ქალაქ-სოფლის მიხედვით

	დასაქმებული ბავშვები, სულ (ათასი)	ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე	
		რაოდენობა (ათასი)	%
ბავშვები, სულ (ასაკი 10-17)	28.7	25.0	87.0
<i>სქესი</i>			
ბიჭი	21.9	19.3	87.9
გოგო	6.8	5.7	84.4
<i>ასაკობრივი ჯგუფები</i>			
10-13 წლის	7.7	7.5	98.3
14-15 წლის	8.8	8.1	91.8
16-17 წლის	12.2	9.4	76.6
<i>ადგილმდებარეობა</i>			
ქალაქი	4.8	3.1	63.7
სოფელი	23.9	21.9	91.7

6.4. ნამუშევარი საათები კვირაში

ბავშვთა დასაქმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ბავშვების მიერ ნამუშევარი საათების რაოდენობა.

კითხვარის სტრუქტურიდან გამომდინარე, ბავშვების კითხვარში, ნამუშევარი საათების შესახებ ინფორმაცია ივსება მხოლოდ 10-17 წლის ასაკის დასაქმებულ ბავშვზე, ხოლო მოზრდილთა კითხვარში - ყველა 5-17 წლის დასაქმებულ ბავშვზე.


ბავშვების კითხვარის მიხედვით, 10-17 წლის დასაქმებული ბავშვები საშუალოდ კვირაში 11.8 საათს მუშაობენ. შედარებისათვის, სრულწლოვანთა კითხვარიდან მოპოვებული ინფორმაციით, 10-17 წლის ბავშვები მუშაობენ 21.3%-ით მეტ დროს (საშუალოდ 13.1 საათი კვირაში). ასევე, სრულწლოვანთა კითხვარიდან 5-9 წლის ასაკის ბავშვებზე მიღებული მონაცემებით, ამ უკანასკნელთა საშუალო სამუშაო დრო კვირაში 6.5 საათია.

ვინაიდან ბავშვების კითხვარში მოცემული ინფორმაციის (ბავშვების დასაქმების მაჩვენებელი, დასაქმებასთან დაკავშირებული კითხვები და ა. შ.) დეტალიზაციის დონე აღემატება სრულწლოვანთა კითხვარში მოცემულ ინფორმაციას, შემდგომი, დეტალური მონაცემებისთვის ვუბრუნდებით ბავშვების კითხვარს.

სქესობრივ ჭრილში ანალიზი გვიჩვენებს, რომ 10-17 წლის ბიჭები საშუალოდ კვირის მანძილზე მუშაობენ 14.2%-ით მეტ საათს, ვიდრე გოგონები (შესაბამისად 12.1 და 10.6 საათი). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 10-13 წლის ასაკის ბავშვებში გოგონების მიერ ნამუშევარი

დრო მეტია ბიჭების ანალოგიურ მაჩვენებელზე (შესაბამისად, 9.1 და 7.2 საათი კვირაში). დანარჩენ ორ ასაკობრივ ჯგუფში ბიჭები მუშაობენ მეტს, ვიდრე გოგონები. საშუალო სამუშაო საათების რაოდენობა ასაკის მატებასთან ერთად იზრდება: 10-13 წლის ბავშვებში იგი შეადგენს კვირაში საშუალოდ 7.7 საათს, 14-15 წლის ბავშვებში - 9.9 საათს, ხოლო 16-17 წლის ბავშვებში - 15.7 საათს (იხ. დიაგრამა 6.4).

დიაგრამა 6.4. საშუალო სამუშაო საათები კვირაში დასაქმებული 10-17 წლის ბავშვებისათვის, სქესობრივ და ასაკობრივ ჯგუფში




ქალაქში ბავშვები მუშაობენ შედარებით მეტს (14.7 საათს კვირაში), ვიდრე სოფელში (11.1 საათს კვირაში). ძირითადად ეს სხვაობა აიხსნება იმით, რომ 10-17 წლის ასაკის მომუშავე ბავშვებში ქალაქში დაქირავებით დასაქმებულია 31.1%, ხოლო სოფელში მხოლოდ - 6.4%. ამასთან, დაქირავებით დასაქმებულთა ნამუშევარი საათების საშუალო მაჩვენებელი (27.7 საათი კვირაში) საგრძნობლად აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს (9.9 საათი კვირაში) მათთვის, ვინც დასაქმების სხვა სტატუსი დააფიქსირა (მათი სრული უმრავლესობა საოჯახო საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ არის დასაქმებული).

ქალაქში დასაქმებულ ბავშვებში, ასაკის მატებასთან ერთად იზრდება დაქირავებით დასაქმებულთა რიცხვი. აღნიშნული მიზეზიდან გამომდინარე, კვლევამ აჩვენა, რომ ქალაქში 10-15 წლის ბავშვები კვირაში საშუალოდ 7.6 საათს მუშაობენ, სოფელში კი შედარებით მეტს - 9.1 საათს. სრულიად განსხვავებული სიტუაცია გვხვდება 16-17 წლის ასაკის ბავშვებში. ამ ასაკობრივ ჯგუფში ქალაქში მომუშავეთა საშუალო სამუშაო დრო მკვეთრად აღემატება სოფელში დასაქმებული ბავშვების სამუშაო დროს, შესაბამისად, 21.5 საათი და 14.2 საათი კვირაში (იხ. დიაგრამა 6.5). ეს აიხსნება იმით, რომ ქალაქში 16-17 წლის დასაქმებულ ბავშვებში დაქირავებით დასაქმების წილი 32.8 პროცენტული პუნქტით მაღალია სოფლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, შესაბამისად 44.9% და 12.1%.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოფელში ბიჭები მუშაობენ უფრო მეტს, ვიდრე გოგონები, შესაბამისად, 11.6 და 9.6 საათი კვირაში, ხოლო ქალაქში სამუშაო საათების ხანგრძლივობა თითქმის ტოლია და ბიჭებში 15.0 საათს, ხოლო გოგონებში 14.7 საათს შეადგენს კვირაში.


დიაგრამა 6.5. 10-17 წლის დასაქმებული ბავშვების საშუალო ნამუშევარი საათები კვირაში, ასაკობრივი ჯგუფებისა და ქალაქ-სოფლის მიხედვით



მომუშავე ბავშვები ძირითადად დასაქმებულნი არიან სოფლის მეურნეობაში, სადაც ისინი მუშაობენ კვირაში საშუალოდ 10.2 საათს, მათ შორის ბიჭები 10.6 საათს, ხოლო გოგონები - 8.6 საათს.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებული 10-13 წლის ბავშვები კვირაში საშუალოდ მუშაობენ 7.9 საათს, 14-15 წლის ასაკის ბავშვები - 9.3 საათს, ხოლო 16-17 წლის ბავშვები - 12.6 საათს. ქალაქში სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ბავშვები საშუალოდ უფრო ნაკლებს მუშაობენ (7.9 საათი) კვირის განმავლობაში, ვიდრე სოფლად (10.4 საათი). სოფლის მეურნეობის ქვედარგების ანალიზი გვიჩვენებს (დიაგრამა 6.6), რომ მეცენარეობაში დასაქმებული ბავშვები კვირაში საშუალოდ მუშაობენ 12.0 საათს, მეცხოველეობაში დასაქმებულები - 11.2 საათს, ხოლო შერეულ სოფლის მეურნეობაში შედარებით ნაკლებს - 8.7 საათს კვირაში (იხ. დიაგრამა 6.6).

დიაგრამა 6.6. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული 10-17 წლის ბავშვების საშუალო ნამუშევარი საათები კვირაში, ქვედარგების მიხედვით



სოფლის მეურნეობის გარეთ მომუშავე ბავშვთა მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, სხვა დარგებზე ნამუშევარი საათების მიხედვით ანალიზის გაკეთება შეუძლებელი აღმოჩნდა.

მომუშავე ბავშვები, რომლებიც დადიან საგანმანათლებლო დაწესებულებაში, საშუალოდ მუშაობენ კვირაში 9.7 საათს, ხოლო ისინი ვინც მხოლოდ მუშაობენ, ბევრად მეტს - 26.7 საათს. ბავშვები, რომლებიც მუშაობენ და არ სწავლობენ, ძირითადად კონცენტრირებული არიან 16-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში (85.0%).

6.5. 10-17 წლის ბავშვების ანაზღაურების მახასიათებლები

საქართველოში დასაქმებული ბავშვების უმეტესობა მუშაობს ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ და შესაბამისად არ იღებს ფულად ანაზღაურებას. კითხვარის სტრუქტურიდან გამომდინარე, ბავშვების კითხვარში დასაქმებიდან ფულადი შემოსავლის შესახებ ინფორმაცია ივსება მხოლოდ 10-17 წლის ასაკის დასაქმებული ბავშვებისთვის. რაც შეეხება ზრდასრულთა კითხვარს, ფულადი შემოსავლის შესახებ ინფორმაცია ივსება 5-9 წლის ასაკის ბავშვებზეც, თუმცა კვლევაში არ დაფიქსირებულა ფულადი შემოსავალი ამ ასაკის ბავშვებისთვის. შესაბამისად, შემდგომი მონაცემები ეფუძნება ბავშვთა კითხვარს და შესაბამისად ეხება 10-17 წლის ბავშვებს, რომელთაგანაც მხოლოდ 12.4% იღებს ფულად შემოსავალს დასაქმებიდან. ამ ბავშვების საშუალო ყოველთვიური ფულადი ანაზღაურება (ხელზე ასაღები) შეადგენს 173.0 ლარს. ეს მაჩვენებელი ბიჭებისთვის 178.4 ლარს შეადგენს, ხოლო გოგონებისთვის 159.5 ლარს. სოფელში დასაქმებული ბავშვები იღებენ საშუალოდ 139.3 ლარს თვეში, ხოლო ქალაქში დასაქმებული ბავშვები - 51.7%-ით მეტს (211.2 ლარი).

ასაკის მატებასთან ერთად იზრდება დასაქმებული ბავშვების საშუალო ანაზღაურება: 16-17 წლის ბავშვების საშუალო ანაზღაურება 195.7 ლარს შეადგენს, რაც თითქმის ორჯერ მეტია 10-14 წლის ბავშვების ანაზღაურებაზე (96.9 ლარი).

აღსანიშნავია, რომ დაქირავებით დასაქმებულ ბავშვთა უმეტესობა ანაზღაურებას იღებს თვიური (39.3%) ან დღიური სიხშირით (33.6%). ბავშვების მცირე რაოდენობა იღებს საათობრივ, ყოველკვირეულ, სამუშაოს დასრულების შემდგომ ან სანარდო ანაზღაურებას.

დასაქმებიდან მიღებული ფულადი ანაზღაურების ხარჯვისას, ბავშვების 68.8% თანხას ხარჯავს პირადი ნივთების საყიდლად, 44.8% ფულს მთლიანად ან ნაწილობრივად აძლევს მშობლებს/მეურვეებს, 14.4% კი ყიდულობს ნივთებს შინამეურნეობისათვის. როგორც ზემოთ

აღინიშნა, დასაქმებიდან ფულადი შემოსავალი ძირითადად გვხვდება 16-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

6.6. 10-17 წლის ბავშვების მუშაობის მიზეზები


როდესაც ვიხილავთ ბავშვთა დასაქმებას, მნიშვნელოვანია გავანალიზოთ ის მიზეზები, თუ რატომ მუშაობენ ბავშვები: განპირობებულია ეს ოჯახის შემოსავლების გაზრდის მოტივით, მუშაობისადმი ინტერესით თუ სხვა მიზეზებით. კითხვარის სტრუქტურიდან გამომდინარე, თითოეულ ბავშვს შეეძლო დაესახელებინა რამდენიმე პასუხი. როგორც აღმოჩნდა, 10-17 წლის დასაქმებულ ბავშვთაგან ყველაზე მეტი - 63.0%, მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ოჯახური საწარმოს/მეურნეობის დახმარებას ასახელებს. სხვა ხშირად დასახელებული მიზეზია უბრალოდ მუშაობის სურვილი (41.2%) და ოჯახის შემოსავლის გაზრდა (23.8%). დასაქმებულთა მხოლოდ 19.6% მუშაობს უნარების შესასწავლად. სქესობრივ ჭრილში პასუხების განხილვისას ვნახავთ, რომ ბიჭები უფრო ნაკლებად მუშაობენ უნარების შესასწავლად (17.8%), ვიდრე გოგონები (25.4%). მუშაობის ძირითადი მიზეზები სქესობრივ ჭრილში მოცემულია ცხრილ 6.5-ში.

ცხრილი 6.5. ბავშვების მუშაობის ძირითადი მიზეზები (%)

	ოჯახის შემოსავლის გაზრდა	ოჯახური საწარმოს/მეურნეობის დახმარება	უნარების შესწავლა	მუშაობის სურვილი
ბიჭი	25.7	61.7	17.8	41.5
გოგო	17.7	67.1	25.4	40.1
სულ	23.8	63.0	19.6	41.2

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ასაკის მატებასთან ერთად იცვლება მუშაობის მიზეზების სტრუქტურა. თუ 10-15 წლის ბავშვებში ოჯახის შემოსავლის გასაზრდელად მუშაობს 18.5%, 16-17 წლის ასაკის ბავშვებში ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია და 30.9%-ს შეადგენს. ამასთან, ასაკის ზრდის პარალელურად მცირდება უნარების შესწავლის მოტივი მუშაობისას, შესაბამისად, 10-15 წლის ბავშვებში ეს მაჩვენებელი არის 22.9%, ხოლო 16-17 წლის ასაკში, მხოლოდ 15.2% (იხ. დიაგრამა 6.7).


დიაგრამა 6.7. ბავშვების მუშაობის ძირითადი მიზეზები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)



6.7. მომუშავე ბავშვების სხვა მახასიათებლები

მომუშავე ბავშვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს სამუშაო ადგილი, სადაც სრულდება სამუშაო, რადგან სამუშაო ადგილი და შესაბამისი გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის სამუშაო პირობებზე. 10-17 წლის დასაქმებული ბავშვების 81.9% (23.5 ათასი ბავშვი) სამუშაოს ძირითადად ასრულებს მინდორში/ფერმაში/ბაღში (იხ. დიაგრამა 6.8), რაც დასაქმების სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის დომინირებით აიხსნება.

დიაგრამა 6.8. დასაქმებულ ბავშვთა ძირითადი სამუშაო ადგილი (%)



როგორც უკვე აღინიშნა, ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება მინდორში, ფერმებსა თუ ბაღებში მომუშავე ბავშვთა წილი მთლიან მომუშავე ბავშვებში, რადგან ისინი მეტად ერთვებიან სოფლის მეურნეობისგან განსხვავებულ საქმიანობებში. 10-13 წლის ასაკის ბავშვებში ეს მაჩვენებელი შეადგენს 92.8%-ს, 14-15 წლის ბავშვებში - 84.5%-ს, ხოლო 16-17 წლის ბავშვებში - 73.1%-ს. თუ აღნიშნულ მაჩვენებელს განვიხილავთ ქალაქ-სოფლის ჭრილში, ბუნებრივია, რომ მინდორი/ფერმა/ბაღი არის ძირითადი სამუშაო ადგილი მეტწილად სოფელში მცხოვრები ბავშვებისთვის (დასაქმებულ ბავშვთა 89.1%). ამასთან, ქალაქში დასაქმებულ ბავშვთა 46.0%-ს აქვს ანალოგიური სამუშაო ადგილი, რაც განპირობებულია საქართველოს მცირე ზომის ქალაქების ეკონომიკურ საქმიანობაში სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი წილით.

ბავშვთა შრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი არის ღამით¹ მუშაობა, რაც საზიანოა ბავშვის განვითარებისათვის. 10-17 წლის ასაკის დასაქმებული ბავშვების დაახლოებით 1/3-ს (31.5%) ხანდახან მაინც უწევს ღამით მუშაობა. მოცემული წილი მოიცავს ბავშვებს, რომლებიც ძირითადად მუშაობენ:

- ძირითადად ღამით (საღამოს 10 საათის შემდეგ);
- როგორც დღისით, ასევე ღამით;
- ზოგჯერ დღისით, ზოგჯერ ღამით.

აღსანიშნავია, რომ ღამით მუშაობა უწევთ როგორც გოგონებს, ისე ბიჭებს და სქესობრივ ჭრილში სხვაობა არ არის არსებითი, შესაბამისად, 29.8% და 32.1%. დასაქმებული ბავშვების 47.9% მუშაობს მხოლოდ დღისით, ხოლო 20.6% - ძირითადად შაბათ-კვირას. მომუშავე ბავშვების განაწილება სამუშაოს შესრულების დროის მიხედვით, სქესობრივ ჭრილში მოცემულია ცხრილ 6.6-ში.

ცხრილი 6.6. მომუშავე ბავშვების განაწილება სამუშაოს შესრულების დროის მიხედვით, სქესის მიხედვით (%)


	ძირითადად მხოლოდ დღისით ²	ღამით (ყოველთვის ან დროდადრო)	ძირითადად შაბათ-კვირას
სულ	47.9	31.5	20.6
ბიჭი	46.7	32.1	21.2
გოგო	51.8	29.8	18.5

უფროსი ასაკის ბავშვები უფრო იშვიათად მუშაობენ შაბათ-კვირას და ძირითადად მუშაობენ სამუშაო დღეებში (იხ. დიაგრამა 6.9).

¹ მოიცავს ბავშვებს, რომლებიც საღამოს 10 საათიდან დილის 6 საათამდე მონაკვეთში მუშაობენ.

² მოიცავს ბავშვებს, რომლებიც მუშაობენ მხოლოდ დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე.

დიაგრამა 6.9. მომუშავე ბავშვების განაწილება სამუშაოს შესრულების დროის მიხედვით, ასაკობრივ ჯგუფში (%)



ქალაქში დასაქმებული ბავშვების უფრო მცირე ნაწილი მუშაობს ღამით, სოფლად დასაქმებულებთან შედარებით, შესაბამისად, 27.9% და 32.2%. ღამით მუშაობა გვხვდება როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე დანარჩენ დარგებში დასაქმებულ ბავშვებში (სოფლის მეურნეობაში 31.9%, ხოლო დანარჩენ დარგებში - 30.0%).

თუ გავანალიზებთ დასაქმებულ ბავშვებს პროფესიის მიხედვით, არაკვალიფიციური შრომით დაკავებულთაგან ღამით მუშაობს 23.0%, რაც 8.5 პროცენტული პუნქტით ნაკლებია მთლიანად მომუშავე ბავშვებში ღამით მომუშავეთა წილზე (31.5%).

რაც შეეხება იმას, თუ როდის ასრულებენ ბავშვები სამუშაოს სწავლასთან მიმართებაში, კვლევაში აჩვენა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსიარულე დასაქმებული ბავშვების თითქმის 2/3 (60.9%) მუშაობს სასწავლო დღეებში სასწავლებლის დასრულების შემდგომ. ბავშვების დაახლოებით 1/4 (27.3%) მუშაობს შაბათ-კვირას, ხოლო 7.7% მუშაობს სასწავლო დღეებში, როგორც სასწავლებელში მისვლამდე, ასევე სასწავლებლის შემდგომ. სქესის მიხედვით მონაცემები გვიჩვენებს, რომ გოგონების და ბიჭების უმრავლესობა მუშაობს სასწავლო დროის დასრულების შემდეგ და გოგონებში ეს მაჩვენებელი მცირედით აღემატება ბიჭებში ანალოგიურ მაჩვენებელს, შესაბამისად, 63.9% და 59.9%. საპირისპირო სურათია შაბათ-კვირას მუშაობაში, აქ მომუშავე ბიჭების რაოდენობა მცირედით აღემატება გოგონათა რაოდენობას (ცხრილი 6.7). ამასთან, კვლევაში უმნიშვნელოდ მცირე სიხშირე დაფიქსირდა ისეთი ბავშვების, რომლებიც ძირითადად გაცდენილი სასწავლო საათების ან დღეების განმავლობაში მუშაობდნენ.

ცხრილი 6.7. მომუშავე და ამავედროულად სასწავლო პროცესში ჩართული ბავშვების განაწილება სამუშაოს შესრულების დროის მიხედვით სასწავლებელთან მიმართებაში (%)

	სასწავლო დღეებში, სასწავლებლის შემდეგ	შაბათ-კვირას
სულ	60.9	27.3
ბიჭი	59.9	28.2
გოგო	63.9	24.4

7. ბავშვთა შრომა და სახიფათო შრომა

7.1. ბავშვთა შრომა

ბავშვთა შრომა არის აკრძალული შრომა და მოიცავს 5-17 წლის ასაკის ორივე სქესის ბავშვებს, რომლებიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაკავებული იყვნენ შემდეგ ეკონომიკურ საქმიანობათა ერთ-ერთი სახით მაინც: „სახიფათო შრომა“, „სახიფათოსგან განსხვავებული ბავშვთა შრომა“ და „სახიფათოსგან განსხვავებული ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმები“ (კომერციული მიზნით ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია, იძულებითი შრომა და ა.შ.). ვინაიდან „სახიფათო სამუშაოსგან განსხვავებულ ბავშვთა შრომის უკიდურეს ფორმებში“ ჩართული ბავშვების შესახებ ინფორმაციის მოპოვება შინამეურნეოების შერჩევითი კვლევებიდან შეუძლებელია, ბავშვთა შრომის ეროვნულმა კვლევამ მოიცვა დანარჩენ ორ პუნქტში მოცემული საქმიანობები.

კვლევის შედეგებით, 24.4 ათასი ბავშვი ანუ საქართველოში მცხოვრები 5-17 წლის ბავშვების საერთო რაოდენობის 4.2% არის ჩართული ბავშვთა შრომაში. აქედან, სახიფათო შრომაში ჩართულია 15.6 ათასი ბავშვი (ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების 63.9%), ხოლო დანარჩენი 8.8 ათასი ბავშვი ჩართულია სახიფათოსგან განსხვავებულ ბავშვთა შრომის სხვა ფორმებში.

7.2. ბავშვთა შრომის ძირითადი მახასიათებლები

ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების დაახლოებით 79%-ს (19.2 ათასი ბავშვი) ბიჭები წარმოადგენენ, რაც 5-17 წლის ბიჭების მთლიანი რაოდენობის 6.3%-ს შეადგენს, ხოლო გოგონების რაოდენობამ 5.2 ათასი ბავშვი (5-17 წლის ასაკის გოგონების 1.9%) შეადგინა.

მომუშავე 5-17 წლის ბიჭების რაოდენობა, რომლებიც არ არიან ჩართულნი ბავშვთა შრომაში, თითქმის 2.5-ჯერ აღემატება ამავე ასაკის გოგონების რაოდენობას. მთლიანად ბიჭების 91.6% (279 ათასი ბავშვი) და გოგონების 97.1% (264.5 ათასი ბავშვი) არ არიან ჩართულნი რაიმე სახის ეკონომიკურ საქმიანობაში.

ცხრილი 7.1. 5-17 წლის ასაკის ბავშვების განაწილება ეკონომიკური აქტივობის სტატუსის და სქესის მიხედვით (%)

აქტივობის სახე	ბიჭი	გოგო	სულ
ბავშვთა შრომა	6.3	1.9	4.2
მომუშავე ბავშვები, ბავშვთა შრომაში ჩართულების გარდა	2.1	1.0	1.6
არამომუშავე	91.6	97.1	94.2

5-13 წლის ასაკის მომუშავე (ავტომატურად ბავშვთა შრომაში ჩართულნი, იმ პირობით, რომ იმყოფებიან მსუბუქი სამუშაოსთვის დასაშვებ მინიმალური ასაკობრივი ზღვრის ქვევით) ბავშვების რაოდენობა შეადგენს 12.6 ათასს, რაც ამ ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა საერთო რაოდენობის 3.1%-ს შეადგენს. 14-15 და 16-17 წლის ასაკის ბავშვთა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც არიან ჩართულნი ბავშვთა შრომაში, შეადგენს ბავშვთა შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების მთლიანი რაოდენობის 5.3% და 8.6%-ს. მომუშავე ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც არ არიან ჩართულნი ბავშვთა შრომაში, უმაღლეს 2 ასაკობრივ ჯგუფში თითქმის თანაბარია და შესაბამისად - 4.4 და 4.9 ათას ბავშვს შეადგენს.

ცხრილი 7.2. 5-17 წლის ბავშვების განაწილება ეკონომიკური აქტივობის სტატუსის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)

აქტივობის სახე	5-13 წლის	14-15 წლის	16-17 წლის
ბავშვთა შრომა	3.1	5.3	8.6
მომუშავე ბავშვები, ბავშვთა შრომაში ჩართულების გარდა	-	5.2	5.6
არამომუშავე	96.9	89.5	85.8


მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ტიპის დასახლებებში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა აღემატება სოფლად მცხოვრები ბავშვების რაოდენობას, სასოფლო დასახლებებში ბავშვთა შრომაში ჩართულობა გაცილებით უფრო მაღალია. ქალაქში მცხოვრებ ბავშვთა მხოლოდ 1.2% (დაახლოებით 4 ათასი ბავშვი) არის ჩართული ბავშვთა შრომაში და 0.4% (1.4 ათასი ბავშვი) არის იმ მომუშავე ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც არ არიან ჩართულნი ბავშვთა შრომაში. თავის მხრივ, სოფელში მცხოვრები ბავშვების მთლიანი რაოდენობის 8.3% (20.5 ათასი ბავშვი) არის ჩართული ბავშვთა შრომაში და 3.2% (7.9 ათასი ბავშვი) არის იმ მომუშავე ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც არ არიან ჩართული ბავშვთა შრომაში.

ცხრილი 7.3. 5-17 წლის ბავშვების განაწილება ეკონომიკური აქტივობის სტატუსის და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (%)

აქტივობის სახე	ქალაქი	სოფელი
ბავშვთა შრომა	1.2	8.3
მომუშავე ბავშვები, ბავშვთა შრომაში ჩართულების გარდა	0.4	3.2
არამომუშავე	98.4	88.6

ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების (24.4 ათასი ბავშვი) ნახევარზე მეტი 5-13 წლისაა, თითქმის მეექვსედი 14-15 წლის ასაკის, ხოლო დაახლოებით მესამედი - 16-17 წლის ასაკის.

დიაგრამა 7.1. ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)




ბავშვთა შრომაში ჩართული ბიჭების დაახლოებით 50% არის 5-13 წლის ასაკის, რაც ამ ასაკობრივი ჯგუფის ბიჭების საერთო რაოდენობის 4.5%-ს შეადგენს, 17.2% (3.3 ათასი ბავშვი) არის 14-15 წლის ასაკის, ხოლო დანარჩენი 32.8% (6.3 ათასი ბავშვი) გვხვდება 16-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში.

ბავშვთა შრომაში ჩართული 5-13 წლის ასაკის გოგონების პროცენტული წილი ბავშვთა შრომაში ჩართული გოგონების მთლიანი რაოდენობის 58.6%-ს (3.1 ათასი ბავშვი) შეადგენს, რაც ამ ასაკის გოგონების საერთო რაოდენობის 1.6%-ია.

ბავშვთა დასაქმების სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის დომინირების გამო, სოფლის ტიპის დასახლებებში გაცილებით მეტი ბავშვია ჩართული ბავშვთა შრომაში, ვიდრე ქალაქის ტიპის დასახლებებში. კერძოდ, ბავშვთა შრომაში ჩართული 24.4 ათასი ბავშვიდან 20.5 ათასი (84.0%) ცხოვრობს სოფელში, ხოლო დანარჩენი 3.9 ათასი (16.0%) - ქალაქში.

დიაგრამა 7.2. ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების განაწილება ქალაქ-სოფლის მიხედვით (%)



რეგიონული განაწილების მხრივ, მომუშავე ბავშვთა ჩართულობა ბავშვთა შრომაში ყველაზე მაღალია სამეგრელოში (82.7%), გურიაში (82.4%) და კახეთში (77.0%). ამასთან, სამეგრელოში

5-17 წლის ასაკის ბავშვების 4.5%-ია ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე ნაკლებია.

ცხრილი 7.4. ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების წილი მთლიანად ბავშვებსა და მომუშავე ბავშვებში, რეგიონების მიხედვით (%)

რეგიონი	ბავშვთა შრომის წილი ბავშვების მთლიან რაოდენობაში	ბავშვთა შრომის წილი მომუშავე ბავშვთა რაოდენობაში
კახეთი	9.8	77.0
თბილისი	0.8	71.7
შიდა ქართლი	5.3	68.7
ქვემო ქართლი	3.5	62.0
სამცხე-ჯავახეთი	11.1	73.5
აჭარის ა. რ.	7.2	68.3
გურია	13.8	82.4
სამეგრელო	3.7	82.7
იმერეთი	2.7	74.8
მცხეთა-მთიანეთი	2.1	61.1

მონაცემთა ანალიზი შინამეურნეობების ფულადი შემოსავლის კვინტილური ჯგუფების მიხედვით გვიჩვენებს, რომ ბავშვთა შრომის მაქსიმალური დონე ყველაზე დაბალ I კვინტილში ფიქსირდება (5.9%). შინამეურნეობების ფულადი შემოსავლის ზრდასთან ერთად ბავშვთა შრომის დონე კლებულობს და ზედა, V კვინტილში 2.0%-მდე ეცემა.

ცხრილი 7.5. ბავშვთა შრომაში ჩართული 5-17 წლის ასაკის ბავშვების განაწილება შინამეურნეობის ფულადი შემოსავლის კვინტილური ჯგუფების მიხედვით

კვინტილური ჯგუფი	რაოდენობა, ათასი ბავშვი	% მთელ ბავშვებში
I	7.3	5.9
II	6.3	5.3
III	5.2	4.7
IV	3.5	3.2
V	2.1	2.0

კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების 63.9% ჩართულია „სახიფათო შრომაში“ და 36.1% - „სახიფათოსგან განსხვავებული ბავშვთა შრომაში“.

ბავშვთა შრომაში ჩართული 5-17 წლის ასაკის ბიჭების 67.4% „სახიფათო შრომითაა“ დაკავებული, ხოლო 32.6% - „სახიფათოსგან განსხვავებული ბავშვთა შრომით“. ეს მაჩვენებლები გოგონების შემთხვევაში შესაბამისად, 51.4% და 48.6%-ს შეადგენს.

5-13 წლის ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვებიდან 31.6% სახიფათო შრომითაა დაკავებული, ხოლო დანარჩენი 68.4% - სახიფათოსგან განსხვავებული ბავშვთა შრომით. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში დასაქმებისთვის დასაშვები მინიმალური ასაკობრივი ზღვარი 16 წელს შეადგენს, ბავშვთა შრომაში ჩართული 16-17 წლის ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების 100% სახიფათო შრომის კატეგორიაშია მოხვედრილი.

სახიფათო შრომის და სახიფათო შრომისაგან განსხვავებული ბავშვთა შრომის დეტალური მონაცემები სხვადასხვა ჭრილში მოცემულია ცხრილში 7.6

ცხრილი 7.6. 5-17 წლის ასაკის ბავშვთა განაწილება ბავშვთა შრომის კატეგორიების მიხედვით

	სულ ბავშვთა შრომაში ჩართული, ათასი ბავშვი	სახიფათო შრომა (%)	სახიფათოსგან განსხვავებული ბავშვთა შრომა (%) ¹
სულ	24.4	63.9	36.1
<i>სქესი</i>			
ბიჭი	19.2	67.4	32.6
გოგო	5.2	51.4	48.6
<i>ასაკობრივი ჯგუფები</i>			
5-13 წლის	12.6	31.6	68.4
14-15 წლის	4.4	96.6	3.4
16-17 წლის	7.4	100	-
<i>ადგილმდებარეობა</i>			
ქალაქი	3.9	78.6	21.4
სოფელი	20.5	61.1	38.9

7.3. ბავშვებისათვის სახიფათო სამუშაო

ბავშვებისათვის „სახიფათო სამუშაო“ არის ისეთი სამუშაო, რომელმაც თავისი ხასიათით ან პირობებით, რომელშიც ის სრულდება, შეიძლება ზიანი მოუტანოს ბავშვის ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან ზნეობას, ან უარყოფითად იმოქმედოს მის სწავლა-განათლებაზე. სახიფათო სამუშაოს განმსაზღვრელი კრიტერიუმებია: სახიფათო პროფესიით ან სახიფათო დარგში მუშაობა, სახიფათო გარემო და სახიფათო პირობები, ხანგრძლივი სამუშაო საათები, ღამე მუშაობა, სიმძიმეების ტარება, მანქანა-დანადგარების გამოყენება. თუ ბავშვის მუშაობა რომელიმე კატეგორიით არის სახიფათო, მისი შრომა განისაზღვრება როგორც სახიფათო სამუშაო.

საქართველოში 15.6 ათასი ბავშვი არის ჩართული სახიფათო ბავშვთა შრომაში, რაც მთლიანად ბავშვთა შრომის 63.9%-ია, ხოლო მომუშავე ბავშვთა - 46.4%. როგორც კვლევამ აჩვენა, სახიფათო შრომაში დასაქმებულ ბავშვთა უმეტესობისათვის (9.0 ათასი ბავშვი) სახიფათო სამუშაოს განმსაზღვრელი კრიტერიუმი არის ღამით მუშაობა. 5.5 ათასი ბავშვი მუშაობს სახიფათო გარემოში, რაც სახიფათო სამუშაოთი დაკავებული ბავშვების 35.2%-ია. ასევე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბავშვებს სამუშაო ადგილზე უწევთ მძიმე ტვირთის ტარება. ასეთი ბავშვების წილი სახიფათო სამუშაოთი დაკავებულ ბავშვებში 24.5%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მძიმე ტვირთის ტარება უმეტესად ბიჭებს უწევთ. ასევე, სახიფათო შრომაში არიან ჩართულები ბავშვები, რომლებიც მუშაობენ ხანგრძლივად (8.7%), ამუშავებდნენ დანადგარებს/მძიმე ტექნიკას (9.1%) ან არიან ისეთი პროფესიის, რომელიც სახიფათოა ბავშვისათვის (12.7%). ცხრილ 7.7-ში მოცემულია სახიფათო სამუშაოთი დაკავებული ბავშვები, მიზეზების ძირითადი კატეგორიების მიხედვით.

ბავშვები შეიძლება ჩართული იყვნენ სახიფათო შრომაში რამდენიმე კრიტერიუმით, შესაბამისად, ისინი შეიძლება ერთდროულად მოხვდნენ ქვემოთ ჩამოთვლილ რამდენიმე კატეგორიაში.

¹ სახიფათოსგან განსხვავებული ბავშვთა შრომა დეფინიციის მიხედვით მოიცავს მხოლოდ 5-15 წლის ბავშვებს.


ცხრილი 7.7. სახიფათო შრომით დაკავებული ბავშვები

	რაოდენობა, ათასი ბავშვი	წილი სახიფათო შრომით დაკავებულ ბავშვებში (%)
სახიფათო სფერო	0.8	5.4
სახიფათო პროფესია	2.0	12.7
ღამე მუშაობა	9.0	57.9
ხანგრძლივი სამუშაო საათები	1.4	8.7
მძიმე ტვირთის ტარება	3.8	24.5
დანადგარების/მძიმე ტექნიკის გამოყენება	1.4	9.1
სახიფათო გარემოში მუშაობა	5.5	35.2


სახიფათო სამუშაოთი დაკავებულ ბავშვებში უმეტესობა ბიჭია და მათთვის სახიფათო საქმიანობის განმსაზღვრელი ძირითადი მიზეზები უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე გოგონებში. სახიფათო სამუშაოთი დაკავებული ბიჭების 54.3%-ისათვის სახიფათო სამუშაო განისაზღვრება ღამე მუშაობით, ხოლო სახიფათო გარემოთი 37.6%-ისათვის. ასევე გასათვალისწინებელი მიზეზებია მძიმე ტვირთის ტარება (28.3%) და მანქანა-დანადგარების/მძიმე ტექნიკის გამოყენება (9.7%). რაც შეეხება გოგონებს, ძირითადი პრობლემა არის აგრეთვე ღამე მუშაობა (სახიფათო სამუშაოთი დაკავებულთა 74.8%) და სახიფათო გარემო (23.3%) (იხ. დიაგრამა 7.3 და დიაგრამა 7.4)¹.

¹ მონაცემების ჯამი არ არის 100%-ის ტოლი, ვინაიდან ერთი ბავშვი შესაძლოა რამდენიმე კატეგორიაში მოხვდეს.

დიაგრამა 7.3. სახიფათო სამუშაოთი დასაქმებული ბიჭების წილი, სახიფათო სამუშაოს ძირითადი კატეგორიების მიხედვით (%)




დიაგრამა 7.4. სახიფათო სამუშაოთი დასაქმებული გოგონების წილი, სახიფათო სამუშაოს ძირითადი კატეგორიების მიხედვით (%)



ქალაქის და სოფლის ტიპის დასახლებებში სახიფათო სამუშაოს შემსრულებელი ბავშვების შესაბამისად 34.5%-ს და 35.3%-ს უწევს სახიფათო გარემოში მუშაობა. სახიფათო გარემოში მომუშავე ბავშვების წილი სახიფათო სამუშაოში ჩართულ ბავშვებში მცირედით იზრდება ასაკის ზრდასთან ერთად. დიაგრამა 7.5-ზე მოცემულია სამივე ასაკობრივი კატეგორიისათვის სახიფათო გარემოში მომუშავე ბავშვების წილი.

დიაგრამა 7.5. სახიფათო გარემოში მომუშავე ბავშვების წილი სახიფათო შრომით დაკავებულ ბავშვებში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)



კვლევის შედეგების მიხედვით, გამოიყოფა სახიფათო გარემოს რამდენიმე ძირითადი ტიპი. ბავშვებისათვის ყველაზე ფართოდ გავრცელებული პრობლემა არის მტვერში ან კვამლში მუშაობა. აღნიშნულ გარემოში მუშაობა უწევს 3.2 ათასს ბავშვს, რაც სახიფათო სამუშაოთი დაკავებული ბავშვების 20.7%-ს და სახიფათო გარემოში მომუშავე ბავშვთა 58.9%-ს შეადგენს. 1.6 ათას ბავშვს (სახიფათო სამუშაოში ჩართული ბავშვების 10.1%-ს) უწევს მუშაობა ხმაურის ან ვიბრაციის ფონზე, ხოლო უკიდურეს სიციხესა ან სიცივეში მუშაობს 2.0 ათასი ბავშვი (სახიფათო სამუშაოში ჩართული ბავშვების 12.5%). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გარემო შესაძლებელია სახიფათო იყოს ბავშვის ჯანმრთელობისათვის. ძირითადი სახიფათო გარემოს კატეგორიების მიხედვით ბავშვების რაოდენობა და წილი მოცემულია ცხრილ 7.8-ში.


ცხრილი 7.8. სახიფათო გარემოში დასაქმებული ბავშვები, კატეგორიების მიხედვით

	მტვერი/კვამლი	ხმაური/ვიბრაცია	უკიდურესი სიცივე/სიციხე
რაოდენობა, ათასი ბავშვი	3.2	1.6	2.0
წილი სახიფათო გარემოში მომუშავე ბავშვებში (%)	58.9	28.6	35.4
წილი სახიფათო შრომით დაკავებულ ბავშვებში (%)	20.7	10.1	12.5

რადგან სოფლის მეურნეობა ბავშვებისთვის ძირითადი დასაქმების სფეროს წარმოადგენს, სახიფათო სამუშაოს შემთხვევების უმეტესი ნაწილიც (სახიფათო სამუშაოთი დაკავებული მთლიანი შემთხვევების 73.1%) ამ დარგში გვხვდება. (იხ. დიაგრამა 7.6). სახიფათო სამუშაოს უმეტესად ბიჭები ასრულებენ.


რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, 5-15 წლის სახიფათო სამუშაოში ჩართული ბავშვებიდან 80.7% არის დასაქმებული სოფლის მეურნეობაში, ხოლო 16-17 წლის ბავშვებში აღნიშნული მაჩვენებელი 64.6%-ს შეადგენს. ასაკის მატებასთან ერთად მცირდება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი, რადგან უფროსი ასაკის ბავშვებს უჩნდებათ სხვა ალტერნატიული სამუშაო შესაძლებლობები.

დიაგრამა 7.6. სახიფათო სამუშაოთი დაკავებული ბავშვების განაწილება საქმიანობის სფეროს მიხედვით (%)




სახიფათო სამუშაოთი დაკავებული ბავშვების დიდი ნაწილი (45.0%) დასაქმებულია შერეულ სოფლის მეურნეობაში, ე.ი. ერთდროულად ჩართულია როგორც მემცენარეობაში, ისე მეცხოველეობაში. სახიფათო სამუშაოთი დაკავებული ბავშვების 14.5% ჩართულია მემცენარეობაში, ხოლო 9.1% - მეცხოველეობაში. დანარჩენ დარგებზე (მათ შორის სოფლის მეურნეობაში შემავალ სხვა ქვედარგებზე) მოდის ბავშვთა 31.4% (იხ. დიაგრამა 7.7).

დიაგრამა 7.7. სახიფათო სამუშაოთი დაკავებული ბავშვების განაწილება საქმიანობის სფეროს მიხედვით (%)



მცირე ასაკში პროფესიული განათლების არქონის გამო, სახიფათო სამუშაოთი დაკავებული ბავშვების უმრავლესობა (87.1%) არაკვალიფიციური მუშის სამუშაოს ასრულებს. შესაბამისად, სახიფათო სამუშაოთი დაკავებული ბავშვების მხოლოდ 12.9% არის სხვა პროფესიის. არაკვალიფიციური მუშების აბსოლუტური უმრავლესობა სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. მონაცემთა დაბალი სიხშირის გამო, პროფესიების მიხედვით მონაცემები არ იძლევა უფრო ღრმად გაანალიზებულ იქნას ბავშვების განაწილება სქესის, ქალაქ-სოფლის და ასაკობრივ ჯგუფში (დიაგრამა 7.8).

დიაგრამა 7.8. სახიფათო სამუშაოთი დაკავებული ბავშვების განაწილება პროფესიის/დაკავებული პოზიციის მიხედვით (%)



სახიფათო სამუშაოთი დაკავებული (10-17 წლის ასაკის) ბავშვები საშუალოდ კვირაში 14.7 საათს მუშაობენ. შედარებისათვის, დანარჩენი დასაქმებული ბავშვები, რომლებიც არ არიან სახიფათო სამუშაოთი დაკავებულები, მუშაობენ კვირაში 8.7 საათს. სახიფათო სამუშაოთი დაკავებული ბიჭები მუშაობენ გოგონებზე უფრო მეტს, საშუალოდ კვირაში 15.1 საათს, მაშინ როდესაც გოგონები მუშაობენ კვირაში 12.7 საათს. ასაკის მატებასთან ერთად იზრდება სახიფათო სამუშაოთი დასაქმებული ბავშვების ნამუშევარი დრო: 10-13 წლის ასაკის ბავშვებისათვის მოცემული მაჩვენებელი შეადგენს საშუალოდ 7.8 საათს, 14-15 წლებში - 11.1 საათს, ხოლო 16-17 წლის ასაკის ბავშვებისთვის სამუშაო დრო იზრდება 19.7 საათამდე. ქალაქ-სოფლის ჭრილში, სახიფათო სამუშაოთი დაკავებული ბავშვები საშუალოდ უფრო მეტს მუშაობენ ქალაქში (კვირაში 19.4 საათს), ვიდრე სოფელში (კვირაში 13.5 საათს).

ცხრილი 7.9. სახიფათო სამუშაოთი დაკავებული 10-17 წლის ასაკის ბავშვების ნამუშევარი საათების საშუალო რაოდენობა კვირაში

სულ	14.7
<i>სქესი</i>	
ბიჭი	15.1
გოგო	12.7
<i>ასაკობრივი ჯგუფი</i>	
10-13 წლის	7.8
14-15 წლის	11.1
16-17 წლის	19.7

გამომდინარე იქიდან, რომ ხანგრძლივი სამუშაო დრო სახიფათო სამუშაოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი პირობაა, ამ კრიტერიუმის გამორიცხვის შემდეგ მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ სახიფათო სამუშაოში ჩართული ბავშვები საშუალოდ კვირაში მუშაობენ 11.0 საათს. ეს მაჩვენებელი სქესობრივ ჭრილში თითქმის თანაბარია.


7.4. სახიფათოსგან განსხვავებული ბავშვთა შრომა

სახიფათოსგან განსხვავებულ ბავშვთა შრომაში იგულისხმება ბავშვები, რომლებიც ჩართული არიან ბავშვთა შრომაში, თუმცა მათი შრომა არ არის სახიფათო ზემოთ მოცემული კრიტერიუმებით. სახიფათოსგან განსხვავებულ ბავშვთა შრომაში ჩართულია 8.8 ათასი ბავშვი, რომელთა უმეტესობა (93.0%) დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. სოფლის

მეურნეობის ქვედარგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახიფათოსგან განსხვავებულ ბავშვთა შრომაში ჩართულ ბავშვთა 53.7% გვხვდება შერეულ სოფლის მეურნეობაში, ხოლო 30.9% - მემცენარეობაში. სახიფათოსგან განსხვავებულ ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების სტრუქტურა იმეორებს დასაქმების ძირითად ტენდენციებს: ბავშვთა უმეტესობა დასაქმებულია სოფელში და არიან ბიჭები. რაც შეეხება ასაკობრივ-სტრუქტურას, სახიფათოსგან განსხვავებულ ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვები ძირითადად გვხვდება პირველ ასაკობრივ ჯგუფში (5-13 წლის).

სახიფათოსგან განსხვავებულ ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების 98.6%-ის პროფესია არის არაკვალიფიციური მუშა, მათი აბსოლუტური უმრავლესობა სოფლის მეურნეობის არაკვალიფიციური მუშაა. სახიფათოსგან განსხვავებულ ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვები საშუალოდ მუშაობენ კვირაში 8.2 საათს. შედარებისათვის სახიფათო სამუშაოში ჩართული ბავშვებისთვის იგივე მაჩვენებელი შეადგენს 14.7 საათს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძირითადი შემთხვევები სახიფათოსგან განსხვავებული ბავშვთა შრომის გვხვდება სოფელში, სადაც მუშაობის ხანგრძლივობა 8.3 საათია კვირაში.

დიაგრამა 7.9. სახიფათოსგან განსხვავებულ ბავშვთა შრომაში დასაქმებული ბავშვების განაწილება დარგების მიხედვით (%)



8. განათლების მახასიათებლები

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში განათლების სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რომლებიც საქართველოში მიმდინარე მთელ რიგ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციას და ბოლონის პროცესის იმპლემენტაციას უკავშირდება. ბოლონის პროცესს საქართველო 2005 წელს მიუერთდა. შეიცვალა სისტემის მართვის, დაფინანსებისა და ხარისხის მართვის მოდელები და განათლების სისტემის სტრუქტურა.

საქართველოს განათლების სისტემის ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია:

- ა) სკოლამდელი განათლება;
- ბ) ზოგადი განათლება, რომელიც მოიცავს დაწყებით, საბაზო და საშუალო განათლებას;
- გ) პროფესიული განათლება;
- დ) უმაღლესი განათლება.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა (საშუალო განათლება) საქართველოში მოიცავს 12 წელს, რომელთაგან სავალდებულო სწავლებად ითვლება 9 წელი (6 წელი დაწყებითი და 3 წელი ძირითადი საბაზო სკოლა (საბაზო საფეხური)). სრული საშუალო საფეხური დამატებით გრძელდება 3 წელი და მოიცავს მეათე-მეთორმეტე კლასებს. დაწყებით კლასში მიიღებიან 6 წლის მოსწავლეები. კანონით დადგენილი წესით ზოგად განათლებას სახელმწიფო აფინანსებს.

საბაზო განათლების დასრულების შემდეგ მოსწავლეებს პროფესიული განათლების (VET) მიღების საშუალება ეძლევათ.

უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელი პირობაა სრული საშუალო განათლების დასრულება. უმაღლესი განათლების სისტემა შედგება 3 საფეხურისგან – ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა.

8.1. სასწავლო პროცესში ბავშვების ჩართულობის დონე

საქართველოში 5-17 წლის ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა (95.9%) დადის საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და აიხსნება იმით, რომ სკოლის ასაკის ბავშვებისთვის განათლების საბაზო საფეხურის გავლა სავალდებულოა და უფასოა.

არამომუშავე ბავშვების უფრო დიდი ნაწილი არის სწავლით დაკავებული (96.3%) და მომუშავე ბავშვების ანალოგიურ მაჩვენებელს თითქმის 7 პროცენტული პუნქტით აღემატება (89.5%).

სასწავლო პროცესში ჩართულობის ანალიზი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გვიჩვენებს, რომ 5-13 წლის ასაკის მომუშავე და არამომუშავე ბავშვებში სწავლაში ჩართულობის დონე შესაბამისად 98.9% და 96.7%-ს შეადგენს, ხოლო სხვაობა განპირობებულია იმით, რომ 5-13 წლის არამომუშავე ბავშვებში მაღალია სკოლამდელი ასაკის ბავშვების წილი, რომლებიც ხშირად სკოლამდელ დაწესებულებებშიც არ დადიან. ამასთან, სკოლამდელი ასაკის ბავშვებში დასაქმებული ბავშვების რაოდენობა თითქმის არ ფიქსირდება.

14-15 წლის ასაკობრივ ჯგუფში სურათი საპირისპიროა და მომუშავე ბავშვების სწავლაში ჩართულობის დონე 2.7 პროცენტული პუნქტით ნაკლებია, ვიდრე არამომუშავეების ანალოგიური მაჩვენებელი და შესაბამისად, 95.5 და 98.1 პროცენტს შეადგენს. 16-17 წლის ასაკობრივ ჯგუფებში აღნიშნული სხვაობა კიდევ უფრო დიდია (17.1% პროცენტული პუნქტი) და მომუშავე ბავშვების ჩართულობის დონე 75.3%-ს, ხოლო არამომუშავე ბავშვების

- 92.5%-ს შეადგენს. დასაქმებული ბავშვებიდან, ვინც არ სწავლობს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სრულ უმრავლესობას (94.6%) მიღებული აქვს სავალდებულო საბაზო განათლება (9 კლასი).

ზემოხსენებულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ 5-13 წლის ასაკის ბავშვებში დასაქმება მათ სწავლის პროცესში ჩართულობაზე არ ახდენს ზეგავლენას. უფროსი ასაკის ჯგუფებში კი, დასაქმებასა და სწავლაში ჩართულობას შორის უკუკავშირი იკვეთება - ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება დასაქმების დონე, ხოლო დასაქმებული ბავშვების სწავლაში ჩართულობა კი კლების ტენდენციით ხასიათდება.


ცხრილი 8.1. სწავლაში ჩართული 5-17 წლის მომუშავე და არამომუშავე ბავშვების განაწილება, სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)

	მომუშავე ბავშვები			არამომუშავე ბავშვები			სულ		
	ბიჭი	გოგო	სულ	ბიჭი	გოგო	სულ	ბიჭი	გოგო	სულ
5-13 წლის	99.2	98.2	98.9	96.4	97.1	96.7	96.5	97.1	96.8
14-15 წლის	94.4	98.7	95.5	98.3	97.9	98.1	97.7	98.0	97.9
16-17 წლის	73.9	80.8	75.3	91.9	93.0	92.5	88.1	92.2	90.0
სულ	88.5	92.6	89.5	96.1	96.6	96.3	95.4	96.5	95.9

ქალაქში არამომუშავე ბავშვების სწავლაში ჩართულობის დონე, ყველა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით აჭარბებს სოფლის ანალოგიურ მაჩვენებლებს და სხვაობა 1-7 პროცენტულ პუნქტამდე ინტერვალში მერყეობს (დიაგრამა 8.1).

არამომუშავე ბავშვებისგან განსხვავებით, 5-17 წლის მომუშავე ბავშვების სწავლაში ჩართულობის დონე სოფლად უფრო მაღალია (91.6%). მას ქალაქის ანალოგიური მაჩვენებელი 13.5 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება და 78.1%-ს შეადგენს. სოფელში მომუშავე ბავშვები სასწავლო დაწესებულებაში სიარულს უფრო მეტად ახერხებენ, რადგან ძირითადად დაკავებული არიან ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში საქმიანობით. ამავე დროს, ქალაქში, განსაკუთრებით 16-17 წლის ბავშვები, რომელთაც სავალდებულო საბაზო განათლება უკვე მიღებული აქვთ, უფრო აქტიურად ერთვებიან დასაქმებაში შემოსავლის მიღების მიზნით და სწავლის გაგრძელებას ვეღარ ახერხებენ.


დიაგრამა 8.1. სწავლაში ჩართული 5-17 წლის მომუშავე და არამომუშავე ბავშვების განაწილება, ქალაქ-სოფლისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)



დიაგრამა 8.2-დან ჩანს, რომ ბავშვები, რომლებიც სახიფათო სამუშაოებს ასრულებენ, სწავლაში ჩართულობის შედარებით დაბალი მაჩვენებლით (83.9%) ხასიათდებიან სახიფათოსგან განსხვავებულ ბავშვთა შრომაში (97.9%) და დასაშვებ შრომაში ჩართულ ბავშვებთან (90.8%) შედარებით. ბავშვები, რომლებიც სახიფათო სამუშაოს ასრულებენ, სწავლაში ნაკლებად არიან ჩართულნი, რადგან მათ ხშირად კვირაში 36 საათზე მეტი დროით უწევთ მუშაობა და სწავლისთვის დრო ნაკლები რჩება.

მოცემული მაჩვენებლის სქესის მიხედვით გაანალიზებისას ჩანს, რომ, როგორც დასაშვებ სამუშაოში, ასევე, სახიფათოსგან განსხვავებულ ბავშვთა შრომაში ჩართული ბავშვების სწავლით დაკავების დონე სქესობრივ ჭრილში თითქმის თანაბარია. რაც შეეხება სახიფათო შრომით დაკავებული ბავშვების სწავლაში ჩართულობის დონეს, გოგონების მაჩვენებელი 7.4 პროცენტული პუნქტით აღემატება ბიჭების მაჩვენებელს.

დიაგრამა 8.2. 5-17 წლის სახიფათო შრომაში, სახიფათოსგან განსხვავებულ ბავშვთა შრომაში და დასაშვებ სამუშაოში ჩართული მოსწავლე ბავშვების განაწილება, სქესის მიხედვით (%)



8.2. ბავშვები, რომლებიც არ დადიან საგანმანათლებლო დაწესებულებაში

5-17 წლის ბავშვების რაოდენობა, რომლებსაც არასოდეს უვლიათ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, 12 ათასია, რაც მთლიანად 5-17 წლის ბავშვების 2.1%-ს შეადგენს.

აღნიშნული რაოდენობიდან 97.1%-ს 5-6 წლის ბავშვები შეადგენენ. ასევე, აღსანიშნავია, რომ ისინი სწორედ ის ბავშვები არიან, რომელთაც სკოლაში შესვლის ასაკი (6 წელი) სასწავლო წლის დაწყების მომენტისთვის (სექტემბრის თვე) ჯერ არ ჰქონდათ შესრულებული და შესაბამისად არ შეეძლოთ იმ წელს სკოლაში შესვლა. აღნიშნული ბავშვებიდან თითქმის არავინ (98.9%) არ არის დასაქმებული.

იმ ბავშვთაგან, რომელთაც არასდროს უვლიათ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმრავლესობა მიზეზად ასახელებს მცირე ასაკს (61.1%). მნიშვნელობით მეორე მიზეზია სასწავლო დაწესებულების არარსებობა ან მისი დაშორებულობა (24.3%). ამ უკანასკნელში ძირითადად სკოლამდელი დაწესებულებები მოიაზრება.

იმ ბავშვების უდიდესი ნაწილი (91.4%), რომლებსაც არასოდეს უვლიათ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, არც საოჯახო საქმეებს და არც რაიმე სახის სამუშაოებს არ ასრულებენ.

5-17 წლის ბავშვების რაოდენობა, რომლებიც ამჟამად არ დადიან, მაგრამ წარსულში დადიოდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 11.2 ათასის ტოლია, რაც მთლიანად 5-17 წლის ბავშვების 1.9%-ს შეადგენს. აღნიშნული ბავშვების უმრავლესობა არ არის დასაქმებული (69.5%). არამომუშავე ბავშვებში, იმ ბავშვების წილი, ვინც სწავლა მიატოვა, 1.4%-ის ტოლია. მას დაახლოებით 7-ჯერ აღემატება მომუშავე ბავშვების ანალოგიური მაჩვენებელი (10.1%). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახიფათო შრომით დაკავებულ ბავშვებში აღნიშნული მაჩვენებელი (სახიფათო შრომაში ჩართულ ბავშვებში იმ ბავშვთა წილი, ვინც სწავლა შეწყვიტა) 16.1%-ს უტოლდება.

ცხრილი 8.2. 5-17 წლის მომუშავე და არამომუშავე ბავშვებში, მათი წილი ვინც სწავლა მიატოვა

	რაოდენობა (ათასი)	% შესაბამისი კატეგორიის ბავშვებიდან
მომუშავე ბავშვები	3.4	10.1
არამომუშავე ბავშვები	7.8	1.4
ბავშვები სულ	11.2	1.9

5-17 წლის ასაკის ბავშვების საგანმანათლებლო დაწესებულებებში სიარულის შეწყვეტის ანალიზისათვის კვლევის კითხვარში მოცემული იყო მიზეზების ვრცელი ჩამონათვალი (14 კატეგორია). ამასთან, თითოეულ პასუხზე დაფიქსირებული მცირე სიხშირის გამო, შეიძლება გავანალიზოთ მხოლოდ 2 ძირითადი მიზეზი. ყველაზე მაღალია იმ ბავშვთა წილი, რომლებმაც სწავლის შეწყვეტის მიზეზად სავალდებულო განათლების (9 კლასის) დამთავრება დაასახელეს (26.8%), ხოლო სიდიდით მეორე კატეგორია მასზე 5.3 პროცენტული პუნქტით მცირეა და მოიცავს იმ ბავშვებს, რომლებიც დაინტერესებულები არ არიან სწავლით ან სწავლაში ძალიან სუსტები არიან (21.5%).

აქტივობის ტიპების მიხედვით, 5-17 წლის ბავშვების ყველაზე მაღალი წილი, ვინც სწავლა მიატოვა, გვხვდება ბავშვებში, რომლებიც მხოლოდ მუშაობით არიან დაკავებულები (13.9%). ასევე, მაღალია აღნიშნული მაჩვენებელი დასაქმებული და თან საოჯახო საქმეებში ჩართული ბავშვებისთვის (8.8%).


ცხრილი 8.3. 5-17 წლის, სხვადასხვა აქტივობების (დასაქმება/საოჯახო საქმეები) განმახორციელებელ ბავშვებში, მათი წილი ვინც სწავლა მიატოვა

	რაოდენობა (ათასი)	% შესაბამისი კატეგორიის ბავშვებიდან
მხოლოდ მომუშავე	1.2	13.9
მხოლოდ საოჯახო საქმეებში ჩართული	5.6	1.8
დასაქმებული და თან საოჯახო საქმეებში ჩართული	2.2	8.8
არც მუშაობს და არც საოჯახო საქმეებშია ჩართული	2.2	0.9

8.3. ბავშვების საგანმანათლებლო აქტივობა

სასწავლო პროცესში ჩართული 5-17 წლის ასაკის ბავშვები ძირითადად თავიანთი ასაკის შესაბამის განათლების საფეხურს ეუფლებიან (დიაგრამა 8.3).


დიაგრამა 8.3. სწავლაში ჩართული ბავშვების წილი, ასაკობრივ ჯგუფებისა და განათლების საფეხურის მიხედვით (%)



